პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვ. [illegible] თვის—1 მან. 60 კ. [illegible] 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრ. [illegible] თვის 1 მან. განცხადება 20 კ. [illegible] ნომპარელის სტრიქონი. [illegible] განცხადება 5 მან. [illegible] განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ[illegible]

№ 61 (916) შაბათი, 15 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. ჩერვონცებით. № 61 (916)

დ-ღ-ი-უ-რ-ი

ამ დღეებში მოელიან გერმანიის რეიხსტაგის დათხოვნას. ახალი არჩევნები მოხდება 11 მაისს.

ოსმალეთის მთავრობამ აუკრძალა სამღვდელოებას მეჩეთებში სიტყვების წარმოთქმა.

ჰამბურგის მუშები [illegible] გამოცხადებას მოითხოვენ.

ოდესაში მოსულ გერმანიის [illegible] გაფიცვა გამოაცხადეს.

ბულგარეთის იუსტიციის მინისტრი მოითხოვს კომპარტიის აკრძალვას.

საბერძნეთის ახალ კაბინეტს რესპუბლიკანელები შეადგენე

გაზეთის დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 17 მარტს საღამოს 6 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია შემდეგი სექციების ორგანიზაციული სხდომა.

1. ზამეხკომის სათათბირო დარბაზში.
2. ჯანმრთელობის საერთო განყოფილებაში ოთახი № 5.
3. სადგილ-მამულო ოთახი № 31.

ზემოაღნიშნულ სექციებში ჩაწერილ ამხანაგებს პრეზიდიუმი სთხოვს გამოცხადდნენ ყოველივე მიზეზის გარეშე აღნიშნულ დროზე.

959—2—1 **პრეზიდიუმი.**

კვირას, 16 მარტს,

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი,

თანახმად ტფილისის საბჭოს პლენუმის დადგენილებისა, აწყობს საბჭოს წევრებისათვის ექსკურსიას ზემო-ავჭალაში, ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მუშაობის დასათვალიერებლად. საბჭოს წევრების გარდა, ექსკურსიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან კომპარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების წევრები, პროფ-კავშირთა ცენტრალურ გამგეობის წევრები, ახალკომკავშირის წარმომადგენლები, ქალთა განყოფილების დელეგატები და მუშკორები. ექსკურსიისათვის დანიშნულია ტფილისიდან, უკან დაბრუნებით, განსაკუთრებული მატარებელი, რომელიც გავა ტფილისის სადგურიდან 16 მარტს, დილის სრულ 9 საათზე. ექსკურსანტები უნდა შეიკრიბონ ტფილისის სადგურის დარბაზში, დილის სრულ 8 ნახ. საათზე.

2—1 ნის. 955. **პრეზიდიუმი**

კონტრ-რევოლიუციის დამცველები და ტფილისის პროლეტარიატის ხმა

„წმინდა მამების" გასამართლება გრძელდება.

სავსებით გასაგებია ის ინტერესი ამ პროცესისადმი, რომელსაც იჩენენ როგორც მუშები, ისე კონტრ-რევოლიუციონური ბანაკი.

საბჭოთა ხელისუფლება საჯაროდ, საბჭოთა კანონების მიხედვით ასამართლებს ბნელეთის მოციქულებს, ანაფორაში გახვეულ კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელ ნაშთებს—მშრომელთა სახელმწიფოს ღალატისათვის, ხალხის ქონების მითვისება-ქურდობისათვის, მუშურ-გლეხურ მთავრობის განკარგულებათა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, მშრომელთა დიქტატურის დამხობის ცდისათვის.

სამრალებლო სკამზე სხედან არა მარტო „ღვთის მონა" ამბროსი და მისი ახლობელი „ძმები", არამედ მთელი დანარჩენი კონტრ-რევოლიუციონური ხროვაც, რომლის კარნახით და დასტურით მოქმედებდნენ „ქრისტეს და ეკლესიის მსახურნი".

მუშათა კლასის მთავრობა თავის სასამართლოს სახით საჯაროდ ამხელს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს მშრომელთა დაუძინებელ მტრებს და ბუნებრივია, რომ ხალხი, მასსა იჩენს ცხოველ ინტერესს ამ საქმისადმი, ესწრება სასამართლოს დარბაზს და აშკარავებს თავის დამოკიდებულებას მიმდინარე პროცესისა და მისი „გმირებისადმი".

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ მთელი კონტრ-რევოლიუციაც ამოძრავდა. კერძოდ მისი წარმომადგენლები—დამცველთა კოლეგია ჩვენთვის კარგად ცნობილ ბატ. ნინიძის მეთაურობით ყოველ ღონეს ხმარობენ ბრალდებულთა გამართლებისათვის, მაგრამ რადგან ეს იმთავითვე წაგებული საქმეა,—პროცესის ჩაშლას ცდილობენ, ამასთან ამ პროცესის გამოსაყენებლად კონტრ-რევოლიუციონური, ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის.

ჯერ იყო და შეეცადნენ საქმის გადადებას. როცა ამ ხერხმა ვერ გასჭრა, „აბლაკატები" აცხადებენ, რომ მათ წინააღმდეგ ილაშქრებს პრესა, მათ ზიზღს უცხადებს მშრომელი მასსა, რაც „არღვევს მათ მშვიდობიანობას და ხელს უშლის მუშაობაში".

ბ. ნინიძეს და კომპანიას კადნიერება შესწევთ „მოითხოვონ" საბჭოთა პრესის გაჩუმება, როცა ეს პრესა ამხელს მათ ვინაობას, ამხელს მათი „გამოსვლების" ნამდვილ სარჩულს.

ისინი მოითხოვენ, რომ მუშებმა გაკმინდონ ხმა, არ გაბედონ თავიანთი პოზიციის გამოაშკარავება პარტიულ კონტრრევოლიუციის მიერ წარმოგზავნილ ვექილებისადმი.

ყველაფერი ეს კურიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ნურას უკაცრავად, ბ.ბ. ნინიძეებო, თუ საბჭოთა პრესამ და მუშათა კლასმა თქვენი „წმინდა სურვილი" არ შეასრულეს.

მშრომელი ხალხი მოითხოვს თავის მოსისხლე მტრების „საშინელი საქმეების" საჯაროდ გამორკვევას და მათ დასჯას მის მიერვე შექმნილ სახელმწიფოს კანონების მიხედვით.

საბჭოთა სასამართლო მუშათა კლასის ინტერესების დამცველი ორგანოა, და ის, როგორც ყოველთვის, ახლაც შეასრულებს თავის მოვალეობას ხალხის მტრების დასჯისას არსებული კანონების მთელი სიმკაცრით.

მუშურ-გლეხურ მთავრობასთან, მის სასამართლოსთან არის ამ შემთხვევაშიც მთელი მშრომელი მასსა. მუშათა გუშინწინდელი დემონსტრაცია ამის დამადასტურებელია. მუშები მიდიოდნენ სასამართლოს დარბაზში, ზიზღი გამოუცხადეს ბრალდებულთა სკამზე წამოსკუპებულ „წმინდა მამებს" და კონტრრევოლიუციის მიერ მათ დასაცველად წარგზავნილ „აბლაკატებს" და მოითხოვეს დამნაშავეთა სასტიკად დასჯა.

ჩვენ ვიცით, რომ „აბლაკატები" ამაზე გამართავენ ვანგაშს: „უცხო ელემენტები" ერევიან სასამართლოს საქმეებში, „არღვევენ ჩვენს მშვიდობიანობას და ხელს გვიშლიან მუშაობაში".

რა ვუყოთ: მუშათა კლასი იმიტომ იბრძოდა, მან იმიტომ დაამყარა თავისი დიქტატურა, რომ თითონ იყოს მთელი ცხოვრების, სახელმწიფოს მთელი საქმეების გამგებელი და წარმმართველი. ნინიძის სურვილის მიხედვით, მშრომელი ხალხი ვერ დაუბრუნდება ძველ მდგომარეობას, როცა ის ჩამოშორებული იყო ყოველ საზოგადო საქმეს და მისი ბედ-იღბალი მის დაუკითხავად წყდებოდა მეფის და მენშევიკების ბიუროკრატიულ დაწესებულებათა ჯურღმულებში.

მუშურ-გლეხური მთავრობა იმიტომაა ძლიერი, რომ ის ემყარება მშრომელთა ნებისყოფას. საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა კლასის მჭიდრო კავშირის დემონსტრაცია მოხდა გუშინწინაც.

უზენაესი სასამართლო, აღჭურვილი მთელი მშრომელი ხალხის ნდობით და მანდატით, იტყვის თავის გადამჭრელ სიტყვას, როგორადაც ეს არ უნდა იყოს სასიამოვნო ანაფორიანი და უანაფორო კონტრ-რევოლიუციონერებისათვის.

1923 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

I

საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტის ისტორიული ხანა იწყება 1923 წ. მეორე ნახევრიდან, სწორედ იმ დროიდან, როდესაც ადგილობრივ მოღვაწეთა შეგნებაში ორი აპრილის დეკრეტმა ნიადაგი მოიპოვა. გარდატეხის თვეები იყო ივნისი და ივლისი. ამ დროიდან უკანონო გადასახად-გამოსაღების აღება შეწყდება, კანონიერება მტკიცდება და თვითნებობას ნიადაგი ეცლება. ცხოვრება და კანონს შორის კიდევ არის [illegible]. მაგრამ კანონი, რომელიც ჩვენმა ცხოვრებამ წარმოშვა თანდათან რეალურ შედის ძალაში. კანონიერების გამარჯვებაში საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს ცენტრალურ საფინანსო უწყებიდან მაზრებში საგრო ახსნა-განმარტების გაგზავნას და რევიზორ-ინსტრუქტორების მივლინებას.

აი ზოგიერთი ნიმუშები იმ არეულობისა და გაუგებრობისა, რომელსაც მაზრების საფინანსო დარგში ჰქონდა ადგილი. (ცნობები რევიზორ-ინსტრუქტორების მოხსენებიდან ამოკრეფილი).

ზოგიერთ მაზრის აღმასკომის განყოფილებას „თავისი" საკუთარი შემოსავალი ჰქონდა, ამა თუ იმ კომისარიატიდან უშუალოდ ღებულობდა ფულს და აღმასკომის დაუკითხავად მას ხარჯავდა. ზოგი თემი თავისი ნებით, სამაზრო აღმასკომის ნებადაურთველად და სრულიად უკანონოდ აწესებდა გადასახადებს და აკრეფილ ფულებს თვითონვე ხარჯავდა; ბევრი სხვა უკანონობაც ხდებოდა.

ან კიდევ ერთ აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგეს 1922 წ. განკარგულებაში ავანსად აქვია 54,5 მილიონი მანეთი. 1923 წ. ივლისში იმავ გამგეს ამ ავანსიდან ძველი კურსით კიდევ ითვლებოდა 48 მილიონი მანეთი, მეორე შემოწმებით სხვა განყოფილების გამგეს 1923 წ. ივლისში კიდევ არ ჰქონდა გასწორებული იმ ავანსის ანგარიში, რომელიც მას 1922 წ. აგვისტოში ჰქონდა.

რევიზორების სამართლებრივ ადგილობრივ ფინანსთა განყოფილების ერთი რევიზორი ამ ხანას ასე ახასიათებს: „ძველი არევ-დარევას და თვითნებობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 1923 წ. ივლისამდე თითქმის არც ერთ მაზრას არ ჰქონდა ბიუჯეტი, მაშასადამე, არ ჰქონდა რაიმე საფინანსო გეგმა და მხოლოდ „დღევანდელი დღით" ცხოვრობდა. ამნაირათ, წარსულ ხანის დამახასიათებელი იყო უბიუჯეტობა, რაიმე გარკვეულ საფინანსო გეგმის უქონლობა, მერყეობა, უკანონო გადასახადების შემოღება, ზოგიერთ თანამშრომელთა (აღმასკომის დ. თ.) თვითნებობა და საერთოდ საქმის მოუწესრიგებლობა".

აღმასკომებს თავის მოღვაწეობისათვის არ ჰქონდათ არც მტკიცე კანონები და არც წინასწარ გათვალისწინებული მუშაობის გეგმა. ეს უსისტემობა ახასიათებს თითქმის ყველა სამაზრო ბიუჯეტებს. ამ უსისტემობასთან ერთად ადგილობრივ ბიუჯეტების (ტფილისის გამოკლებით) დამახასიათებელია მათი პრიმიტიულობა.

ჩვენი საფინანსო ცენტრის ადგილობრივ ფინანსების განყოფილების მეორე თანამშრომელი ამბობს: მიუხედავათ იმისა, რომ აღმასკომების განკარგულებაში იყო ოფიციალური დეტალურად დამუშავებული ნიმუში შემოსავლის და გასავლის აღრიცხვათა და ამასთანავე მათ ხელთ იყო 1923 წ. 29 ივნისის ინსტრუქცია, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს შედგენილი ადგილობრივი ბიუჯეტი, სამაზრო ბიუჯეტები, მაინც მეტად პრიმიტიულათაა შედგენილი. ამ ბიუჯეტებში ხშირათ დანართები განმარტებითი ბარათის და ბიუჯეტის პროექტს არ ეთანხმება, მრავალი არითმეტიკული შეცდომებია, სათაურები გადახაზულ-გადმოხაზულია, რომელთაც გასამართლებელი დოკუმენტების ძალა ვერ მიეცემა. ხშირათ ცარიელი ადგილებია იქ, სადაც ან ციფრები ან ტექსტი უნდა იყოს, ბევრგან სრულიად მეტი მასალაა წარმოდგენილი, რაც ბიუჯეტის განხილვას აძნელებს; ამავე დროს ძალიან ბევრი ფრიად საჭირო მასალა და ახსნა, რომელთაც კანონის და ბიუჯეტის შედგენის წესი მოითხოვს, არაა წარმოდგენილი.

ბიუჯეტის ამგვარი ნაკლი იმის მაჩვენებელია, რომ აღმასკომებს არ ყავთ მომზადებული, დახელოვნებული მუშაკნი. ადგილობრივ ორგანოების ამ სუსტ მხარეს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და რესპუბლიკაში უნდა მოხდეს ძალთა მიზანშეწონილათ განაწილება: ეს დიდმნიშვნელოვან და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ადგილობრივ ბიუჯეტების განხილვა ერთ ფრიად საყურადღებო ფაქტს აშკარავებს; ეს ფაქტი გამოიხატება იმაში, რომ ყველა მაზრებში წარმოებათა ხასიათის შემოსავლის წყაროები უკიდურესად სუსტია. საერთოდ ადგილობრივ ორგანოებს წარმოება და ქონება ძალიან მცირე შემოსავალს აძლევს.

არსებულ ფინანსიურ პირობებში, როგორც ამას ბიუჯეტები გვითვალისწინებენ, დასახლებულ ადგილების კეთილმოწყობა შეჩერებულია, და ეს გარემოება დიდ საფრთხეს წარმოადგენს: ქუჩები ფუჭდება, ნაშენები ინგრევა და სხვა, და, მომავალში, თუ დროზე საჭირო ზომები არ იქნა მიღებული, ეს გარემოება მწვავე მდგომარეობას შექმნის.

როგორც უკვე ერთხელ მოვიხსენიეთ, ადგილობრივ აღმასკომების ფინანსიურ მოღვაწეობას საფუძვლათ 1923 წლის 2 აპრილის დეკრეტი აქვს. ეს დეკრეტი განსაზღვრავს აღმასკომის შემოსავლის წყაროებს. ამ დეკრეტის გამოქვეყნება თავის დროზე უდავოთ პროგრესიული მოვლენა იყო, მაგრამ ამის თქმა იმას არ ნიშნავს, რომ გამოქვეყნების ჟამს ეს დეკრეტი უნაკლო იყო ან დღეს ის შესწორებებს არ საჭიროებს. 2 აპრილის დეკრეტს დიდი დეფექტები აღმოაჩნდა; ამ დეფექტებმა უკვე მიიქცია ყურადღება და პრესაში დაისვა კითხვა მისი გადასინჯვის შესახებ.

სამწუხაროდ 1924 წ. ბიუჯეტის შედგენამდე არ მოესწრება ამ დეკრეტის გადასინჯვა, მაგრამ რაც მალე იქნება ის გადამუშავებული და ჩვენს ცხოვრებასთან შეთანხმებული, იმდენათ ადგილობრივ ფინანსიურ მოღვაწეობას უფრო სწორი და მიზანშეწონილი საფუძველი ექნება; ამიტომ 2 აპრილის დეკრეტის გადასინჯვა საწრაფო საქმეა.

ეხლა ვნახოთ, თუ როგორ სურათს წარმოადგენს 1923 წლის მეორე ნახევრის ადგილობრივი ბიუჯეტები.

დ. თ.

საქონლის ფასების დაწევა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ახალი ვალუტის შემოღების შემდეგ მოსკოვის სავაჭროებში დაიწყო საქონლის ფასების დაკლება. სავაჭრო ფასებმა საშუალოდ დაიწია 20 პროცენტით. ფასების ასეთი დაწევა აიხსნება მით, რომ საბჭოთა ნიშნების ტრიალის დროს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მოვაჭრეები ეწეოდენ ფასების წამატებას იმდენად, რამდენიც საჭირო იყო ქაღალდის ნიშნების კურსის დაცემისაგან დაზღვევისათვის. ახლა კი მაგარი ვალუტის ტრიალის შემდეგ, ასეთი დაზღვევა აღარ არის საჭირო და ამიტომ ყველგან დასაზღვეველათ წანამატები რაოდენობა ფასებს მოაკლდა, რამაც საგრძნობლად გააიაფა საქონელი. ჯერჯერობით ეს გაიაფება არ დამთავრებულა. საბოლოოდ საქონლის ფასები ჩამოყალიბდება საბჭოთა ნიშნების გამოყიდვის კურსის გამოქვეყნების შემდეგ.

ამჟამად ფასების დაწევა გაატარა ტყავეულობის ტრესტმა 17 პროცენტით, „მოსსუკნომ" (მაუდის ტრესტმა)—28 პროც., „კამვოლნი" ტრესტმა—20 პროცენტით, საფეიქრო სინდიკატმა (ჩითი, მადაპოლამი, ტილი, მატყლი) 14 პროცენტამდე, გაიაფდა შეკერილი ტანისამოსიც საშუალოდ 20 პროცენტამდე. მოსკოვის მანქანების ტრესტმა გააიაფა ნაწარმოები 15 პროცენტით, უმეტეს ნაწილად გლეხების მოსახმარი საგნები (წყლის ვედროები და სხვა ქურჭელი). გაიაფდა სურსათიც—რძე, კარაქი, ხორცი, კვერცხი და ხორცი. კვერცხი აქამდე ღირდა ათი ერთი მანეთი და 10 კაპეიკი, ახლა კი ღირს 90 კაპეიკი. რძე გაიაფდა 20 პროცენტით, კარაქი—15 პროცენტით. „მახორკა" გაიაფდა 20 პროცენტით. ყველა კოოპერატიულ სასადილოებში დაკლებულ იქნა ფასები სადილებზე. ტრამვაის ბილეთების ფასებიც შემცირებულ იქნა. დაწეულ იქნა სხვადასხვა კომუნალური ხასიათის გადასახადები (წყალზე, კანალიზაციაზე და სხვაზე).

შინაური ვაჭრობის კომიტეტმა გამოსცა დადგენილება, სადაც ის ავალდებულებს ყველა სახელმწიფო და საკოოპერაციო სავაჭროებს დაუკლონ ფასები საქონელს, ისე რომ კურსის დაცემისაგან დასაზღვევათ წამატებული რაოდენობა მოსპობილ იქნეს. ეს დადგენილება ეხება იმ საქონელსაც, რომელიც აქამდე ფასობდა ჩერვონცის ანგარიშით.

მყიდველთა მასების დასაკმაყოფილებლად მოსკოვში დროებით შემოღებულ იქნა კვირაობით ვაჭრობა სახელმწიფო და საკოოპერაციო მაღაზიებში. გაგრძელებულ იქნა აგრეთვე საღამოთი ვაჭრობის საათები.

ლან—ძე.

მოსკოვი, 7 მარტი.

ფულის რეფორმის გარშემო

საბჭოთა რუსეთის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანება.

მოსკოვი. 14 მარტი. საბჭოთა რუსეთის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი თავის ბრძანებაში ქვემდებარე დაწესებულებებისადმი წინადადებას აძლევს, ფულის რეფორმის წარმატებით ჩატარების მიზნით, მიიღონ გაბედული ზომები საადმინისტრაციო და სამეურნეო ხარჯების შესამცირებლად, თავი შეიკავონ ახალ ინვენტარის და მოწყობილობის ყიდვისაგან მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებათა შეძენისაგან და სხვ.

ფქვილის ფასები ეცემა.

მოსკოვი. 14 მარტი. „ხლებოპროდუქტმა" ხელახლა დასწია ფქვილის ფასები: ხორბლის ფქვილი მე-2 ხარისხის ეღირება—3 მ. და 72 კაპ. ნაცვლად 4 მან. და 30 კაპ.

ოქროს თუმნიანის და მეფის დროის მოჭრილ ვერცხლის ფულის კურსის დაცემა.

მოსკოვი. 14 მარტი. ნიკოლაევიდან, პოლტავიდან, ვინიციდან, სევასტოპოლიდან და ურალსკიდან იუწყებიან, რომ ყველგან შემჩნეულია ოქროს თუმნიანის და მეფის დროის მოჭრილ ვერცხლის ფულის კურსის დაცემა.

პირველ მოთხოვნილების პროდუქტების ფასების დაწევა.

მოსკოვი 14 მარტი. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან იუწყებიან, რომ მნიშვნელოვნად დაეცა ფასები პურზე, მანუფაქტურაზე, შაქარზე და პირველ მოთხოვნილების სხვა პროდუქტებზე. ზოგიერთ ადგილებში კერძო ვაჭრები ვერ უძლებენ ფასების დაწევას და ხურავენ წარმოებებს.

საქონლის წვრილად გაყიდვა სახაზინო ფასებში.

დონის როსტოვი. 13 მარტი. [illegible] სახელმწიფო მრეწველობამ გამოაცხადა საქონლის წვრილად გაყიდვა სახაზინო ფასებში. კერძო ვაჭრები ვერ უძლებენ დაწეულ ფასებს და ჰხურავენ დუქნებს.

საფეიქრო ნაწარმოებთა გაიაფება.

ლენინგრადი. 13 მარტი. ლენინგრადის საფეიქრო ტრესტმა 10 პროც. შეამცირა ფასები საფეიქრო ნაწარმოებზე; ძაფზე ფასები დაკლებულია საშუალოდ 18 პროც.

ტელეგრამები

(„ზაკ როსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ

დანციგის ფოლკსტაგმა (ადგილობრივმა პარლამენტმა) იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი.

შვეციის პრესა ადასტურებს ცნობას, რომ შვეცია ამ დღეებში იურიდიულად იცნობს საბჭოთა კავშირს.

საბერძნეთის მცხოვრებლებმა ოდესიდან მისალმების დეპეშა გაუგზავნეს ამხ. ჩიჩერინს საბერძნეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო.

საბჭოთა კავშირის პავილიონი ვენის გამოფენაზე დიდ ყურადღებას იპყრობს. ყოველდღე პავილიონს ნახულობს 20.000 კაცი.

დანციგი

დანციგმა იცნო იურიდიულად საბჭოთა კავშირი

ბერლინი. 12 მარტი დანციგის ფოლკსტაგმა (პარლამენტი) დაამტკიცა კანონპროექტი საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის და მასთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების შესახებ.

შვეცია

საბჭოთა კავშირის ცნობა შვეციის მიერ მოხდება ამ დღეებში.

სტოკჰოლმი. 12 მარტი. „სოციალ დემოკრატენ"-ი იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობა შვეციის მიერ მოხდება ამ დღეებში.

იაპონია

საზ. „რუსეთ-იაპონიის ურთიერთ დახმარება".

მოსკოვი. 13 მარტი. ამას წინათ მოსკოვში ჩამოვიდენ საზ. „რუსეთ-იაპონიის ურთიერთ დახმარების" მეთაური ნაიტო და ამ საზოგადოების დირექტორი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ნაიტომ აღნიშნა, რომ საზოგადოება დაარსდა იაპონიაში იოფეს ჩასვლის შემდეგ, როდესაც უკანასკნელმა შესძლო იაპონიის საზოგადოების ნდობის მოპოვება. საზოგადოება მიზნად ისახავს რუსეთ-იაპონიის კულტურულ და ეკონომიურ დაახლოვებას. ის სარგებლობს სიმპატიით იაპონიის ფართო წრეებში. საზოგადოებაში შედიან ყველა კლასების წარმომადგენლები, მეცნიერები, ლიტერატორები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები, პროფკავშირების წევრები და თვით მთავრობის პარტიების წარმომადგენლებიც.

საზოგადოების უახლოეს ამოცანას შეადგენს იაპონიის მიერ საბჭოთა კავშირის სრული და უდაო ცნობა და მათ შორის ნორმალური დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის განახლება.

იტალია

რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების გამო.

რომი. 13 მარტი. „კორიერე დ'იტალია" რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო სწერს, რომ ხელშეკრულება სავსებით იცავს იტალიის ეკონომიურ ინტერესებს. იტალიის მთავრობას არ წარუდგენია არც ერთი ისეთი მოთხოვნილება, რომლის მიღება ძნელი იქნებოდა საბჭოთა მთავრობისათვის. ხელშეკრულების ყველა მუხლები შემუშავებულია ერთი-მეორისადმი და სხვა სახელმწიფოთა უფლებებისადმი აბსოლიუტიური პატივისცემის ნიადაგზე.

ავსტრია

საბჭოთა კავშირი ვენის გამოფენაზე.

ვენა. 12 მარტი. საბჭოთა კავშირის პავილიონი დიდ ინტერესს იწვევს ვენის გამოფენის მნახველთა შორის. ყოველდღიურად პავილიონს ათვალიერებს 20.000 კაცი.

გამოფენის გამო, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში შესდგა ოფიციალური ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ ავსტრიის სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსიური წრეების ცნობილი წარმომადგენლები. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლევიცკიმ აღნიშნა სავაჭრო ურთიერთობის მნიშვნელობა ავსტრიასა და საბჭოთა კავშირის შორის. ვენის „არბეიტერბანკ"-ის გამგეობის თავმჯდომარემ, ყოფილმა კანცლერმა და სოციალ-დემოკრატმა რენნერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელმაც სავსებით განახორციელა ხალხთა გაერთიანების იდეა სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ჩეხო-სლოვაკია

პრესა იტალიაში ამხ. იურენევის ელჩად დანიშვნის შესახებ.

პრაღა. 13 მარტი. მემარცხენე ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „პრიტომნოსტ" და ნაციონალ-სოციალისტების ორგანო „ჩესკე სლოვო" რომში იურენევის ელჩად დანიშვნაში ხედავენ საბჭოთა მთავრობის მანიფესტაციას ჩეხო-სლოვაკიის და კერძოთ ბენეშის წინააღმდეგ.

9 მარტს ბენეშმა გამართა რაუტი, რომელზედაც დაესწრენ დიპლომატიური კორპუსის ყველა წევრები და აგრეთვე ემიგრაციის წარმომადგენლები: ლებედევი, ბრუშვიტი, გენერალი სიდოროვი და სხვ.

საბერძნეთი

ოდესის ბერძენთა კოლონიის მილოცვა.

მოსკოვი. 14 მარტი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა ოდესის ბერძენთა კოლონიისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც კოლონია ულოცავს ამხ. ჩიჩერინს საბჭოთა კავშირის ცნობას საბერძნეთის მიერ.

მემელის საკითხი

საბჭოთა მთავრობის ნოტა ლიტვის წარმომადგენელს.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დარღვევა.

მოსკოვი. 13 მარტი. ნოტაში, რომელიც გადგზავნა ლიტვის ელჩს ბალტრუშაიტისს, ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ ლიტვის მთავრობის მიერ ერთა ლიგაში წარდგენილი პროექტი მემელის საკითხის გადაჭრის შესახებ, თუ ეს პროექტი განხორციელებული იქნა, შექმნიდა საბჭოთა კავშირისათვის სავსებით მიუღებელ პირობებს და დაარღვევდა საბჭოთა კავშირის ერების ინტერესებს. საბჭოთა კავშირის მთავრობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებს, რათა მესამე სახელმწიფოებს ცალმხრივად მიენიჭოთ უპირატესობანი მემელის ნავთსადგურით და მდინარე ნემანით სარგებლობის რაიმე სპეციალური უფლებები.

ვინაიდან ერთა ლიგის სპეციალური კომისია, რომელიც დანიშნული იყო მემელის საკითხის გადაჭრის მოსამზადებლად, თავის მუშაობის დროს შეეხო აგრეთვე საკითხს ლიტვასა და პოლონეთს შორის საზღვრების გამო დაწყებულ დავის შესახებ, საბჭოთა კავშირის მთავრობა მოაგონებს ლიტვის მთავრობას, რომ პოლონეთ-ლიტვის დავის გადაჭრის და ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების დაწესების საშუალება გათვალისწინებულია რუსეთ-ლიტვის 1920 წ. საზავო ხელშეკრულებაში, და რომ ლიტვის მთავრობას არ შეუძლია საბჭოთა კავშირის თანხმობის გარეშე ამ საკითხის გადაჭრაში ჩარიოს მესამე სახელმწიფოები. ზოგიერთი სახელმწიფოები ცდილობენ გადასჭრან მემელის და პოლონეთ-ლიტვის საზღვრების საკითხი ისეთი პრინციპით, რომელიც ეწინააღმდეგება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. ამიტომ საბჭოთა კავშირის მთავრობას აინტერესებს ლიტვის ხალხის ბედი და აღნიშნავს, რომ ასეთი მოქმედება დიდ საფრთხეს უმზადებს მშვიდობიან ურთიერთობას აღმოსავლეთ ევროპაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს რწმენას, რომ ლიტვის მთავრობას შემდეგი ნაბიჯები მემელის საკითხში შეთანხმებული იქნებიან საბჭოთა მთავრობის შეხედულებებთან, რომლებიც დამყარებულია ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე.

ამხ. ჩიჩერინის ნოტა დაინტერესებულ სახელმწიფოებისადმი.

მოსკოვი. 13 მარტი. ნოტაში, რომელიც მიმართულია ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ბელგიის, ესპანიის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, ბრაზილიის და ურუგვაის მთავრობებისადმი, ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა უკანონოთ ჩათვლის ყოველგვარ გადაწყვეტილებას მემელის საკითხში, რომელიც მიღებული იქნება მისი მონაწილეობის გარეშე.

ლიტვასა და პოლონეთს შორის საზღვრების გამო დაწყებულ დავის საკითხში საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის და პოლონეთს შორის და საბჭოთა კავშირის და ლიტვას შორის საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომლის მიხედვითაც სადავო ტერიტორიის ბედი გადაწყვეტილი იქნება ამ სახელმწიფოს შეთანხმებით და არ შეიძლება იძულებით გადაწყვეტილებათა თავზე მოხვევა გარედან სხვა სახელმწიფოების მხრივ. საბჭოთა კავშირის მთავრობა ისეთ დადგენილებას, რომლითაც მემელის საკითხში ლიტვას თავზე ნახვევი მთელი რიგ გადაწყვეტილებათ, და ანიჭებენ მის სახელმწიფოებრივ საზღვრებს მესამე სახელმწიფოები, სთვლის არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესების შელახვათ და პოლონეთსა და ლიტვასთან დადებულ საზავო ხელშეკრულებათა დარღვევად, არამედ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის გაქარწყლებად და სერიოზულ საფრთხედ ლიტვის ხალხისადმი. ამიტომ საბჭოთა კავშირის მთავრობა იძლევა გაფრთხილებას ცხოვრებაში არ იქნას გატარებული ის გეგმები, რომლებიც არღვევენ მშვიდობიან ურთიერთობას აღმოსავლეთ ევროპაში.

„კურიერ პორანნი" ლიტვისადმი გაგზავნილ საბჭოთა ნოტის შესახებ.

ვარშავა. 12 მარტი. „კურიერ პორანნი" აღშფოთებულია ჩიჩერინის ნოტით ლიტვისადმი და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა დღემდის სთვლის ვილნას ლიტვის ნაწილათ.

გაზეთი დაჟინებით მოითხოვს გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის მთავრობას მკვახე ნოტა, ჩიჩერინის ნოტის გამო.

ბესარაბიის საკითხის გარშემო

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ „დაადასტურა" რუმინეთის მიერ ბესარაბიის შემოერთება.

გერმანიის პრესა საფრანგეთის მთავრობის ამ ნაბიჯს სთვლის რუმინეთის სუსტი პოზიციის გამაგრების ცდათ რუსეთ-რუმინეთის მომავალ კონფერენციაზე.

მოსკოვში გაიმართა ბესარაბიის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელმაც გამოიმუშავა ნაკაზი საბჭოთა დელეგატებისათვის რუსეთ-რუმინეთის კონფერენციაზე. მიტინგმა მოითხოვა რუმინეთის ჯარების გაყვანა ბესარაბიიდან და დამოუკიდებელი ბესარაბიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა.

ბესარაბიიდან გამოქცეულები ხატავენ ბესარაბიაში ცხოვრების საშინელ სურათებს. ბესარაბია ცხოვრობს რუმინელ დამპყრობლებისაგან განთავისუფლების იმედით.

ყაჩაღები ყაჩაღებს ეხმარებიან

„ძმა" „ძმისთვის"...

პარიზი 12 მარტი. დეპუტატთა პალატამ 415 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 74-სა დაამტკიცა ბესარაბიის შეერთება რუმინეთთან.

გერმანიის პრესის კომენტარები

ბერლინი, 12 მარტი. გერმანიის პრესა საფრანგეთის პალატის მიერ ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების დამტკიცებას უცქერის როგორც ჟესტს, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს რუმინეთის პოზიციის განმტკიცებას საბჭოთა კავშირთან მოსალოდნელ მოლაპარაკების დროის და საფრანგეთ-რუმინეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ბესარაბიის მცხოვრებთა მოთხოვნილება

მოსკოვში მყოფ ბესარაბიელების მიტინგი.

ნაკაზი საბჭოთა დელეგაციას ვენის კონფერენციაზე.

მოსკოვი. 14 მარტი. 12 მარტს მოსკოვში გაიმართა ბესარაბიის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგმა შეიმუშავა ნაკაზი საბჭოთა დელეგაციისათვის ვენის კონფერენციაზე. ნაკაზში წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებანი: დაუყოვნებლივ განთავისუფლება ციხეებიდან მუშებისა და გლეხების, რომლებიც იბრძვიან ბესარაბიის მცხოვრებთა გასათავისუფლებლად; დაპატიმრების, ცემის, დახვრეტის და მუშათა მოძრაობის დევნის სრული შეწყვეტა; დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან რუმინეთის არმიაში მობილიზაციით გაწვეული ბესარაბიელები; დაბრუნებულ იქნეს ის ქონება, რომელიც გაზიდა რუმინეთის ბურჟუაზიამ ბესარაბიის საზღვრებიდან, ზარალის სრული ანაზღაურებით; გაიხსნას ბესარაბიის საზღვრები თავისუფალ მიმოსვლისათვის; დაუყოვნებლივ დაიწყოს კონფერენციის მუშაობა, დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნენ რუმინეთის ჯარები ბესარაბიიდან, ანაზღაურებულ იქნეს ის მორალური და მატერიალური ზარალი, რომელიც განიცადეს ბესარაბიის მოქალაქეებმა ოკუპაციის დროს; შექმნილ იქნეს ბესარაბიის მუშურ-გლეხური რესპუბლიკა და შეუერთდეს საბჭოთა კავშირს.

მიტინგის მონაწილენი გაემართენ წითელი დროშებით მოსკოვის საბჭოს შენობისაკენ. დემონსტრანტებს შეხვდენ საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ვენის კონფერენციაზე, მოსკოვის საბჭოს მდივანი და სხვ. დემონსტრანტების სახელით საბჭოთა დელეგაციას და მოსკოვის საბჭოს სიტყვით მიმართა სერგენდინომ, ტკერმანის ყოფილმა ქალაქისთავმა. ამხ. კრესტინსკის გადაეცა ბესარაბიელების ნაკაზი. ამხ. კრესტინსკის განცხადებას იმის შესახებ, რომ ბესარაბიელების ნაკაზი წაკითხულ იქნება ვენის კონფერენციაზე, ხვდებიან მქუხარე ტაშისცემით. მოსკოვის მუშების სახელით მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა განაცხადა, რომ მოსკოვის მუშები სავსებით ბესარაბიის მშრომელთა მხარეზე არიან და მხარს უჭერენ მათ მოთხოვნილებებს.

მდგომარეობა ბესარაბიაში

ჯოჯოხეთი.

ოდესა. 14 მარტი. ბესარაბიიდან გამოქცეული ლტოლვილები იუწყებიან, რომ ბესარაბიაში დიდი უმუშევრობაა, ხოლო სამუშაო ხელფასი კი ძალიან მცირეა. პროფკავშირები მძიმე მდგომარეობაში არიან. კომპარტია რუმინეთში, განსაკუთრებით ბესარაბიაში იდევნება. პოლიცია განუწყვეტლივ თავს ესხმის მუშათა რაიონებს, ანგრევს მუშათა კლუბებს და აპატიმრებს მუშებს, რომლებიც შეამჩნიეს კომუნისტურ განწყობილებას. მუშათა მასების სიმპატიები კომპარტიის მიმართ ძლიერდება; მენშევიკები უთმობენ კომპარტიას პოზიციას პოზიციაზე. დიდი ქალაქების მუშები თითქმის სავსებით კომპარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. განსაკუთრებით პოპულარულია კომპარტია ბესარაბიაში და ტრანსილვანიაში.

ბესარაბიის ჩაგრულ მცხოვრებლებში ცოცხლობს ის იმედი, რომ რუმინეთის ბატონობის დღეები ბესარაბიაში დათვლილია.

პარიზის კომუნის 53 წლის თავი

რუსეთის კომპარტიის ც. კ. მოწოდება

მოსკოვი. 12 მარტი. რუსეთის კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ მიმართა საბჭოთა კავშირის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელებს შემდეგი მოწოდებით:

„18 მარტს მთელი მსოფლიოს მშრომელები დღესასწაულობენ პარიზის კომუნის 53 წლის თავს.

1871 წლ. 18 მარტს, პარიზის მშრომელებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, შექმნეს მსოფლიოში პირველი მუშათა ხელისუფლება, პირველი მუშათა მთავრობა—პარიზის კომუნა.

პარიზის მუშათა კლასი არ იყო ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი, რათა შეენარჩუნებია ძალა-უფლება. იგი არ იყო საკმაოდ დარაზმული. მას არ ჰყავდა თავისი პარტია, რომელსაც შეეძლო ბრძოლის ხელმძღვანელობა. ბურჟუაზიამ შესძლო მოკლე დროში მუშების აჯანყების ჩაქრობა. ცეცხლითა და მახვილით გაუმასპინძლდა ბურჟუაზია პარიზის კომუნას. დაახლოვებით 30,000 მუშა და მუშა-ქალი, პარიზის მშრომელები, ბავშვები და ქალები მხეცურად იქნენ დახვრეტილი. ხვრეტდენ გაუსამართლებლად. სასამართლოები ხვრეტდენ კიდევ მთელი წლის განმავლობაში. დაიღუპენ საფრანგეთის მუშათა კლასის საუკეთესო შვილები. პატივსცემთ დაღუპულ კომუნარების ხსოვნას! განვლო 53 წელმა. მთელ მსოფლიოში სწარმოებს მუშათა კლასის გმირული ბრძოლა განთავისუფლებისათვის, კომუნიზმის იდეისათვის. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა კავშირში მშრომელებმა მიაღწიეს გამარჯვებას.

გერმანიაში—თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულმა ბურჟუაზიამ სოციალ-გამცემლების—ებერტის, ნოსკეს და სხვათა დახმარებით განაიარაღა მუშათა კლასი და ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო გერმანიის პროლეტარიატის არა ერთი და ორი აჯანყება. მოკლულ იქნენ საუკეთესო მისი წინამძღოლები—ლიბკნეხტი, ლიუქსემბურგი, ტიშკო. კომუნისტური პარტია არალეგალურად არის გამოცხადებული. არა ნაკლებ 5000 მოწინავე პროლეტარებისა იტანჯებიან ციხეებში.

უნგრეთის ბურჟუაზიამ შემოიღო საშინელი თეთრი ტერორის რეჟიმი, ჩაახრჩო რა სისხლში საბჭოთა რესპუბლიკა. ბურჟუაზია შურს იძიებს მუშათა კლასისადმი. ათასობით პროლეტარები იტანჯებიან ციხეებში, ბევრი დაიღუპა ბრძოლაში.

ბულგარეთში—ცანკოვის მთავრობამ რუსეთის თეთრგვარდიელების, ვრანგელის აფიცრების დახმარებით ჩააქრო მუშების და გლეხების ორი აჯანყება. ათასობით უიარაღო მებრძოლები დახვრეტილ იქნენ, ხოლო ბულგარეთის ციხეებში ჩაყრილია არა ნაკლებ 3.000 კაცისა, უმთავრესად გლეხი.

პოლონეთში—სწარმოებს მუშათა კლასის, უღარიბეს გლეხობის და ჩაგრულ ეროვნულ უმცირესობის გაცხარებული ბრძოლა პანების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. კრაკოვის მუშათა გმირული აჯანყება ჩაქრობილ იქნა ცეცხლითა და მახვილით. მრავალი ათასი მუშა და გლეხი იტანჯებიან ციხეებში.

იტალიაში—მუშათა კლასი გმინავს ფაშიზმის უღლის ქვეშ. ფაშისტური ორგანიზაციები არბევენ, ცეცხლს უკიდებენ, ხოცავენ მუშათა წინამძღოლებს. დაახლოვებით 2.000 რევოლიუციონერი-მებრძოლი იტანჯება ციხეებში.

იაპონიაში—მიკადოს მთავრობამ ისარგებლა სტიქიურ უბედურებით—მიწის ძვრით—და მასიურად დახვრიტა მრავალი მუშა, აწამა და ციხეში ჩაჰყარა მუშების საუკეთესო წინამძღოლები.

პატარა თეთრ ლიტვაში და შორეულ იავაშიც, ამ ქვეყნის განაპირა კუნჭულში მიგდებულ კუნძულზე ბურჟუაზიას ციხეებში ჰყავს გამომწყვდეული 300 მუშა იმიტომ, რომ იმათ გაბედეს გალაშქრება ჰოლანდიელ ვაჭრების წინააღმდეგ.

იგივე მდგომარეობაა **ინდოეთში**, ყველა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში.

ყველგან, სადაც ჯერ კიდევ გაბატონებულია კაპიტალი, ციხეებში იტანჯება მრავალი ათასი მუშა და გლეხი.

ამხანაგებო! 18 მარტს, როცა ჩვენ პატივს ვსცემთ კომუნის ტანჯულ გმირებს, ნუ დაივიწყებთ ციხეებში დაპატიმრებულთ, კაპიტალის მსხვერპლთ და ტანჯულებს ევროპის, აზიის, ამერიკის და აფრიკის ყველა ქვეყნებში. შეჰკრიბეთ შემოწირულება კაპიტალის მსხვერპლთა ოჯახების სასარგებლოთ, გაავრცელეთ რევ. მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაციის ლიტერატურა, ჩაეწერეთ წევრებათ რევ. მებრძ. დახმ. საერთ. ორგანიზაციაში.

საუკუნო ხსოვნა პარიზის კომუნის ტანჯულ გმირებს! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს კომინტერნს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარი

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა დაუგზავნა ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს შემდეგი შინარსის ცირკულიარი:

„პარიზის კომუნის 53 ე წლის თავზე, 18 მარტს მოიწვიეთ მუშების და გლეხების კრებები. გაზეთების მორიგი ნომრები მიუძღვენით ამ დღეს. პარიზის კომუნის 53 წლის თავი არის თეთრი ტერორის მრავალ ათასეულ მსხვერპლთა დახმარების დღე. საჭიროა დახმარება გაეწიოს დაპატიმრებულებს, მათ ოჯახებს და კაპიტალთან ბრძოლაში დახოცილთა ობლებს.

ამ მიზნით საჭიროა პარიზის კომუნის 53 წლის თავზე აწარმოვოთ ფართო აგიტაცია მშრომელებს შორის: 1) რათა შეჰკრიბონ შემოწირულებანი რევოლიუციის მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაციის საშუალებათა გასაძლიერებლად, 2) რათა მიიღონ შეფობა ბურჟუაზიულ ციხეებში დაპატიმრებულ, ტანჯულ რევოლიუციონერებზე, 3) რათა შევიდენ რევოლიუციის მებრძ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაციაში.

რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი—იაკუბოვი.

რა ხდება გერმანიაში

ამ კვირაში მოელიან გერმანიის რეიხსტაგის დათხოვნას. ახალი არჩევნები დანიშნულია მაისში.

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ჰამბურგში გრძელდება. ბრემენის ნავთსადგურის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. მწარმოებლები ამაოთ ცდილობენ მათ ნაცვლათ შტრეიკბრეხერების მოწვევას.

მრეწველები ემზადებიან ახალ არჩევნებში მემარცხენე პარტიების დასამარცხებლად.

ბერლინში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და ნაციონალისტებს შორის.

რეიხსტაგის დათხოვნა

დაწვრილებითი ცნობები რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ.

ბერლინი. 12 მარტი. რეიხსტაგი დათხოვნილია იმის გამო, რომ ოპოზიციის წინადადება ხელს უშლის ქვეყნის გაჯანსაღების ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას.

ბერლინი. 12 მარტი. რეიხსტაგის პრეზიდენტმა ლებემ განაცხადა, რომ რეიხსტაგი დათხოვნილი იქნება ხუთშაბათს ან პარასკევს. ახალი არჩევნების ვადა ჯერ არ არის გამორკვეული.

ბერლინი. 14 მარტი. რეიხსტაგი დათხოვნილი იქნება ხუთშაბათს, რადგან სოციალ-დემოკრატები უარს ამბობენ წაიღონ უკან დამატება კანონპროექტისა დეკრეტების გამოცემის შესახებ. ებერტი დასთანხმდა დათხოვნას პოლიტიკური პარტიების მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღების შემდეგ.

პროფკავშირები და მუშები

ბერლინი. 12 მარტი. კომპარტიის ცეკამ და ბერლინის კომიტეტმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია პროფკავშირებში პარტიის ტაქტიკის შეცვლის შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ მილიონი მუშები გამოვიდენ პროფკავშირებიდან, რის გამოც შეიცვალა დარაზმულ მუშების დამოკიდებულება დაურაზმავ მუშებისადმი. პროფკავშირებისა ლიდერები სცდილობენ გადააქციონ თავიანთი ორგანიზაციები კაპიტალისტურ მთავრობის დამხმარე აპარატად.

ცეკა ფიქრობს, რომ კომპარტია აქტიურად უნდა გამოეხმაუროს პროფკავშირთა ბიუროკრატიის ტაქტიკას, რომელი ბიუროკრატიაც სცდილობს გამორიცხოს პროფკავშირებიდან ყველა რევოლიუციონური ელემენტები. ამ მიზნით მაისის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნება დარაზმულ და დაურაზმავ მუშების რევოლიუციონურ წარმომადგენელთა ყრილობა. ფაბრიკა-ქარხნების რევოლიუციონური კომიტეტები უნდა გადაიქცენ ცენტრად, სადაც თავს მოიყრიან დაურაზმავი მუშები.

საწარმოვო კავშირების შექმნის პროექტი.

ბერლინი. 12 მარტი. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობაზე მთელი რიგი ორატორებისა მოითხოვდა დამოუკიდებელ პროფკავშირებიდან გამოსვლას და საწარმოვო კავშირების შედგენას, რომლებიც უნდა შეუერთდენ პროფინტერნს.

პარტიის ცეკას წარმომადგენლები ილაშქრებდენ პროფკავშირებიდან გამოსვლის წინააღმდეგ.

ჰამბურგში

ნავთსადგურის მუშების სიმტკიცე.

ბერლინი. 12 მარტი. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ჰამბურგში გრძელდება.

ნავთსადგურის მუშებმა ბრემენში გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, ლიუბეკშიაც მოსალოდნელია აგრეთვე გაფიცვის გამოცხადება.

მწარმოებლები ტყუილ-უბრალოდ სცდილობენ შტრეიკბრეხერების სამუშაოზე დაყენებას. ლიუდვიგსჰაფენში გაიმართა დემონსტრაცია პოლიციასთან შეტაკების დროს დახოცილ მუშების დაკრძალვის დღეს.

რეინ-ვესტფალიის ნახშირის რაიონის მემადაროებმა გადასწყვიტეს შესწყვიტონ გაფიცვა, რომელიც 7 კვირა გრძელდებოდა.

შავი ძალები ირაზმებიან

ბერლინი. 12 მარტი. მრეწველთა საიმპერიო კავშირი საიდუმლო ცირკულიარში იუწყება საარჩევნო კომისიის შედგენის შესახებ და მოუწოდებს ადგილობრივ განყოფილებას შექმნას საარჩევნო ფონდი. მრეწველები გამოდიან დევიზით „ახალმა რეიხსტაგმა უნდა მოახდინოს სოციალისტების მიღწევების ლიკვიდაცია“.

კომუნისტების და ნაციონალისტების შეტაკება.

ბერლინი. 14 მარტი. ბერლინის ჩრდილოეთით მდებარე კვარტალის ერთ-ერთ ლუდხანაში მოხდა სერიოზული შეტაკება კომუნისტებსა და უკიდურეს ნაციონალისტებს შორის. პოლიციამ დააპატიმრა 2 კომუნისტი. ბევრია დაჭრილი.

მდგომარეობა საბერძნეთში

თავდასხმა უცხოეთის მისიებზე.

პარიზი. 13 მარტი. ბრიტანეთის მისიაში ათინაში ბოროტგამზრახველებმა მოაწყვეს აფეთქება დინამიტის ვაზნის საშუალებით, რომელიც დადებული იყო სადარბაზო კარებთან. აფეთქებამ მოგლიჯა კარები. ზარალი უმნიშვნელოა. პრემიერმა მწუხარება განუცხადა ბრიტანეთის პრეზიდენტს. რუმინეთის მისიის შენობასთან აღმოჩენილი იქნა დინამიტის 8 ვაზნა. დატუსაღებულია რამოდენიმე კაცი.

რომი. 13 მარტი. საბერძნეთის კაბინეტი საბოლოოთ ჯერ კიდევ არ არის შემდგარი. იტყობინებიან, რომ კაბინეტის თავჯდომარეთ იქნება პაპანასტასიო, რომელიც მიიღებს გარეშე საქმეთა მინისტრის და დროებით ფინანსთა მინისტრის პორტფელს.

კაბინეტი უკიდურეს რესპუბლიკანელებისაგან.

ვენა. 13 მარტი. საბერძნეთის ახალი კაბინეტი შედგენილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს რესპუბლიკანელებისაგან.

საფრანგეთი და ინგლისი

საფრანგეთს ეშინია კოლონიების დაკარგვის.

პარიზი. 11 მარტი. ბრიტანეთის ფლოტის მანევრები ვალეარის კუნძულებთან საფრანგეთ—ალჟირ—ტუნისის ხაზზე უკმაყოფილებას იწვევს საფრანგეთის პრესაში. საფრანგეთის პოლიტიკური წრეების უკმაყოფილებას გამოხატავს „ეკლერ“-ი, რომელიც სწერს „საფრანგეთის, იტალიის და ესპანეთის დასანახავათ პაციფისტური ინგლისი, რომელსაც განაგებს მუშათა პარტია, ფიქრობს თავისი ესკადრების დახმარებით ერთხელ კიდევ დაამოწმოს ამაყი დევიზი: „იბატონე, ბრიტანეთო, ზღვებზე“.

იტყობინებიან, რომ საფრანგეთის ესკადრა, ინგლისის ფლოტის მანევრების გამო ხმელთაშუა ზღვაზე, თავს მოიყრის ტულონში.

საფრანგეთ ინგლისის ინციდენტი.

რომი. 13 მარტი. ჟენევიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ერთა ლიგაში საარის საკითხის განხილვის დროს საფრანგეთის და ინგლისის დელეგატებს შორის ადგილი ჰქონდა ინციდენტს. საფრანგეთის დელეგატმა უარჰყო ბრალდება იმის შესახებ, თითქოს საფრანგეთი იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს.

სხვადასხვა ამბები

ოსმალეთი

ხალიფატის ჩამოგდების გარშემო.

ლონდონი. 14 მარტი „დეილი-მეილ“-ის იერუსალიმის კორესპონდენტის ცნობით, გეჯასის მეფემ ჰუსეინმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ხალხის სურვილის გამო მან უნდა მიიღოს თავის თავზე ხალიფატი, როგორც თურქების მიერ ჩამოგდებულ აბდულ-მეჯიდის მემკვიდრეობა. სხვა არჩევანი მას არ აქვს.

რომი. 14 მარ. იტალიის პრესამ გამოაქვეყნა კავშირ „დალახარ“-ის წერილი, რომელშიაც ის პროტესტს აცხადებს ჰუსეინის ხალიფად დანიშვნის წინააღმდეგ. 50 შეიხმა, ულემმა და მუსლიმანთა სხვა მაღალმა სამღვდელო პირებმა ჰუსეინს მისწერეს წერილი, რომელშიაც აცხადებენ, რომ ხალიფა დამტკიცებული უნდა იქნეს ყველა მუსლიმან ხალხთა მიერ.

ახალი კონსტიტუციის გარშემო.

სტამბოლი. 14 მარტი. ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის გამო, ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების ეკონომიის ყოფილმა კომისარმა მახმედ ესადმა „ვატან“-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც ის ილაშქრებს პრეზიდენტისათვის მეჯლისის დათხოვნის და ვეტოს უფლების მინიჭების წინააღმდეგ. მახმედ ესადი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია მეჯლისის უფლებების შეზღუდვა.

ბულგარეთი

ახალი ამბები მთავრობაში

სტამბოლი 12 მარტი. სოფიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დემოკრატიული „სგოვორი“ საბოლოოდ გაიხრწნა. მზადდება ახალი ბურჟუაზიული ბლოკი მალინოვის მეთაურობით. მოსალოდნელია ცანკოვის კაბინეტის დაცემა. მის მემკვიდრეთ ასახელებენ მალინოვს.

გენერალ ლაზარევის სამხედრო დიქტატურა, ვრანგელის მიმდევართა დახმარება და მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირისადმი იწვევს ქვეყნის საერთო აღშფოთებას. ხელისუფლების წარმომადგენლები საგონებელში არიან ჩავარდნილი რევოლიუციონურ გლეხთა კავშირების და კომუნისტების გავლენის ზრდის გამო.

ამერიკა

ჩერვონეცი და დოლარი

ნიუ-იორკი. 12 მარტი. აღნიშნავს რა ჩერვონეცის კურსის ზრდას დოლართან შედარებით, ამერიკის ფინანსიურ წრეების ორგანო „უოლსტრიტ-ჯორნალი“ ამბობს, რომ ეს ზრდა გამოწვეულია მცხოვრებთა ნდობით ჩერვონეცისადმი და მასზე დიდი მოთხოვნილებით, ფულის ნიშნების ნაკლულევანების გამო.

პოლონეთი

პოლონეთის ციხეების საშინელებანი.

ვარშავა. 12 მარტი. სეიმის საბიუჯეტო კომისიაში დეპუტატმა რონმარინმა გამოაქვეყნა ბრეკერის წერილი. ბრეკერი ზის ლვოვის ციხეში კომუნისტურ პარტიის წევრობისათვის. ბრეკერი აღწერს იმ წამებას, რომელსაც ადგილი აქვს ლვოვის ციხეში. თვით ბრეკერს აწამებენ ყოველ დღე 4—5 საათის განმავლობაში: მას სცემდენ და ჩხვლეტავდენ ელექტრონის ნაკადით. ცნობიერების დაკარგვის შემდეგ, ბრეკერი მოჰყავდათ გრძნობაში და წამება თავიდან იწყებოდა. ბრეკერმა ვერ გაუძლო ასეთ წამებას და ხელი მოაწერა პოლიციის მიერ წინდაწინ შეთხზულ ცრუ ჩვენებებს.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

1902 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა.

მოსკოვი. 13 მარტი. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა გადასდოს იმ სამეცნიერო მუშაკთა, მოწაფეთა და მასწავლებელთა ჯარში გაწვევის ვადა, რომელნიც დაბადებულნი არიან 1902 წელში

12 მარტის დღესასწაული მოსკოვში.

მოსკოვი. 14 მარტი. 12 მარტს გაიმართა ყოფილ კატორღელების საზეიმო სხდომა მეფის ტახტის დამხობიდან 7 წლის თავის აღსანიშნავად. კრების პრეზიდიუმში არიან: ვერა ფიგნერი, დეიჩი, აშენბრენერი და სხვები. ძველისძველი რევოლიუციონერი „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის წევრი, მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი აშენბრენერი ჩაცმულია წითელარმიელის თანსაცმელში. მისალმებათა და მისასალმებელ დეპეშების წაკითხვის შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რადეკი, რომელმაც დაახასიათა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც დიპლომატიური მზადება ახალ, აუცილებელ მსოფლიო ომისათვის, თუ ევროპის პროლეტარიატმა ხელი არ შეუშალა ამას. ამხ. რადეკმა ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდას მსოფლიოში, რაც გამოწვეულია იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის შექმნილ ანტაგონიზმის ნიადაგზე.

ამხ. სვერდლოვის გარდაცვალების 5 წლის თავი

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება.

მოსკოვი. 14 მარტი. 16 მარტს სრულდება 5 წელიწადი მას შემდეგ, რაც პროლეტარიატმა დაკარგა ერთი თავისი თავდადებული ბელადთაგანი, რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის პირველი თავმჯდომარე, რუსეთის კომპარტიის ცეკას წევრი—იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი, რომელიც გარდაიცვალა მოსკოვში სწორედ იმ დროს, როდესაც მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებდა პარტიის მერვე ყრილობის მოსაწვევათ; ამ დროს სწარმოებდა აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების იმ მნიშვნელოვან დეკრეტების დამუშავება, რომელიც დასმული იყო დღის წესრიგში სამოქალაქო ომის ფრონტზე მომხდარ ამბებით და ზურგის მდგომარეობით.

მისი ხსოვნა აღსანიშნავათ საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა გამოსცეს მისი სრული ბიოგრაფია და მისი გარდაცვალების 5 წლის თავზე გააშუქოს პრესაში ამხ. სვერდლოვის მოღვაწეობა, მისი როლი და მნიშვნელობა, როგორც მშრომელთა ბელადის.

ამხ. სვერდლოვის სახელის უკვდავყოფა.

17 მარტს 1919 წელს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე დადგენილ იქნა: „პროლეტარიატის ბელადის უკვდავსაყოფათ თეატრალურ მოედანს მოსკოვში დაერქვას სვერდლოვის სახელობის მოედანი და აგებულ იქნეს სვერდლოვის მოედანზე გარდაცვალებულის ძეგლი.

სად არის დასაფლავებული ამხ. სვერდლოვი.

ამხ. სვერდლოვი დასაფლავებულია წითელ მოედანზე კრემლის კედელთან, კრემლის ბაღის ცენტრში.

სვერდლოველები ერთგულად ემსახურებიან ბელადის ხსოვნას.

მოსკოვი. 14 მარტი. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს სვერდლოვის უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ლიადოვმა აღნიშნა, რომ მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში სტუდენტები—სვერდლოველები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ბელადის ხსოვნას, მუდამ იყვნენ პროლეტარული რევოლიუციის ერთგული დამცველები და პირველი ადგილი ეჭირათ მებრძოლთა რიგებში.

გერმანიის მუშები—საქართველოს მუშებს

საქართველოს წითელი სატახტო ქალაქის მუშებო და მუშა-ქალებო!

ძვირფასო ამხანაგებო!

უდიდესი სიამაყით მიიღო კომინტერნის გერმანულმა სექციამ თქვენ მიერ გერმანიის პროლეტარიატისათვის მიძღვნილი წითელი დროშა. ტფილისის პროლეტარიატმა, რომელიც იმყოფება მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის საერთაშორისო ფრონტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პოსტზე, ამით დაამტკიცა თავისი ღრმა რწმენა გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონური ნებისყოფისადმი. ეს თქვენი რწმენა უფრო მეტის ძლიერებით წაიყვანს გერმანიის მუშებსა და გლეხებს გმირულ ბრძოლაში თავის კლასობრივ მტერთან, რომ გახდეს ღირსი თქვენი ძმური ნდობის.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გერმანიის რევოლიუციონური მუშათა კლასის დროშები ისევ მის საუკეთესო მებრძოლთა სისხლით იღებებოდა. რამდენიმე ათეული მებრძოლი ხიშტებით დაჰგლიჯეს თეთრგვარდიელთა ბანდებმა, რომლებიც შეიჭრენ საქსონიაში, მოღალატეთა გერმანელ მენშევიკების კარნახით. 6000 მეტი კომუნისტი დღემდი ციხეში იტანჯება მას შემდეგ, რაც კომუნისტური პარტიის ლეგალური არსებობა აკრძალეს ამავე მოღალატეებმა, მენშევიკებმა.

მაგრამ იყო თუ არა ოქტომბრის ამბები საქსონიაში არა მარტო გერმანიის პროლეტარიატის, არამედ გერმანიის კომუნისტური პარტიის უიმედო მდგომარეობის დამამტკიცებელი?

არა, ამხანაგებო, არ იყო.

ამხანაგებო, წარსული ოქტომბრის ამბებმა გერმანიაში უფრო მწვავე ფორმაში, ვიდრე ოდესმე, კვლავ დასვა დღის წესრიგში საკითხი რევოლიუციონური გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის შესახებ. მართალია ეს საკითხი გერმანიაში მრავალჯერ დასმულა რამდენიმე წლის განმავლობაში და ყოველთვის ისევ იხსნებოდა, რევოლიუციონური ტალღის სწრაფი ბრძოლა ცხრებოდა, ნელდებოდა ნამდვილი ურაგანი არასოდეს არ ამოვარდნილა.

შორეულ საქართველოში მყოფ ამხანაგებს ამიტომ შესაძლებელია ადვილად მოეჩვენოს, რომ ახლაც გერმანიაში ყველაფერი ძველებურად დარჩა. და მართლაც რევოლიუციონური მოძრაობა გერმანიაში ისევ დამარცხებით დასრულდა. მაგრამ მაინც მდგომარეობა გერმანიაში არსებითად შეიცვალა.

ამხანაგებო! რათა საქსონიაში მომხდარი ამბები თქვენთვის ნათელი გახდეს, თქვენ მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ ეს ამბები წარმოადგენდენ გერმანიის პროლეტარიატის ფართე მასების თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლის პირველ ცდას, ხანგრძლივი უკანდახევის შემდეგ. დამარცხება არ სცვლის იმ ფაქტს, რომ ახლაც, დამარცხების შემდეგაც, მუშათა კლასი ახდენს თავისი რიგების გადაჯგუფებას ახალი შეტევისათვის, უკვე მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. გერმანიის მუშათა კლასს ამ დამარცხებამ შეაგნებინა უფრო მეტი შეკავშირების საჭიროება. შეკავშირების საჭიროების ამ შეგნებას მუდამ ძირს უთხრიდენ სოციალ-დემოკრატები, რომელთაც ყველაზე უფრო ეშინოდათ მასების შეკავშირების, ვინაიდან რევოლიუციონური მოძრაობის საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ ფართე მასებს ჰქონდათ შეგნებული, რომ თავისი რიგების შეკავშირებით მათ შეუძლიათ დაამარცხონ და უკან დაახევინონ უკეთესად შეიარაღებულ უფრო ძლიერ მტერს. ამ შეგნებას მასებში სოციალ-დემოკრატები მუდამ ძირს უთხრიდენ თავისი პოლიტიკით. მაგრამ ჩვენ გერმანიაში მივაღწიეთ სოციალურ წინააღმდეგობათა და სოციალური გაჭირვების გამწვავების ისეთ წერტილს, რომ მასებს მეტი მოთმენა არ შეუძლიათ, რომ ეს გაჭირვება აიძულებს მათ მიმართონ ერთად ერთ გამოსავალს—შეიარაღებულ პროლეტარიატის მასიურ აჯანყებას.

თუ სოციალ-დემოკრატიის ბელადებს დღემდი საშუალება ჰქონდათ ეღალატნათ მუშათა კლასისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი გერმანიის მუშათა კლასი ნებას აძლევდა მას ეღალატნა მისთვის, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რამდენიმე საძაგელი კაცი, მოღალატეები გერმანიის სოციალ-დემოკრატები, შესძლებდენ ნამდვილათ შეგნებული მრავალ-მილიონიანი პროლეტარული მასების შეცდომაში შეყვანას.

არა, ამხანაგებო, ეს შესაძლებელი იყო მომხდარიყო მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მასები არ იყვენ ნამდვილათ შეგნებული.

1918 წლის რევოლიუციონური გადატრიალების მომენტში მუშათა კლასი არ იყო მტრულად განწყობილი კაპიტალისტების მიმართ. მას არ ჰქონდა კიდევ გაცრუებული იმედი მათ მიმართ, მან დაჰკარგა მხოლოდ ომისა და კაიზერის იმპერიის რწმენა. ის გამსჭვალული იყო სიძულვილით ომისადმი, სიძულვილით კაიზერისადმი, მაგრამ მან კიდევ არ იცოდა, რომ ომსა და კაიზერის ზურგს უკან იმალება კაპიტალიზმი.

გერმანიის მრეწველობის მთელი განვითარება ხელს უწყობდა გონების ასე დაბნელებას. გერმანიის ბურჟუაზია იძულებული იყო მოეთმინა პროფკავშირების განვითარება, მოეთმინა სოციალ-დემოკრატიული პარტია გერმანიაში, იმიტომ, რომ მხოლოდ გერმანელ მუშების ხელით შესძლებდა ბურჟუაზია თავისი ისტორიული მისიის შესრულებას—მსოფლიო ბაზრის დაპყრობას თავისი უდიდესი საწარმოო აპარატის საშუალებით. და ამ ბურჟუაზიის სუფრიდან მუშათა კლასსაც ხვდებოდა ნამცეცები!

ამ ნიადაგზე წარმოიშვა და განვითარდა ის შეთანხმებლური განწყობილება, რომელიც მალავდა გერმანიის მუშათა კლასის წინაშე, რომ კაპიტალიზმი მისი შეურიგებელი მტერია.

ამხანაგებო, ასეთი კლასების შერიგებისათვის ხელის შემწყობი პირობები თქვენში არასოდეს არ ყოფილა, თქვენი ქვეყნის მუშები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თავის ზურგზე განიცდიდენ და რწმუნდებოდენ, რომ კაპიტალსა და შრომას შორის შეთანხმება შეუძლებელია.

გერმანიის მუშათა კლასი მხოლოდ დღეს მივიდა ამ შეგნებამდი. დღეს გერმანიის მუშათა კლასი ისევ დგას იმ უფსკრულის წინაშე, იმ დაუსრულებელ გადატეხების და გამოუვალ მდგომარეობის წინაშე, რომლის წინაშე ის იდგა 1918 წლის ნოემბერში.

მაგრამ არის ზოგიერთი განსხვავებაც.

გერმანიის მუშათა კლასს ეხილება თვალი. მან გაიარა ახალ კაპიტალიზმისა და დემოკრატიზმის ყველა სტადიები, მოისმინა ათასი დაპირებები და ხედავს მათ სრულ გაკოტრებას, სრულს გაკოტრებას იმისას, რასაც მას 1918 წლის ნოემბერში პირდებოდენ. საშინელ გაჭირვებაში მყოფი ის ხედავს, თუ როგორ აღორძინების გზაზეა შემდგარი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი; თუ როგორ უწვდის მას დახმარების ხელს ამ ქვეყნის მოძმე მუშათა კლასი—აწვდის მას პურს; ის ხედავს, თუ რას მიაღწიეს მუშებმა, რომელთა ხელშია სახელმწიფო ძალაუფლება. და აი მხოლოდ ახლა მიდის ის ამ დასკვნამდი, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია იხსნას ის.

თვით კაპიტალიზმი მხოლოდ აჩქარებს მუშათა კლასის გაღვიძებას. ომმა გამოიწვია გადატრიალება კაპიტალის დამოკიდებულებაში მუშათა კლასისადმი. თუ ომამდე გერმანიის ბურჟუაზია დაინტერესებული იყო იმაში, რომ გაეძღო თავისი მუშები, რომ თავისი გაძღარი მუშების შრომით მოეგროვებია სიმდიდრე თავისთვის, ახლა გერმანიის ბურჟუაზია ამაში უკვე არ არის დაინტერესებული, ვინაიდან გერმანიის დაჰკარგული აქვს გამოსავალი მსოფლიო ბაზარზე. გერმანიას უკვე არ შეუძლია თავისი ნაწარმოების გასაღება ძველი რაოდენობით. ამის გამო კი არსებითად იცვლება ბურჟუაზიის დამოკიდებულება პროლეტარიატისადმი. ახლა ბურჟუაზია აწარმოებს თავდასხმას 8 საათის სამუშაო დღეზე, მუშათა კლასის არსებობის უკანასკნელ შესაძლებლობაზე. მაგრამ გერმანიის მუშათა კლასის ბიუჯეტის შემცირება ნიშნავს მისთვის აშკარა დაღუპვის მომზადებას. პროლეტარიატის დამოკიდებულება ბურჟუაზიისადმი—ეს არის პროლეტარიატის არსებობის საკითხი და ეს დამოკიდებულება უფრო და უფრო მწვავდება.

გერმანიის მუშათა კლასი უახლოვდება მთავარი საკითხის—ყოფნა არ ყოფნის საკითხის გადაჭრას. მასსა და ბურჟუაზიას შორის უნდა გადაწყდეს ძალაუფლების საკითხი. და აი, ამ პირობებში, გერმანიის კაპიტალისტური კლასი, რომელსაც ამას უკარნახებს მისი კლასობრივი ინტერესები, იწყებს იმ თვისებათა გამოჟღავნებას, რომელსაც რუსეთში იჩენდა მეფის მთავრობა პროლეტარიატის მიმართ. ახლა გერმანიის ბურჟუაზია მიმართავს დახვრეტას, დატუსაღებას, გადასახლებას და მუშათა ბელადების სასტიკ დევნას, კომპარტიის აკრძალვას და ისე ასწორებს ანგარიშებს მუშათა კლასთან, როგორც ოდესღაც თვითმპყრობელობა რუსეთში. და აქ გერმანიის მუშები იღებენ იმ გამოცდილებას კლასობრივ ბრძოლაში, რომელიც მათ აკლდათ და რომელიც ჰქონდათ რუს მუშებს.

უფრო და უფრო მეტის სიცხადით უახლოვდებიან გერმანიის მუშები იმ გამოსავალს, რომელიც ჰპოვა რუსეთის პროლეტარულმა რევოლიუციამ 1917 წლის ოქტომბერში. გერმანიის მუშები იწყებენ ახლა იმის გაგებას, რომ თავისი თავის გადასარჩენად ახლა საჭიროა „რუსულად ლაპარაკი“ გერმანიის ბურჟუაზიასთან, საჭიროა ლენინის ოქტომბრის მუშტის გამოყენება, რომ კლასობრივი მტერი ერთხელ და სამუდამოთ იქნეს დამარცხებული.

მაშ ასე, ამხანაგო, ჩვენ ვახდენთ ჩვენი რიგების გადაჯგუფებას ამ სასიკვდილო მახვილის ჩასაცემათ გერმანიის ბურჟუაზიისათვის.

ჩვენ ვახდენთ ჩვენი რიგების გადაჯგუფებას ღრმად დარწმუნებული ჩვენს გამარჯვებაში, მაგრამ ღრმა მწუხარებით იმის გამო, რომ კომინტერნის ამ მომავალი ზეიმის დროს ჩვენთან აღარ იქნება მისი დამაარსებელი და უდიდესი ბელადი ამხ. ვლადიმერ ილიჩ ლენინი.

მსოფლიო რევოლიუციის პირველი უდიდესი ბელადის გარდაცვალებამ, რამაც შეარყია მთელი დედამიწა, ერთხელ კიდევ ცხადჰყო რუსეთის რევოლიუციის მსოფლიო მნიშვნელობა.

მართალია, რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მსოფლიო რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებას, მაგრამ ის აიძულებს საერთაშორისო კაპიტალს ანგარიში გაუწიოს მას როგორც მოტორი, იჭრება ის საერთაშორისო ბურჟუაზიის ეკონომიურ ტენდენციებში, სპობს, ანგრევს და ამხობს უკვე მხოლოოდენ თავისი არსებობის ფაქტით.

რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციას სამგვარი მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

იმ დროს, როდესაც საერთაშორისო კაპიტალი ემზადება ახალ ომებისათვის, პროლეტარულ მსოფლიოს სადარაჯოზე სდგანან საბჭოთა კავშირის 150 მილიონი მუშა და გლეხი. აღფრთოვანებული ლენინის სულით, 150 მილ. მუშა და გლეხი უკვე ნებას არ აძლევენ არავის, რომ ბოროტათ გამოიყენონ ისინი ბურჟუაზიის ბრძანების თანახმათ; ისინი უკვე აღარ წავლენ მუშების მასიურ სასაკლაოზე. საერთაშორისო ბურჟუაზიის მარქაფი შემცირდა 150 მილიონით, საერთაშორისო რევოლიუციის მარქაფი გაიზარდა იმავე ციფრით.

მეორე საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ლენინმა კალამის ერთის მოსმით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და გლეხობას მხრებიდან მოხსნა რუსეთის ცარიზმის ვალები, რომელიც 60 მილიარდ მანეთს უდრიდა.

მესამე რევოლიუციონური აქტი, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, იყო რუსეთისკენ მიმავალ გზის დაცვა წითელი ხიშტის საშუალებით კაპიტალისტ მძარცველებისაგან, მიწებისა და ფაბრიკების გლეხებისა და მუშებისათვის გადაცემა და რუსეთის ნედლი მასალის დაცვა კაპიტალისტ-ექსპლოატატორების მტაცებლურ სურვილებისაგან.

ამით ლენინმა საბოლოოთ გასწყვიტა მთელი საერთაშორისო მეურნეობა ორ ნახევარსფეროთ—წითელი და თეთრი.

ამით ლენინმა დაარღვია საერთაშორისო კაპიტალისტური მეურნეობის წონასწორობა და წინ წასწია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის საერთაშორისო მასშტაბით. მიუხედავათ იმისა, უნდა თუ არა ეს საერთაშორისო კაპიტალს—ამ შეტაკებას ის მაინც ვერ ასცდება, მას ვერ უშველის ვერც საბჭოთა კავშირის ცნობა ქვევით დაქანებულ კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ. აი რატომ არის, რომ გერმანიის პროლეტარიატი და გლეხობა, როდესაც იგონებს დიდებულ ბელადს, ფიცსა სდებს შეასრულოს ბოლომდე ლენინის ანდერძი.

ვერაფერი ვერ შეაჩერებს მათ ამ ანდერძის შესრულებისაგან. ყველა ქვეყნის მუშებს ესმის უკეთ ვიდრე ოდესმე, ის ენა, რომლითაც ლაპარაკობდა მათი დიდებული ბელადი. ეს ენა ლენინის ლაპარაკება საერთაშორისო მუშათა მასას ცეცხლოვანი და ყველაზე უფრო წმინდა, ენით—თავისი სიცოცხლის მაგიერ. პოლიტ გაგებით.

მსხვერპლი თავისი სისხლით—აი უკანასკნელი ანდერძი მშრომელთა საერთაშორისო ოჯახის დიდებული ხელმძღვანელის, ანდერძი, რომელიც მის მიერ აღბეჭდილია საქმით. ლენინის სახელით ბაგეებზე ყველა ქვეყნის მუშები და გლეხები იბრძოლებენ, მოკვდებიან და გაიმარჯვებენ.

თქვენი დროშა, ძვირფასო ამხანაგებო, ეს სიმბოლოა ჩვენთვის უანგარო ერთგულების ამხ. ლენინის ანდერძისათვის.

თქვენი დროშა—ეს წმინდა სამ[illegible] უსაზღვრო [illegible] და [illegible] კომუნიზმის საქმის [illegible] ლად.

თქვენი დროშა—წითელი საქართველოს კომუნიზმის დროშაა; შეთანხმებით რა ბერლინის მუშებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციებიდან განსაკუთრებული მზრუნველობის ღირსია ქალ. ვოლფენბიუტელის ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც ცნობილია თავისი ისტორიული წარსულით.

ქალაქ ვოლფენბიუტელის ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაცია ერთი პირველთაგანი იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებიდან, ის აღმოცენდა 70-ან წლების დასაწყისში.

როდესაც საერთაშორისო ომის დასაწყისში გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ უღალატა კარლ მარქსის ანდერძს, ქალაქ ვოლფენბიუტელის ადგილობრივი ორგანიზაცია მთლიანად გადავიდა ოპოზიციის ბანაკში, შემდეგ შეუერთდა გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატიულ პარტიას, 1920 წელში კი, ქ. ჰალეში მომხდარ ყრილობის შემდეგ, ისევ თითქმის მთლიანად გადავიდა გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამ ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ უკვე დიდი ხანია გამოსთქვა სურვილი მოეხდინა დროშების გაცვლა-გამოცვლა მოძმე რუსეთის კომპარტიის ერთ-ერთ მოწინავე მებრძოლ ორგანიზაციასთან. ამიტომ ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ შეგვიძლია შევასრულოთ ეს სურვილი, თქვენს წითელ მებრძოლ დროშას ჩვენ მათ გადავსცემთ შესანახათ.

ამასთანავე გიძღვნით თქვენ ძვირფასო ამხანაგებო, ქალაქ ვოლფენბიუტელის ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციის ძველ დროშას, რომელიც მიძღვნილი იყო პირადათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძველი მებრძოლის ავგუსტ ბებელის მიერ.

ძვირფასო ამხანაგებო, ამ დროშით თქვენს ხელში გადმოდის გერმანიის რევოლიუციონური მუშათა მოძრაობის ნამდვილი ნატეხი. ეს დროშა 1918 წ. ამაყათ ფრიალებდა ქალაქ ვოლფენბიუტელის ქალაქის გამგეობის შენობაზე. უცქეროდენ რა მას, როგორც თვალის ჩინს ჩვენი ამხანაგები გულის ტკივილით ეთხოვებიან ამ დროშას, რომელსაც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში მიუძღოდა ბრძოლაში თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობისათვის. ეს დროშა მოწამე იყო მრავალ ამხანაგების სახელოვანი სიკვდილის რევოლიუციონურ ბრძოლაში. და მხოლოდ უსაზღვრო სიყვარულს და პატივისცემას საბჭოთა კავშირის თავდადებულ რევოლიუციონურ მუშებისადმი შეეძლო აეძულებია ვოლფენბიუტელის რაზმის ჩვენი ამხანაგები მიეტანათ ეს მსხვერპლი თავის ძვირფას ძმებისა და დებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა ვარსკვლავი ძველ სოციალ-დემოკრატიულ დროშაზე ყველაზე უკეთ გეუბნებათ თქვენ იმის შესახებ, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირის წითელ საზღვარს იქით, განსაკუთრებით კი, გერმანიაში.

გერმანიის მთელი მუშათა კლასი და გლეხობა მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირის საზღვრები მიყვანილი იქნება მდინარე რეინამდი.

დაე გერმანიის კომუნისტურ მებრძოლების ვოლფენბიუტელის რაზმის დროშა საწინდარი იყოს თქვენთვის, ამხანაგებო, იმაში, რომ გერმანიის მუშათა კლასი თავის ძალების დაუზოგველათ შეუწყვეტლივ იბრძოლებს ჩვენი საერთო მიზნის მოახლოვებისათვის.

მხურვალე რევოლიუციონური სალამი წითელ საქართველოს დედაქალაქის მუშებს და მუშა ქალებს, გლეხებს და გლეხ ქალებს, წითელი არმიის სახელოვან გმირებს—ქალაქ ტფილისის ამხანაგებს.

გაუმარჯოს რუსეთის კომპარტიას—საერთაშორისო კომპარტიის—კომინტერნის ძირითად სამაგალითო უჯრედს.

გაუმარჯოს სრულ გამარჯვებას მშრომელთა კლასიურ მტერზე.

გაუმარჯოს კომუნიზმს.

გაუმარჯოს სახელოვან წითელ საქართველოს.

კომინტერნის გერმანული სექცია: კლარა ცეტკინ.

კომინტერნის გერმანული სექციის მდივანი: ი. ეიზენბერგერ

ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა

სრულიად ბელორუსიის საბჭოების საგანგებო ყრილობა.

მინსკი. 12 მარტი. სრულიად ბელორუსიის საბჭოების საგანგებო ყრილობა გაიხსნა 13 მარტს. ქალაქში ჩამოდიან მუშების და გლეხების მრავალრიცხოვანი დელეგაციები.

ამხ. კალინინის ჩამოსვლა.

მინსკი. 14 მარტი. ჩამოვიდა ამხ. კალინინი, რომელიც გამოვა ბელორუსიის საბჭოთა საგანგებო ყრილობაზე. სადგურზე ამხ. კალინინს შეხვდენ ყრილობის დელეგატები—მუშები და გლეხები, რომელნიც მივიდენ სადგურზე წითელი დროშებით და ორკესტრით.

ყრილობის გახსნა.

მინსკი. 14 მარტი. დიდის ზეიმით გაიხსნა ბელორუსიის საბჭოთა მე-6 საგანგებო ყრილობა, რომელსაც დაესწრო 600 დელეგატი. დარბაზი სავსეა დამსწრეებით. გლეხთა, მუშათა და წითელარმიელთა რიცხვი აღემატება 2.500 კაცს. ყრილობა ფეხზე ადგომით პატივს სცემს ლენინის ხსოვნას. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს. საპატიო თავმჯდო-

დისკუსია

ცეკავშირისა და წარმოკავშირის ურთიერთ დამოკიდებულების გარშემო

ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის

ჩვენი მეურნეობა საშინლად ...ის ჩამორჩენილი და მისი ამ მდგომარეობაში გაჩერება არ შეიძლება. ...რომ მისი გამობრუნება და ა...ნა. ამ საქმეში სახელმწიფოს შეუძლიან მხოლოდ დახმარება; თავი და თავი მუშაობა გლეხკაცობამ უნდა გასწიოს; ხოლო გლეხ-კაცობა მაშინ შეასრულებს ამ საქმეს, მაშინ დაიწყებს მეურნეობის გაუმჯობესებას, თუ მას იმედი ექნება და მიიღებს კიდეც თავის ნამუშევარში, ნაჭირნახულში სრულ ფასს; ამჟამად გლეხსა და მომხმარებელს შუა ჩაჩრილია შუაკალი, ვაჭარი, რომელიც მთელ მოგებას ჯიბეში იდებს; ბაზარზე გაყიდულ საქონლის ფასიდან ბევრჯელ გლეხზე მეტი ვაჭარს რჩება ჯიბეში; ამ პირობებში მეურნეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება: რატომ ან რითი უნდა იყიდოს გლეხმა გუთანი, თესლი, ან საქონელი, თუკი შრომა არ დაუფასდება და საჭირო თანხაც არ ექნება. კიდევაც რომ იშოვოს ამე ფული, ვერ გაჰბედავს სესხის აღებას, თუ მას იმედი არ ექნება, რომ ნასესხებ ფულის გასტუმრებას შეძლებს მაშასადამე, თუ ჩვენ გვინდა მეურნეობის გაუმჯობესება, აუცილებლად საჭიროა, რომ გლეხკაცს ჩამოშორდეს ვაჭარი და ის მოგება, რომელიც აქამდე ვაჭრის ჯიბეში მიდიოდა, გლეხს გადაეცეს.

...ი, როცა ეს მოეწყობა, მაშინ შეიძლება გლეხ-კაცობას სახელმწიფო დაეხმაროს კრედიტით, ე. ი. იგი აწოდოს მეურნეობაში საჭირო თანხა, რათა გლეხმა ხელი მოიწყოს ...ს და მეურნეობის გაუმჯობესება შეძლოს. შემდეგ ამისა, საჭირო იქნება გლეხის მეურნეობაში მასალა-იარაღის მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება ხალხში და საამხანაგო მუშაობის მოწყობა სოფლად.

ყველა ეს უნდა მოაწყოს გლეხობამ. ცალ-ცალკე დაქსაქსული გლეხკაცობა ვერაფერს გახდება. ვერც ვაჭარს ჩამოიშორებს, ვერც ფულს იშოვის, ვერც საჭირო მასალა იარაღს შეიძენს და ვერც სასოფლო სამეურნეო ცოდნას მიიღებს. ამისათვის საჭიროა გლეხკაცობის დარაზმვა, დაჯგუფება მცირე რაიონის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებში.

ამ სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის მიზანია მოიშოროს თავიდან ვაჭარი. ამისათვის იგი აგროვებს ... წევრთაგან მათ ნაწარმოებს, არიგებს მას და ცდილობს როგორც ხედავთ, ისე გადამუშავებული ფორმით მომხმარებელს მიაწოდოს, ...სხვაგან გაჰყიდოს; თუ ადგილობრივ არა აქვს ფასი, გააქვს სხვაგან, ზოგჯერ საზღვარ გარეთაც. ამით იგი ცდილობს გლეხს ამ გვარი დაუფასოს, ხშირ რომ... მეტი ფასი აძლევინოს. ამას გარდა ამხანაგობის მიზანია თვითონ იყიდოს და გლეხს მიაწოდოს იაფად მეურნეობაში საჭირო მასალა-იარაღი—გუთანი, მანქანები, ცელი, ბარები, ჩანგლები, თესლეულობა, შაბი და გოგირდი, აპარატები და მრავალი სხვა; თუ წევრს არა აქვს თანხა ამ იარაღის შესაძენად, ამხანაგობას შეუძლიან ნისიად მისცეს მასალა-იარაღი—მაგ. გუთანი, შაბი გოგირდი თესლეულობა; თუ საქონელი არა სჭირდება და წევრს უნდა ფული მეურნეობაში მოსახმარად, მაგ. ვსთქვათ ხარ-კამეჩის, ნამყენის საყიდლად, ბაღის ან ვენახის გასაშენებლად ან სხვა რამ სამეურნეო საჭიროებისათვის, აქ ამხანაგობას შეუძლიან ფულითაც დაეხმაროს თავის წევრთ, ოღონდ საჭიროა, რომ მისი მოქმედების რაიონი, ფარგალი არ იყოს დიდი, რათა ამხანაგობას შეეძლოს თვალი დაიჭიროს გატანილი სესხი ნამდვილათ მეურნეობას მოახმარა წევრმა, თუ არა, ან ექნება სახლი არ არის, ან ისეთს გააქვს, რომელსაც არ იყუთვნის, მდიდარია, მაგალითად წარსულ პრაქტიკაში იყო იმის მაგალითები, რომ საკრედიტო ამხანაგობანი, რომელთა რაიონიც მეტად დიდი იყო, სათანადოთ ვერა სცნობდნენ წევრებს და სტყუვდებოდნენ, ზარალში ვარდებოდნენ და ხალხისაგანაც საყვედური მოსდიოდათ; ამხანაგობა სცდილობს კიდევ საამხანაგო, საზიარო მუშაობის გავრცელებას მაგალითად ყველას აქვს გაგონილი ტრაქტორი. ეს არის მოტორიანი გუთანი, რომელიც თავისით ხნავს; მხოლოდ მას უნდა დიდი თარგი მიწა, პატარ-პატარა ნაჭერ მიწაში იმის მუშაობა ძალიან ძნელიც არის და ძვირიც ჯდება. აი ამ შემთხვევაში შეიძლება დაიყოლიოს წევრები და ვსთქვათ გინდ ერთის წლის ვადით მიწა საერთოდ მოიხნას და მერე საერთოდ თუ არა, ცალკე დაითესონ: ეგ არის, რომ როცა დიდი თარგია დათესილი, შეიძლება მანქანით დაითესოს სიმინდისა, მაგ. იმერეთში, სადაც მეტად დაქუცმაცებულია მამულები, და მანქანითვე გათოხნოს; ეს მეტად სახეიროა, რადგან ნახევარზე სჭრის საჭირო მუშას: დღიურს სიმინდს სჭირდება ქართულად დათესილს 12 მუშა, მანქანით დათესილს და მანქანითვე გათოხნილს ეყოფა 6 მუშა; შეიძლება მოეწყოს პურის გალეწვა საამხანაგო პურის სალეწი მანქანით, პურის გაკეთება, საზიარო მანქანით და სხვა მრავალი. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის მიზანი მარტო აღებ-მიცემობით როდი განისაზღვრება; მისი ვალია აგრეთვე მეურნეობის გაუმჯობესება და ამას ჩვენ ვაქცევთ უდიდეს მნიშვნელობას.

სოფლის მეურნეობის ცვლილება საჭიროებს თანდათან, ხალხში აქამდე ... კვლევა-ძიების საშუალებით სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა დარაჯად უნდა ედგას თავის რაიონის მეურნეობას—თუ სადმე შემჩნეული იქნა მეურნეობის გაუმჯობესების, კვლევა-ძიების წარმოებისა, ამხანაგობის ვალია დაეხმაროს და წაახალისოს, ამხანაგობის ვალია ამ კვლევა ძიებას ალღო აუღოს და ღონეზე მისცეს მას სათანადო მიმართულება. ამისათვის მას უფლება აქვს გაავრცელოს წევრებში მეურნეობის შესახებ ნამდვილი მეცნიერული ცოდნა, გააგებინოს წევრებს ტეხნიკის ახალი წესი—მაგ. მანქანით თესვა, გაავრცელოს ახალი თესლეულობა ბოსტნეულისა, ბალახეულობისა, აჩვენოს ხალხს გაუმჯობესებული წესი ჩარის დანერგვისა, ხეხილის წამლობა, მოაწყოს ლექციები და საუბრები სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ, აჩვენოს გაუმჯობესებულ იარაღის მუშაობა, მიიღოს სასწრაფო ზომები თუ მის წევრთა მეურნეობას რამე საფრთხე მოელის და სხვა.

ეს მუშაობა მით უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო ახლოა, ხელმისაწვდომია წევრისათვის ორგანიზაცია: როცა დიდი, გაფართოებული ორგანიზაციაა, იგი ისე ახლოს, ისე ზედმიწევნით ვერ ჩასწვდება სოფლის მეურნეობის საჭიროებას, ვერ გამოუნახავს მას შესაფერი წამალს.

ამ პატარა სოფლებში გაფანტულ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს უეჭველია სჭირდება მათი მოქმედების ერთად მოყრა, დახმარება და ხელმძღვანელობა ამისათვის არსებობს 1918 წლიდან სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა ცენტრალური კავშირი, რომელსაც შემოკლებით „წარმოკავშირი" ჰქვია.

„წარმოკავშირი"ს მიზანი იგივეა, რაც სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისა,—ოღონდ რაკი იგი აერთებს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს, ამის დაგვარად მისი მოქმედება უფრო ფართეა—იგი აწვდის თავის მოკავშირე ამხანაგობებს თანხას. ამჟამად მას გაცემული აქვს ამხანაგობებზე 120 000 მანეთამდე. აწვდის სოფლის მეურნეობაში საჭირო მასალას—1923 წელში ამა წლის პირველ თვეებამდე „წარმოკავშირმა" მიაწოდა: 80 000 ფუთი შაბიამანი, ღირებული 344 000 მანეთი, 6 000 ფუთი გოგირდი—18 000 მანეთისა, 4 000 არშინი ბადეების მასალა, 15 000 ცალი ყუთი ხილისათვის, 6000 მანეთის რკინეულობა, და სხვ; სულ ღირებული 546 000 მანეთი. ამას გარდა ეხლა 6 წლიდება მოამზადა შიგ ამ ნაწარმოებებს შორის: 33 000 ფუთი შაბიამანი, 10 000 გოგირდი, 70 000 ფუთი ქვა-მარილი, 6 000 ფუთი ბამბის კურკა, და 500 000 მანეთის თესლეულობა ბოსტნეული და ბალახეულობა, სულ ღირებული 471 800 მანეთი. ამას გარდა „წარმოკავშირი" აძლევს თავის წევრთა ნაწარმოებს; გასაღებულია—მოსკოვში 350.000 ვედრო კახური ღვინო, 8 000 ვედრო ტკბილი ღვინო, 10.000 ფუთი მარცვალი, 6 ვაგონი კვერცხი, 8 000 ფუთი საექსპორტო ხილი ვაშლი; სულ გასაღებულია 1 684 000 მან. საქონელი.

სასოფლო-სამეურნეო მოქმედების გასაცხოველებლად „წარმოკავშირი" აფართოებს ამჟამად ნამყენ ვაზის წარმოებას მუკუზანში, ჰყავს მოწვეული 9 სპეციალისტი აგრონომი, რომელნიც სოფლებში მუშაობენ და ავრცელებენ სას. სამ. ცოდნას. ამას გარდა ჰყავს 11 ინსტრუქტორი კონტროლიორი, რომელნიც მუშაობენ განიჰ... სას. სამ. ამხანაგობების, მოწყობაზე და ხელმძღვანელობაზე.

„წარმოკავშირში" ამჟამად შედიოდა 43 სას. სამ. ამხ-ბა: 12650 წევრით; ამათგან—მევენახეთა—10 ამხანაგობა, მეცხვარეობისა—3, მეხილე მესოფლეთა—10 მეთამბაქოების—3, ხვნა-თესვის და მებაღეობისა—6, მეფუტკრეობის—3, მეაბრეშუმეთა—1, მეძროხეობისა—1, საკრედიტო და შერეული ტიპისა—5 და თამბაქოს დამუშავებელი ამ-ბა—1, ყველა ეს ამხანაგობა შედის წარმოკავშირში.

ასეთია სას. სამ. კოოპერაციის მდგომარეობა, ასეთია ის მიზნები, რომელიც დასახული აქვს მას, ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაცია აპირებს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის წარმოებას. შესძლებს იგი ამას?

ვერა, ვერ შესძლებს—და ამის მიზეზი ბევრია. სამომხმარებლო კოოპერაციას, ცეკავშირს, არა აქვს მართული არც სათანადო სავაჭრო აპარატი, არც საორგანიზაციო; მისი ეხლანდელი ეპოები ვერ მიუდგებიან ახლო ჩვენს სოფლის მეურნეობას, ვერ შესძლებენ მის საჭიროებისათვის მალმოს გამონახვას, რადგან მეტად დიდი რაიონი აქვსთ; არ გადაღონიათ „პატარა წვიმა მოდგა, დიდი მინდორია და ნამია"; თავის პატარა ძალებით, თავის რაიონში ეპოები ვერას გახდებიან; ამას გარდა ეპოებში ჩამდგარია სხვადასხვა საწარმოვო ჯგუფები და ამ პირობებში შეუძლებელია ყველა ამ ჯგუფების სათანადოთ მოვლა, დაკმაყოფილება, წახალისება მეურნეობის გასაუმჯობესებლად; ვერ მოხერხდება აგრეთვე ეპოების საშუალებით კრედიტის სათანადოთ განაწილება, რადგან შორს მდგომი მწარმოებელთაგან დიდი რაიონის გამო, საცნობით და საახლოვით მეურნეობას ვერ მოუვლის იგი მხოლოდ ...დან მას მისი ორი, ღირსად არ ჩააწვდეს, ვერ დაალბობს მიწას.

ამას გარდა არის ერთი დიდი საფრთხე—სამომხმარებლო კოოპერაციამ შეიძლება ძალაუნებურად მიახვიოს მწარმოებელს მისივე მოყვანილი საქონელი და ისიც ძვირ ფასებში, რაც ეხლა მეტად ხშირად ხდება აქ შეიძლება სწორედ მწარმოებლის დაჩაგვრა და წარმოების გაუმჯობესების საქმის თავდაღმა ჩაქცევა. ეს კი სწორედ ის არის, რის წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძვით.

ესეც რომ არ იყოს, სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე ისეთი დიდი სამუშაო არის გადაშლილი, ჯერ მხოლოდ თავის წრეში, რომ თუ ამას მოერია, ისიც დიდ გამარჯვებათ ჩაითვლება მას. ამას წინად ქ. გორში მაზრის ეპოების წარმომადგენელთა ყრილობა მოხდა, აქ მეტად ბევრი რამ გამოირკვა, რაც მოწმობს, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია დიდ საფრთხეშია. მას არ აქვს სათანადოთ მოწყობილი მომხმარებლის დაკმაყოფილება საჭირო საგნებით და, რაც უმთავრესია, მას დაკარგული აქვს კოოპერატიული შეგნება.

რა უნდა დავასკვნათ?

1) სასოფლო სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის შორის უნდა დამყარებულ იქნას მეგობრული ურთიერთობა და საქმიანი კავშირი.

2) ეს საქმიანი კავშირი უნდა აშენებულ იქნას ურთიერთის შორის ფუნქციების გამიჯვნით: სამომხმარებლო კოოპერაციას უნდა მიეკუთვნოს სამომხმარებლო საჭიროებათა დაკმაყოფილება სოფლის; სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას—სოფლის მეურნეობის, წარმოების საჭიროებათა მოვლა დაკმაყოფილება.

3) სამომხმარებლო კოოპერაციამ ხელი უნდა აიღოს სას. სამ. კოოპერაციის სისტემის რღვევაზე პარალელურ ორგანიზაციების შექმნით.

4) სას. სამ. კოოპერაციამ სამომხმარებლო საგნების (უმთავრესად) განაწილება თავის წევრებს შორის უნდა მიანდოს სამომხმარებლო კოოპერაციას.

ვ. ქომელაშვილი.

ჩვენი კოოპერატიული მშენებლობისათვის

ჩვენი მხარე სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა მცხოვრებთა აბსოლიტურ უმრავლესობას (90 პროც.-ზე მეტს) გლეხები შეადგენენ; ეს უკანასკნელნი წვრილ მიწის მესაკუთრენი არიან. საერთოდ ხელისუფლების მიერ მიწის რეფორმის ჩატარების შემდეგ ჩვენში მოისპო მსხვილი მიწათ მფლობელობა ამ უკანასკნელის ანგარიშზე კიდევ უფრო გაიზარდა წვრილ მიწის მესაკუთრეთა რაოდენობა. ჩვენი მომავალი მუშაობა მიმართული უნდა იყოს სოფლის მოწყობისაკენ ისე, რომ ერთის მხრივ გაჯანსაღდეს სასოფლო მეურნეობა, მეორეს მხრივ კი დაუახლოვდეთ ჩვენს საბოლოო მიზანს—სოციალიზმ კომუნიზმს ამისათვის საჭიროა გლეხის ფსიხოლოგიაში ძირითადი გარდატეხა მოხდეს ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს უმთავრესად კოოპერაცია ჩვენს სოფელში. ამისათვის კი ჩვენ უნდა გამოვნახოთ კოოპერაციის შესაფერი ფორმა.

კოოპერაციაში უმთავრესად ჩამოყალიბებულია შემდეგი დარგის ორგანიზაციები—კოოპერატივები: 1 მომხმარებელთა კოოპერატივი, 2 მწარმოებელთა კოოპერატივი (ჩვენში მევენახეთა, მეხილეთა, მებაღე მესაქონლეთა და სხ.), 3 მუშათა კოოპერატივი (უმთავრესად ქალაქებსა და სამრეწველო ადგილებში), 4 კოოპერატიული ბანკი და სხვ. შეიძლება ითქვას, სრულიად არა გვაქვს გლეხთა კოოპერატივები.

ჩვენში მომხმარებელ კოოპერატივებს უძღვება ცეკავშირი ამიერ დარგის კოოპერატივებს ეკუთვნიან მუშათა კოოპერატივები, ნაწილობრივ საწარმოო კოოპერატივები და სხვა. მათგან არსებითად განსხვავდება ჩვენში არსებული მწარმოებელთა კოოპერატივები, რომლებიც წარმოადგენენ (ყოველ შემთხვევაში დღემდე მაინც) უფრო ნაწილობრივ შეძლებულთა შეკავშირებას და თავის შინაარსით სინდიკატს უფრო ენათესავებიან. ასეთ ორგანიზაციებს მეთაურობს ჩვენში ჯერ ჯერობით უმთავრესად წარმოკავშირი, რომელსაც ამ ბოლო დროს დაებადა გლეხური კოოპერატივების შექმნის აზრი.

ასეთია დღეის ჩვენში კოოპერატიული მშენებლობის სურათი. როგორი უნდა იყოს ის მომავალში?

კოოპერატიული მშენებლობის გადაუდებელ ამოცანად, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს გლეხთა კოოპერატივების გამრავლება ისე, რომ ერთ სოფელს ერთი კოოპერატივი მაინც უძღვებოდეს.

გლეხთა კოოპერატივს უმთავრეს მიზნებს ღირსეულად უნდა შეადგენდეს წვრილ მიწის მესაკუთრეთა—მწარმოებელთა შეკავშირება თავიანთი მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ნაწარმოების ხელსაყრელ ფასებში გასასაღებლად. ამრიგად, გლეხთა კოოპერატივი თავის ძირითად ნაწილში უნდა წარმოადგენდეს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციას. მაგრამ გლეხი იმავე დროს, რომ მწარმოებელია, მომხმარებელიცაა. მაშასადამე, გლეხთა კოოპერატივის მეორე დანიშნულება უნდა იყოს მიაწოდოს გლეხს შეღავათიან ფასებში და ხელსაყრელ პირობებში მისთვის საჭირო მოხმარების საგნები. ამისათვის კი საჭიროა გლეხთა კოოპერატივთან არსებობდეს მომხმარებელი კოოპერაციის განყოფილება და კოოპერატიული კრედიტის ორგანიზაცია. ამრიგად, გლეხთა კოოპერატივი უნდა წარმოადგენდეს საწარმოო-სამომხმარებლო ფუნქციების და კოოპერატიული კრედიტის შეთავსებას. ყოველივე ეს ისე უნდა მოეწყოს, რომ ამ სამი შინაგანი არსებით სხვადასხვა ორგანიზაციათა მოქმედების ალღო არ მოხდეს. ეს თუმცა არც ისე ადვილია, მაგრამ მაინც დასაძლევი და მოსახერხებელი საქმეა. დავიწყოთ ისეთი დარგიდან, რომელიც უფრო ადვილად გამოსაყოფია: ეს კოოპერატიული კრედიტის ორგანიზაციაა, რომელიც სდგას საწარმოო (როგორც ჩვენ გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა) და მომხმარებელ კოოპერატივის შორის და დამხმარე როლს თამაშობს. რაც შეეხება მომხმარებელ კოოპერატივს, ის იწყებს მოქმედებას იქ, სადაც საწარმოო კოოპერატივის მოქმედება თავდება. მაგრამ სად თავდება გლეხთა კოოპერატივის და სად იწყება მომხმარებელი კოოპერატივის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ—სად უნდა თავდებოდეს გლეხთა კოოპერატივის და სად უნდა იწყებოდეს მომხმარებელი კოოპერატივის მოქმედება? აი მეორე საკითხი, რომელიც მოითხოვს არსებითად ამ ორი კოოპერატივის ცენტრალურ ორგანოთა ფუნქციების განსაზღვრას. ორივე ამ საკითხის გარშემო საწარმოებელია უმთავრესად დიდი კამათი.

თუ მივიღებთ გლეხთა კოოპერატივების დაარსების აუცილებლობას იმ მიზნებით, როგორც ეს ზევით გვქონდა მოხსენებული, ჩვენთვის აშკარა ხდება ამ ტიპის კოოპერატივთა ხელმძღვანელი ორგანოს არსებობაც იგივე, როგორც ეს საჭიროა მუშათა მომხმარებელ კოოპერატივებისათვის.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენის აზრით კოოპერატიულ მშენებლობაში დამყარებული უნდა იყოს ერთიანი, მთლიანი სისტემა პრაქტიკულად ამის მოგვარება ეს უმთავრესად ორგანიზაციული საკითხია, როცა ამ ორგანიზაციულ საკითხს გვეხებით, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენ მიერ წამოყენებული ადგილობრივი (გლეხთა კოოპერატივს) კოოპერატიული მშენებლობის პრინციპი (საწარმოო-სამომხმარებლო ფუნქციების და კოოპერატიული კრედიტის შეთავსება) სავსებით დაცული იქნას კოოპერაციის ცენტრალურ ორგანოშიაც კოოპერატიული ორგანიზაცია მომხმარებელ და საწარმოო (ამ შემთხვევაში გლეხთა სასოფლო-სამეურნეო) კოოპერატივებისა და კოოპერატიული კრედიტის განყოფილებებით,—აი ის ცენტრალური ორგანო, რომელიც გვაქვს წარმოდგენილი მომავალ კოოპერატიულ აღმშენებლობის დროს ამ ცენტრალურ ორგანოში უმთავრესად მის ორ მომხმარებელ და გლეხთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განყოფილებათა შორის უნდა მოხდეს ფუნქციების განსაზღვრა. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის განყოფილება ეწევა მუშაობას განსაკუთრებით გლეხთა კოოპერატივებში (იგივე) განყოფილება იღებს კოოპერატიულ ცენტრალურ ორგანოსაგან გლეხთა კოოპერატივებისათვის საჭირო მოხმარების საგნებს და ანაწილებს მათ ამ კოოპერატივების შორის. მომხმარებელი კოოპერატივების განყოფილება კი იღებს ყველა მომხმარებელ კოოპერატივებისათვის საჭირო მოხმარების საგნებს, ანაწილებს მათ მუშათა მომხმარებელ კოოპერატივებში უშუალოდ, ხოლო გლეხთა კოოპერატივებში სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის განყოფილების საშუალებით. იგივე განყოფილება ანაწილებს მომხმარებელ კოოპერატივთა შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განყოფილების მიერ საწარმოო კოოპერატივებში დაგროვებულ ადგილობრივ ნაწარმოების ნაწილს, რომელიც შეადგენს ადგილობრივი მოხმარების საგანს, ხოლო იმ ნაწილის გასაღებას, რომელსაც აქვს საექსპორტო ხასიათი, აწარმოებს თავის სახელით კოოპერატიული ცენტრი.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენში სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერაციის სპეციალიზაციაზე, რაც ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ჩვენი სასოფლო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში, როგორიცაა, მაგ. მევენახეობა, მეხილეობა, მებაღეობა, მეთამბაქოობა და სხვ. ასეთ ...შნილი დარგების მწარმოებელთა შეკავშირება, როგორც ეს ზევით გვქონდა მოხსენებული, უფრო სინდიკატის ხასიათისაა ამიტომ მიზანშეწონილი იქნება ასეთი ორგანიზაციები დამოუკიდებლად არსებობდნენ და უშუალოდ შედიოდნენ კოოპერაციის ცენტრალურ ორგანოში.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა კოოპერატიული მშენებლობის მხრივ მოითხოვს ჩვენგან შემდეგს: 1. დაუყოვნებლივ შეუდგეთ გლეხთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოწყობას, 2 დაუკავშიროთ ეს კოოპერატივები განსაკუთრებული ხელმძღვანელი ორგანოს საშუალებით მუშათა მომხმარებელ კოოპერატივებს, 3. მოვაწყოთ კოოპერატიული კრედიტის ორგანიზაცია, 4. თავი მოვუყაროთ ამ კოოპერატიულ ორგანიზაციებს ერთ კოოპერატიულ ცენტრში და 5. სასოფლო მეურნეობის ზოგიერთ დარგში შევქმნათ განსაკუთრებული (სინდიკატის ხასიათის) კოოპერატიული გაერთიანებანი, რომლებიც უშუალოთ შევლენ კოოპერატიულ ცენტრში.

აი ის საკითხები, რომელნიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას და მოწესრიგებას.

ვინ უნდა იდოს თავზე მათი მო-

კარლ მარქსის გარდაცვალების ორმოცდაერთი წლის თავზე

1883 —14/მარტი— 1924

მარქსიზმი*)

მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე

ძველი მატერიალიზმის თანამედროვეობის უქონლობის, დაუსრულებლობის, ცალმხრივობის შეგნებამ დაარწმუნა მარქსი აუცილებლობაში, რომ „საჭიროა მეცნიერება საზოგადოების შესახებ შეუთანხმდეს მატერიალისტურ საფუძვლებს და გარდაიქმნას იგი ამ საფუძვლების დაგვარად". თუ მატერიალიზმი საერთოდ შეგნებას ყოფით ხსნის, და არა კაცობრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოყენებისათვის, მატერიალიზმი მოითხოვს საზოგადოებრივ შეგნების, საზოგადოებრივ ყოფისაგან ახსნას. „ტექნოლოგია,—ამბობს მარქსი („კაპიტალი" 1) აშკარავებს ადამიანის აქტიურ დამოკიდებულებას ბუნებასთან, იმ ცხოვრების წარმოების და ამასთანავე მისი ცხოვრების საზოგადოებრივ პირობების და აქედან გამომდინარე სულიერ წარმოდგენათა უშუალო პროცესს". მატერიალიზმის ძირითად დებულებების მთლიანი ფორმულირება, მატერიალიზმის, რომელიც ვრცელდება ადამიანთა საზოგადოებაზე და მის ისტორიაზე, მარქსმა მოგვცა თავის თხზულების „პოლიტიკურ ეკონომიურ კრიტიკის" წინასიტყვაობაში შემდეგი სიტყვებით: თავისი ცხოვრების საზოგადოებრივ წარმოების დროს, ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისყოფაზე დამოუკიდებელ— საწარმოვო ურთიერთობაში, რომელიც შეესაბამება მათი მატერიალური საწარმოვო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს.

ამ საწარმოვო ურთიერთობათა ჯამი შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც დამყარებულია იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივ შეგნების განსაზღვრული ფორმები, მატერიალური ცხოვრების წარმოების საშუალება დამოკიდებულია ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ პროცესებზე საერთოთ. არა ადამიანთა შეგნება განსაზღვრავს მათ ყოფას, არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა განსაზღვრავს მათ შეგნებას თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური საწარმოვო ძალები ეწინააღმდეგებიან არსებულ ურთიერთობას, ანუ — რაც მის მხოლოდ იურიდიულ გამოხატულებას შეადგენს,— მეაკუთრეობათა ურთიერთობას, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ საწარმოვო ძალების განვითარების ფორმებიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილებათ იქცევიან მაშინ დგება სოციალურ გადატრიალების ხანა ეკონომიურ საფუძვლის ცვლილების შემდეგ, უფრო ნელა ან უფრო სწრაფათ ხდება გადატრიალება მთელ ვეებერთელა ზედნაშენში.

ასეთ გადატრიალებათა განხილვის დროს საჭიროა ყოველთვის განვარჩიოთ მატერიალური, ბუნებრივ-მეცნიერულ სიზუსტით აღნიშნული გადატრიალება წარმოების ეკონომიურ პირობებში, იურიდიულ, პოლიტიკურ რელიგიურ, სამხატვრო ან ფილოსოფიურ, მოკლეთ, იდეოლოგიურ ფორმებისაგან, რომელშიაც ადამიანები შეიცნობენ ამ კონფლიქტს და იბრძვიან მის ნიადაგზე ურთიერთ შორის. როგორც თვითეულ ადამიანზე არ შეიძლება ვიმსჯელოთ იმისდამიხედვით, რასაც ის თავისთავზე თვითონ ფიქრობს, აგრეთვე არ შეიძლება ვიმსჯელოთ გადატრიალებათა ასეთ ხანაზე მისი შეგნების მიხედვით. პირიქით, ეს შეგნება უნდა განვმარტოთ მატერიალურ ცხოვრების წინააღმდეგობებით, საზოგადოებრივ საწარმოვო ძალთა და საწარმოვო ურთიერთობათა შორის არსებულ კონფლიქტით. საერთო ხაზებში, წარმოების აზიური, ანტიური, ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიული საშუალებანი შეიძლება აღვნიშნოთ როგორც ეკონომიურ საზოგადოებრივ ფორმაციის პროგრესიული ხანები. ბურჟუაზიული საწარმოვო ურთიერთობანი შეადგენს წარმოების საზოგადოებრივ პროცესის უკანასკნელ ანტაგონისტურ ფორმას".

ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ, ანუ, უფრო სწორათ, მატერიალიზმის საზოგადოებრივ მოვლენების დარგზე გავრცელებამ თავიდან აიშორა ძველი ისტორიული თეორიების ორი მთავარი ნაკლი. უპირველეს ყოვლისა, ეს თეორიები უკეთეს შემთხვევაში იხილავდა მხოლოდ ადამიანთა ისტორიულ მოღვაწეობის იდეურ მოტივებს და არ არკვევდა იმას, რით არის გამოწვეული ეს მოტივები, ვერ სჭვრეტდა ობიექტიურ კანონ შეწონილობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარებაში, არ ითვალისწინებდა ამ ურთიერთობათა საფუძვლებს მატერიალურ წარმოების განვითარების ხარისხში; მეორეს მხრივ, ძველი თეორიები არ ვრცელდებოდა მცხოვრებთა მასების მოქმედებაზე, მაშინ, როდესაც ისტორიულმა მატერიალიზმმა პირველად მოგვცა შესაძლებლობა ბუნებრივ ისტორიულ სიზუსტით გამოგვეკვლია მასების ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები და ამ პირობების ცვლილებანი. მარქსამდე არსებული „სოციოლოგია" და ისტორიოგრაფია უკეთეს შემთხვევაში იძლეოდენ ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეკრებილ ნედლი ფაქტების გროვას და ისტორიულ პროცესის სხვადასხვა მხარეების სურათს. მარქსმა უჩვენა გზა საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციების აღმოცენების, განვითარების და დაცემის პროცესის ყოველმხრივ შესასწავლად, იხილავდა რა ის ყველა მოწინააღმდეგე ტენდენციების ჯამს, აყენებდა რა მათ საზოგადოების სხვადასხვა კლასების ცხოვრების და წარმოების სწორად განსაზღვრულ პირობებში, უკუაგდებდა რა სუბიექტივიზმს და თვითნებობას სხვა და სხვა „მთავარ" იდეების არჩევის და განმარტების დროს, აშიშვლებდა რა ყველა იდეების და სხვა და სხვა ტენდენციების ფესვებს მატერიალურ საწარმოვო ძალთა მდგომარეობის მხრივ: ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ რით განისაზღვრება ადამიანების და სწორედ ადამიანთა მასების მოტივები, რით არის გამოწვეული მოწინააღმდეგე იდეების და მისწრაფებათა შეხლა-შემოხლა, როგორია ადამიანთა საზოგადოებათა მთელი მასის ყველა ამ შეხლა-შემოხლის ჯამი, როგორია მატერიალურ ცხოვრების წარმოების ობიექტიური პირობები, რომელნიც ქმნიან ადამიანების ისტორიულ მოღვაწეობის ბაზას, როგორია ამ პირობების განვითარების კანონი,—ყველაფერ ამას მიაქცია ყურადღება მარქსმა და აღნიშნა გზა ისტორიის მეცნიერულ შესწავლისა, ისტორიის, რომელიც არის თავისი მრავალსახეობის და წინააღმდეგობათა მიხედვით ერთათ ერთი კანონშეწონილი პროცესი.

რომ თვითეულ საზოგადოებაში ერთ წევრთა მისწრაფება ეწინააღმდეგება მის სხვა წევრთა მისწრაფებებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ავსებულია წინააღმდეგობებით, რომ ისტორია გვიჩვენებს ბრძოლას ხალხთა და საზოგადოებებს შორის და აგრეთვე მათ შიგნით, და გარდა ამისა მშვიდობიანობის და ომიანობის, რევოლუციის და რეაქციის, შეჩერების და ჩქარი პროგრესის ან დაცემის ერთი მეორით ცვლილებას,—ეს ფაქტები ყველასათვის ცნობილია მარქსმა მოგვცა სახელმძღვანელო ძაფი, რომელიც გვაძლევს საშუალებას გამოვააშკარაოთ კანონშეწონილება ამ ერთი შეხედვით ლაბირინტსა და ქაოსში, და სახელდობრ კლასთა ბრძოლის თეორია. მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოების ან საზოგადოებათა ჯგუფის ყველა წევრთა მისწრაფებათა ჯამის შესწავლას შეუძლია მოგვცეს ამ მისწრაფებათა შედეგის მეცნიერული განსაზღვრა, ხოლო მოწინააღმდეგე მისწრაფებათა წყარო შეადგენს იმ კლასების მდგომარეობის და ცხოვრების პირობების განსხვავება, რომელზედაც თვითეული საზოგადოება განიყოფება „ყველა დღემდის არსებულ საზოგადოებათა ისტორია, სწერს მარქსი „მანიფესტში" 1848 წელს (გარდა პირველყოფილ თემის ისტორიისა,—უმატებს შემდეგ ენგელსი), იყო კლასთა ბრძოლის ისტორია, თავისუფალი და მონა, პატრიციი და პლებეი, მემამულე და ყმა, ხელოსანი და ქარგალი, მოკლეთ, მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდამ ანტაგონიზმში იმყოფებოდენ ურთიერთშორის, აწარმოებდენ განუწყვეტელ, ხან ფარულ, ხან აშკარა ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა.. მთელი საზოგადოებრივი შენობის გარდაქმნით ან ურთიერთშორის მებრძოლ კლასების საერთო დაღუპვით... დაღუპულ ფეოდალურ საზოგადოების წიაღიდან გამოსულმა, თანამედროვე ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ვერ მოსპო კლასიური წინააღმდეგობანი. მან ხოლოდ ჩააყენა ახალი კლასები ჩაგვრის ახალ პირობებში და ბრძოლის ახალი ფორმები ძველის ნაცვლად ჩვენი ხანა, ბურჟუაზიის ხანა გაირჩევა მხოლოდ იმით, რომ მან გაამარტივა კლასიური წინააღმდეგობანი: საზოგადოება სულ უფრო და უფრო იყოფა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად, ორ დიდ ერთმანეთის წინააღმდეგ მდგომ კლასად ბურჟუაზია და პროლეტარიატად.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროიდან ევროპის ისტორიამ განსაკუთრებული სიცხადით გამოააშკარავა მთელ რიგ ქვეყნებში მოვლენების ეს ნამდვილი სარჩული—კლასთა ბრძოლა. და უკვე რესტავრაციის ხანამ საფრანგეთში წამოსწია მთელი რიგი ისტორიკოსებისა (ტიერი, გიზო, მინიე), რომელთაც მოვლენების განზოგადოებრივობის დროს არ შეეძლოთ არ აღიარებინათ კლასთა ბრძოლა საფრანგეთის მთელი ისტორიის გასაღებათ. ხოლო უახლოესმა ხანამ, ბურჟუაზიის, წარმომადგენლობით დაწესებულებების, ფართო (თუ საყოველთაო არა) საარჩევნო უფლები, იაფფასიანი, მასებში გავრცელებულ, ყოველდღიური ბეჭდვითი ორგანოების ხანამ, მუშათა ძლიერ და ფართო კავშირების და მწარმოებელთა კავშირების და სხვ., კიდევ უფრო მეტის სიცხადით (თუმცა ზოგჯერ მშვიდობიან კონსტიტუციურ ფორმებში) დაგვანახვა კლასთა ბრძოლა, როგორც მოვლენების მამოძრავებელი. მთელ რიგ ისტორიულ თხზულებებში მარქსმა მოგვცა მატერიალისტურ ისტორიოგრაფიის, თვითეულ კლასის და ზოგჯერ კლასის შიგნით სხვა და სხვა ჯგუფების და ფენების მდგომარეობის ანალიზის ნიმუშები, თვალსაჩინოდ დაგვიმტკიცა, თუ რატომ არის „ყოველი კლასთა ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლა". ჩვენ მიერ მოყვანილი ნაწყვეტი ასურათებს, როგორ რთულ ქსელს საზოგადოებრივ ურთიერთობათა და ერთი კლასიდან მეორე კლასზე, წარსულიდან მომავალზე გარდამავალ საფეხურებისა უკეთებს ანალიზს მარქსი ისტორიულ განვითარების მთელი თანასწორ მომქმედი ძალის აღსარიცხავათ.

მარქსის ეკონომიური მოძღვრება

„ჩემი თხზულების საბოლოო მიზანია,—სწერს მარქსი „კაპიტალის" წინასიტყვაობაში—თანამედროვე საზოგადოების მოძრაობის ეკონომიურ კანონის აღმოჩენა", ე. ი. კაპიტალისტურ საზოგადოების კანონისა არსებულ, ისტორიულად განსაზღვრულ საზოგადოების საწარმოო დამოკიდებულებათა, მათი აღმოცენების, განვითარებისა და დაცემის გამოკვლევა—აი ეთია მარქსის ეკონომიური მოძღვრება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებულია საქონლის წარმოება და მარქსიც თავის ანალიზს საქონლის ანალიზიდან იწყებს.

საქონელი, პირველათ ყოვლისა, არის საგანი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის რომელიმე მოთხოვნილებას. საგნის სარგებლიანობა ქმნის მას მოხმარებითი ღირებულებათ, საცვალი ღირებულება (ანუ ღირებულება), პირველათ ყოვლისა, არის ერთი სახის მოხმარებითი ღირებულებათა განსაზღვრულ რიცხვის მეორე სახის განსაზღვრულ რიცხვის მოხმარებითი ღირებულებებზე გაცვლის დამოკიდებულება, პროპორცია. ყოველდღიური გამოცდილება გვიჩვენებს ჩვენ, რომ მილიონი და მილიარდი ასეთი გაცვლა ყველას და ყოველგვარ, სრულიად სხვადასხვა და ერთი მეორისთან შეუდარებელ მოხმარებითი ღირებულებებს ურთიერთ ათანასწორებს რა არის საერთო ამ სხვადასხვა საგანთა შორის, რომლებიც საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა განსაზღვრულ სისტემაში მუდამ ერთი-მეორეს ეთანასწორებიან? საერთო მათ შორის არის ის, რომ ისინი შრომის ნაყოფი არიან. საქონლის წარმოება არის საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა სისტემა, რომელშიაც განცალკევებული მწარმოებლები ამზადებენ სხვადასხვა ნაწარმოებს (შრომის საზოგადოებრივი განაწილება) და ყველა ეს ნაწარმოებნი გაცვლა-გამოცვლაში ერთი-მეორეს უთანასწორდებიან. მაშასადამე, ის საერთო, რომელიც ყველა საქონლები შეიცავენ, არის არა კონკრეტული, წარმოების განსაზღვრულ დარგის. ერთი სახის შრომა, არამედ განყენებული ადამიანის შრომა, ადამიანის შრომა საზოგადოთ. მოცემულ საზოგადოების მთელი სამუშაო ძალა, რომელიც წარმოდგენილია ყველა საქონელთა ღირებულების ჯამში, არის ადამიანის ერთი და იგივე სამუშაო ძალა: ამას ამტკიცებს გაცვლა-გამოცვლის მილიარდი ფაქტი და, მაშასადამე, ყოველი ცალკე საქონელი წარმოადგენს საზოგადოებრივ აუცილებელ სამუშაო დროის განსაზღვრულ ნაწილს.

ღირებულების სიდიდეს საზღვრავს საზოგადოებრივათ აუცილებელ შრომის რაოდენობა ანუ მოცემულ მოხმარებითი ღირებულების, ამა თუ იმ საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივათ აუცილებელი სამუშაო დრო.

„უთანასწორებენ რა გაცვლა-გამოცვლაში ერთი მეორის თავიანთ სხვადასხვაგვარ ნაწარმოებებს, ადამიანები ამ შით ერთი მეორეს უთანასწორებენ თავიანთ სხვადასხვა სახის შრომას. მათ არა აქვთ ამის შეგნება, მაგრამ ისინი ასე შვებიან". ღირებულება არის ორ ადამიანთა შორის დამოკიდებულება, სთქვა ერთმა ძველმა ეკონომისტმა; მას უნდა დაემატოს: ნივთიერ გარსით დაფარული დამოკიდებულება. მხოლოდ განსაზღვრულ ფორმაციის საზოგადოების საზოგადოებრივ წარმოებითი დამოკიდებულებათა სისტემის თვალსაზრისით, და გარდა ამისა, მასიური მილიარდ ჯერ განმეორებულ გაცვლა-გამოცვლის მოვლენაში გამოხატულ დამოკიდებულებათა თვალსაზრისით, შესაძლებელია გაგება იმის, თუ რა არის ღირებულება. „საქონელი, როგორც ღირებულება, არის სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობა". გაარკვია რა საქონელში განსახიერებულ შრომის ორმაგი ხასიათის დეტალური ანალიზი, მარქსი გადადის ღირებულების ფორმისა და ფულის ანალიზზე.

მარქსის მთავარ ამოცანას ქმნის წარმოადგენს ღირებულების ფულის ფორმის აღმოცენების გაცვლა გამოცვლის ზრდა-განვითარების ისტორიულ პროცესის შესწავლა დაწყებული მისი ცალკე, შემთხვევითი აქტებისაგან („ღირებულების მარტივი, ცალკე შემთხვევითი ფორმა" ერთის საქონლის განსაზღვრული რაოდენობა იცვლება მეორე საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაზე) გათავებული ღირებულების საყოველთაო ფორმით, როდესაც სხვადასხვა საქონლების მთელი რიგი ერთი და იმავე განსაკუთრებულ საქონელზე იცვლება, და ღირებულების ფულის ფორმით, როდესაც ამ განსაკუთრებულ საქონელს, საყოველთაო ეკვივალენტს ოქრო წარმოადგენს. ფული, როგორც გაცვლა-გამოცვლის განვითარების უმაღლესი ნაყოფი, ჩრდილავს კერძო მუშაობის საზოგადოებრივ ხასიათს, ბაზრით გაერთიანებულ (ცალკე მწარმოებელთა შორის არსებულ საზოგადოებრივ კავშირს. მარქსი დაწვრილებით დეტალურ ანალიზს უკეთებს ფულის სხვადასხვა ფუნქციას და აქაც (როგორც საზოგადოთ „კაპიტალის" პირველ თავებში) განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გადმოცემის აბსტრაქტული და, როგორც სჩანს, წმინდა დედუქტიური ფორმა შეიცავს გიგანტურ ფაქტიურ მასალას გაცვლა-გამოცვლისა და საქონელთა წარმოების განვითარების ისტორიიდან ისტორიულ გულისხმობს საქონლის გაცვლა-გამოცვლის განსაზღვრულ სიმაღლეს. ფულის სხვადასხვა ფორმა —ჩვეულებრივი საქონლის ეკვივალენტი, ან მიმოქცევის საშუალება, გადახდის საშუალება, განძი და საერთაშორისო ფული—ამა თუ იმ ფუნქციის გამოყენების მიხედვით ამ უკანასკნელთა შორის რომელიმე ერთის უპირატესობის მიხედვით გვიჩვენებს წარმოების საზოგადოებრივ პროცესის სულ სხვადასხვა საფეხურს. („კაპიტალი", 1).

საქონლის წარმოების განსაკუთრებულ საფეხურზე ფული კაპიტალათ იქცევა საქონლის მიმოქცევის ფორმულა იყო: საქონელი—ფული—საქონელი, ე. ი. ერთი საქონლის გაყიდვა მეორე საქონლის საყიდლად. კაპიტალის ზოგადი ფორმულა კი, პირიქით, არის: ფული საქონელი—ფული, ე. ი. ყიდვა გასაყიდათ (მოგების მიღებით). საბრუნავ ფულის პირვანდელ ღირებულების გადიდებას მარქსი ზედმეტ ღირებულებას უწოდებს. ფულის ასეთი „ზრდა" ფაქტი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ცნობილია. სწორედ ეს „ზრდა" ჰქმნის ფულს კაპიტალათ, როგორც განსაკუთრებულ, ისტორიულად განსაზღვრულ, წარმოებითი საზოგადოებრივ ურთიერთობათ. ზედმეტი ღირებულება ვერ აღმოცენდება საქონლის ბრუნვაში, ვინაიდან უკანასკნელში მხოლოდ ეკვივალენტების გაცვლა-გამოცვლა ხდება, ვერ აღმოცენდება ის აგრეთვე ფასზე დამატებით, ვინაიდან მყიდველ გამყიდველთა ურთიერთ დანაკლისი და მოგება გათანასწორდებოდნენ საქმე კი მასიურ, საშუალო, საზოგადოებრივ მოვლენაშია და არა ინდივიდუალურში. ზედმეტი ღირებულების მისაღებად „ფულის მფლობელმა ბაზარზე ისეთი საქონელი უნდა იპოვოს, რომლის ორიგინალურ თვისებას ღირებულების წყაროთ ყოფნა წარმოადგენს", ისეთი საქონელი, რომლის მოხმარების პროცესში იმავე დროს ღირებულების შექმნის პროცესი იყოს. და ასეთი საქონელი არსებობს, ეს არის—ადამიანის სამუშაო ძალა. ფულის მფლობელი ყიდულობს მას იმ ღირებულებით, რომელიც, როგორც ყოველი სხვა საქონლის ღირებულება, მისი წარმოებისათვის საჭირო საზოგადოებრივათ—აუცილებელ სამუშაო დროით განისაზღვრება (ე. ი. მუშის და მისი ოჯახის შენახვის ღირებულებით). ყიდულობს რა სამუშაო ძალას, ფულის მფლობელს უფლება აქვს მოიხმაროს იგი, ე. ი. ამუშაოს ის მთელი დღე, ვთქვათ, 12 საათის განმავლობაში. მუშა 6 საათის განმავლობაში („აუცილებელი" სამუშაო დრო) ქმნის ნაწარმოებს, შემდეგ კი 6 საათის განმავლობაში კი („ზედმეტი" სამუშაო

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 60.

ვარიება: მარტო ცეკავშირმა, თუ ცეკავშირმა და წარმოკავშირმაც?

აი საკითხი, რომელიც მოითხოვს გადაჭრას. და როდესაც ასე ვსვამთ საკითხს, რაც ერთი და იგივეა—ერთი ცენტრი ცეკავშირის სახით, თუ ორი ცენტრი ცეკავშირისა და წარმოკავშირის სახით, ჩვენთვის პასუხი მხოლოდ ერთია: არც მარტო ცეკავშირი და არც ცეკავშირის ცალცალკე არსებობა მიუღებელია ჩვენთვის: იმის გამო, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კოოპერაციის ერთიან მთლიან სისტემაზე აგება. კიდევ მეტი—ჩვენ საჭიროდ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია კოოპერატივებსა და სახელმწიფო სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა შორის (როგორიცაა, მაგ., მეურნეობის უმაღლესი საბჭო) დამყარებული იქნას ერთგვარი კავშირი. ამას მოითხოვს ჩვენგან გეგმიანი მეურნეობა წარმოება და მოხმარება. მაშასადამე ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთ სისტემაზე აგებული კოოპერატივი ორ ცენტრს ვერ დაიმორჩილება. ჩვენ ზევით შევეცადეთ მის გარკვევას თუ როგორი კოოპერატივებია ჩვენში საჭირო და დღის ამოცანად დავსახეთ: დაუყოვნებლივ შევუდგეთ გლეხთა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მოწყობას (რასაკვირველია, სამომხმარებლო ფუნქციებითაც) და დავუკავშიროთ ეს კოოპერატივები განსაკუთრებული ხელმძღვანელი ორგანოს საშუალებით მომხმარებელ კოოპერატივებს. გავარკვიეთ აგრეთვე ისიც, რომ ეს ხელმძღვანელი ორგანოები, როგორც გლეხთა სასოფლო-სამეურნეო, ისე მუშათა მომხმარებელ კოოპერატივებისათვის მოთავსებული უნდა იყოს ერთ კოოპერატიულ ცენტრში ორი განყოფილების სახით, რომელთა შორის ფუნქციების განსაზღვრასაც შევეცადეთ. მაგრამ არსებული კოოპერატიული ცენტრებიდან რომელი—ცეკავშირი, თუ წარმოკავშირი გამოდგება ამ ერთიან კოოპერატიულ ცენტრად? ესაა შემდეგი საკითხი, რომლის საპასუხოთ ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელი სახით ვერც ერთი მათგანი ვერ გამოდგება ერთიან, მთლიან კოოპერატიულ ცენტრად. მაშ გამოდის, რომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ახალი კოოპერატიული ცენტრის შექმნა. დიახ, ეს ასეა, რამდენადაც ჩვენ საჭიროთ ვცნობთ ამ ორი კოოპერატიული ცენტრის—ცეკავშირისა და წარმოკავშირის — რეორგანიზაციას მათი გაერთიანების პრინციპით ჩვენთვის აშკარაა, რომ ცეკავშირი, რომელსაც, ვფიქრობთ, მეტი შანსები აქვს ერთიან, კოოპერატიულ ცენტრად გადაქცევისა, იმ სახით, როგორც არსებობს ის დღეს, ვერ გახდება, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არ შეიძლება გახდეს ასეთ კოოპერატიულ ცენტრად, რამდენიც არ უნდა ამტკიცონ ცეკავშირელებმა, რომ ისინი საზრიანად ემსახურებიან გლეხთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ჩვენთვის აშკარაა, რომ ეს ასე არ მოხდება, ვინაიდან ცეკავშირს იმ თავითვე ტენდენცია აქვს სამომხმარებლო კოოპერატივების ორგანიზაციისა და თუ ცეკავშირი ერთიან კოოპერატიულ ცენტრად გადაიქცევა, ჩვენთვის ცხადია, რომ ჯოხი გადაიხრება სამომხმარებლო კოოპერატივებისაკენ. მხოლოდ რაც შეეხება წარმოკავშირს, ის სრულიად უარყოფს გლეხთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში სამომხმარებლო ფუნქციებს, რაც მიუღებელია, მაშასადამე, წარმოკავშირი მით უმეტეს ვერ გახდება ასეთ ცენტრად. ერთი სიტყვით, ჩვენთვის ნათლად გარკვეულია, რომ ამ ორგანიზაციებს ცალ-ცალკე არ შეუძლიათ გახდენ კოოპერატიულ ცენტრად საჭიროა მათი შერიგება და იმგვარად, რომ ჯოხი არ გადაიხაროს არც მუშათა მომხმარებელ კოოპერატივებისაკენ და არც გლეხთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისაკენ. ეს შესაძლებელია ჩვენი ფიქრით იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ამ ორი კოოპერატიული დაწესებულების რეორგანიზაცია, შესდგება ერთი კოოპერატიული გამგეობა მუშათა მომხმარებელ და გლეხთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სექციებით. თვითეულ ამ სექციის გამგეობაში იქნება შესაფერი განყოფილება.

მხოლოდ ამგვარი რეორგანიზაციით შევსძლებთ ჩვენი კოოპერაციის გაერთიანებას, ამოვფხვრით იმ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ცეკავშირსა და წარმოკავშირის შორის, შევქმნით და განვამტკიცებთ ჩვენი კოოპერატიული მშენებლობისათვის სასურველ ნიადაგს, სახელს მოუხვეჭავთ ფართო მასებში კოოპერაციის იდეას და საზოგადოთ მივაღწევთ ამ დარგში ჩვენ მიერ დასახულ მიზნებს.

გ. მიქაბერიძე.

როგორ აშენებენ კოოპერაციას?

იმ დისკუსიიდან, რომელიც ამჟამად სწარმოებს კოოპერატიულ მშენებლობის გარშემო, გამოირკვა, სხვათაშორის, ის გარემოებაც, თუ როგორ საშუალებებს მიმართავს წარმოკავშირი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების შესაქმნელად და თავის წევრთა რიცხვის გასამრავლებლად.

წარმოკავშირის ის დეზორგანიზატორული მუშაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლაგოდეხის რაიონში და რომლის მოწმეც მე შევიქენი, მიმაჩნდა მხოლოდ შემთხვევით გაუგებრობით ან კერძო ხასიათის შეცდომით, მაგრამ რაკი ასეთი საქმიანობა სისტემათ გადაუქცევია წარმოკავშირს, მე არ შემიძლიან არ აღვნიშნო რამოდენიმე სიტყვით ერთი ტიპიური ნიმუში მისი საორგანიზაციო მუშაობისა.

ლაგოდეხში წარსული წლის 15 ნოემბერს ადგილობრივი მთლიანი კოოპერატივის ინიციატივით დაარსდა მეთამბაქოეთა ამხანაგობა „წითელი ლაგოდეხი", რომლის მიზანსაც შეადგენს თამბაქოს გასაღების მოწესრიგება ხელსაყრელ პირობებში და თამბაქოს კულტურის გაუმჯობესება. ამხანაგობაში ჩაეწერა დაახლოებით ათასი წევრი-მეთამბაქოე. თანახმად წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, ამხ-ბა „წითელი ლაგოდეხი" წევრად შევიდა ცეკავშირში, რომელმაც საორგანიზაციო-საინსტრუქტორო დახმარებასთან ერთად კრედიტიც მისცა 5 000 მანეთისა ოპერაციების საწარმოებლად.

ამხანაგობამ ამ წლის იანვრიდან უკვე დაიწყო თამბაქოს მოგროვება წევრებისაგან, რომლებსაც ეძლევათ თამბაქოს ღირსების მიხედვით ავანსად თითო ფუთში 7—9 მანეთი თამბაქოს რეალიზაციამდის, როდესაც საბოლოოთ გაუსწორდებათ ანგარიში.

ამხანაგობამ უკვე გამონახა სხვა ახალი საშუალებები ოპერაციების უფრო მეტათ გაფართოებისათვის.

ამხ-ბა „წითელი ლაგოდეხის" გამგეობა სრული კონტაქტით მუშაობს როგორც კოოპერატიულ ცენტრთან —ცეკავშირთან, აგრეთვე ადგილობრივ მთლიან კოოპერატივთანაც.

ჩვენი ამხანაგობის ასეთი კოოპერატიული და ნაყოფიერი საქმიანობა ალბათ შეშურდა წარმოკავშირს და განიზრახა მის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანა.

ერთ მშვენიერ დღეს, დაახლოებით თებერვლის შუა რიცხვებში, ლაგოდეხში მოვიდა წარმოკავშირის ინსტრუქტორი ამხ. ლეჟავა და მე, როგორც ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს, დამიწყო მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს ლაგოდეხში მეთამბაქოეთა ამხანაგობის დაარსება და მირჩევდა, რომ ჩვენ გამოვსულიყავით ცეკავშირიდან და ჩავწერილიყავით წევრად წარმოკავშირში. ამ შემთხვევაში ის უარს იტყოდა მეორე ამხანაგობის დაარსებაზე. მე ვუთხარი, რომ ამხანაგობის ცეკავშირში წევრად შესვლა დაადგინა წევრთა კრებამ, ჩვენ უკვე დავიჭირეთ ცეკავშირთან საქმიანი ურთიერთობა და მე არ შემიძლიან გადავუხვიო კრების დადგენილებას და არც მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი რჩევის მიღება. მე აგრეთვე მივუთითე სიღნაღის კოოპერატიული თათბირის დადგენილებაზე, რომლის ძალითაც ჩვენ არ უნდა შეგვეცვალა გეზი მშენებლობის საკითხში, სანამ ეს საბოლოოდ არ გამოირკვეოდა ცენტრში.

ამხ. ლეჟავა არ დაკმაყოფილდა ჩემი განმარტებით მან, ალბათ, თავისი დავალება უნდა შეესრულებინა, და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მოიწვია მეთამბაქოე გლეხების კრება, მაგრამ ამ კრების უმრავლესობას შეადგენდა არა მეთამბაქოეები, არამედ ადგილობრივი ბაზრის ხალხი—ჩარჩ ვაჭრები.

ამხ. ლეჟავას წინადადებაზედ ხალხი უპასუხებს, რომ აქ მეთამბაქოეთა ამხანაგობა უკვე არსებობს და ახალი ორგანიზაციის მოწყობა ზედმეტი იქნება.

წარმოკავშირის წარმომადგენელი არწმუნებს კრებას, რომ ცეკავშირს არაფერი საერთო არა აქვს წარმოებლებთან და მათი ერთად ერთი გულშემატკივარი წარმოკავშირია. ჩვენ მიერ დაარსებულ ახალ ამხანაგობას წარმოკავშირი დიდძალ კრედიტს მისცემს და ყველაზედ ძვირათ იყიდის მათ ნაწარმოებსო.

დემაგოგიამ და უსაზღვრო დაპირებებმა გასჭრა და შეკრიკების საშუალებით მიყვანილ ხალხს, რომელსაც არც წესდება განუხილავს და არც კრების შემადგენლობისთვის მიუქცევია ყურადღება, გამოაქვს დადგენილება: დაარსდეს ლაგოდეხის რაიონში მეორე ამხანაგობაც.

უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროთ, ჩვენი გლეხკაცობა ვერ ერკვევა ორგანიზაციულ და კოოპერატიულ მშენებლობის საკითხებში და ვინც მეტს დაპირდება, ის იქითკენ უფრო გადაწევს. კრების გლეხური ნაწილი ამბობდა: „ჩვენ გვაქვს ჩვენი ამხანაგობა და ვისაც ჩვენთან არა სურს ყოფნა, ჩაეწეროს წარმოკავშირის ამხანაგობაში; ვნახოთ რა დახმარებას აღმოუჩენს მათ ეს ჩვენთვის უცხო დაწესებულება წარმოკავშირიო".

ასეთი გულუბრყვილო აზრების გამოთქმისთვის ჩვენ, რასაკვირველია ვერ ვუსაყვედურებთ ჩვენ გლეხკაცობას, მაგრამ ის, რაც ადვილი ასახსნელია და მისატევებელია საკითხში გაურკვევლობისათვის, არ ეპატიება დაწესებულებას, რომელსაც თავი კოოპერატიულ ცენტრათ მოაქვს.

დემაგოგიური ხრიკებით სხვისა სახელის გატეხა, თავის ქება, დიდძალი დაპირებები და ამგვარათ კოოპერატიულ საქმიანობაში დეზორგანიზაციის შეტანა დასაგმობ საქციელათ უნდა ჩაეთვალოს წარმოკავშირს. მან უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი გამოსვლებით შელახავენ ხალხის თვალში თვით კოოპერატიულ იდეას და ეს კი, არა მგონია, სასარგებლო იყოს თუნდაც იმავე წარმოკავშირისათვის.

შემთხვევით მოწვეულმა კრებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო არჩევნების საქმეშიც. გამგეობაში სამი წევრისაგან ორი მიკიტანი იქნა არჩეული.

ასე ამრავლებს წარმოკავშირი თავის მოკავშირე—მკვდარი სულების რიცხვს.

ლაგოდეხის რაიონის მეთამბაქოეთა ამხ. „წითელი ლაგოდეხის" გამგეობის თავმჯდომარე

[illegible]

სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერაცია ბორჩალოს მაზრაში

კოოპერატიულ საქმეთა სამმართველოს ცნობებით, საქართველოს გასაბჭოებამდე ბორჩალოს მაზრაში იყო სამომხმარებლო ტიპის 62 პირველი საფეხურის კოოპერატივი და სრულებით არ იყო არც ერთი წმინდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბორჩალოს მაზრა წინეთაც და ეხლაც უძლიერესათ სასოფლო-სამეურნეო მაზრაა.

სასოფლო სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების როლს ბორჩალოს მაზრაში შეძლებისდაგვარათ სამომხმარებლო საზოგადოებები ასრულებდენ ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ყველა სამომხმარებლო საზოგადოებებმა თავის არსებობა შესწყვიტეს. მთავრობის მიერ კოოპერაციის შესახებ დეკრეტის გამოცემიდან ამ მაზრაში ცეკავშირის ინიციატივით ისევ ეწყობა კოოპერაცია მრავალ დუქნიან მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებების სახით.

ამჟამად მაზრაში არის ხუთი მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება რამოდენიმე განყოფილებებით, რომელნიც საკმაოთ აკმაყოფილებენ გლეხთა მოთხოვნილებას პირველი საჭიროების საგნებზე და იმავე დროს უწევენ მათ დიდ დახმარებას სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ხელსაყრელ ფასებში გასაღების საქმეში. გარდა ამისა ყველა სამომხმარებლო საზოგადოებები აწარმოებენ საკრედიტო ოპერაციებსა, ღებულობენ მოსამსახურეებისაგან და გლეხებისაგან კურსით პროცენტებზე ვადით ან უვადოთ. აძლევენ სესხს გლეხებს; გარდა ამისა ღებულობენ გლეხებისაგან საქონელს საკომისიოთ და უბრუნებენ მათ ამ საქონლის გასაღებისაგან აღებულ თანხებს თავის სასარგებლოთ მხოლოდ ზედნადებ ხარჯების დაჭერით. ამ გზით გლეხთა მასსა თანდათან ამსჭვალება ნდობით კოოპერაციისადმი, იძენს თითქმის ყველა სამომხმარებლო საგნებს თავისავე კოოპერატივში, კერძო ვაჭრებს კი გვერდს უვლის.

დასახელებულ მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებების გარდა მაზრაში არის ცეკავშირის განყოფილება, რომელიც ადგილობრივ აწვდის ამ საზოგადოებას საქონელს მხოლოდ ერთი პროცენტის დადებით, რაიც დიდათ ადვილებს საზოგადოებისთვის ტფილისიდან საქონლის მოზიდვის საქმეს.

სასურველი იქნებოდა, რომ ცეკავშირი შემდეგშიაც ასევე გამუდმებით აწარმოებდეს დასახელებულ მაზრის კოოპერატივების დახმარებასა და გაძლიერებაზე, ვინაიდან მხოლოდ ეს იქნება უტყუარი საშუალება სოფლის და ქალაქის დასაკავშირებლათ, გლეხთა მასის და პროლეტარიატის დასახლოვებლათ და „მაკრატლის" პრობლემის გადასაჭრელათ.

ამასთან ერთად არა ზედმეტად მიმაჩნია რამოდენიმე სიტყვის თქმა მაზრის წმინდა საწარმოო კოოპერატივების შესახებ. ასეთი კოოპერატივები უკანასკნელ ორ თვემდე (გარდა შემდეგ ამხანაგობებისა—მელვინე-მევენახეთა „უნიონი" [illegible] კოოპერატივთან, აგრეთვე ამხანაგობა შულავერის კოოპერატივთან, მებამბეთა ამხ-ბა სარვანის და ახალქალაქის კოოპერატივთან და მერძევეთა ამხანაგობა ბაშკიჩეთის კოოპერატივთან, რომელიც მოეწყო (ცეკავშირის ინიციატივით) მაზრაში სრულებით არ იყო.

ეხლახან, ამ წლის იანვრიდან წარმოკავშირის წარმომადგენლები გაცხარებულ მუშაობას აწარმოებენ—თუმცა მხოლოდ ქაღალდზე—მებამბეების და მელვინეების ამხანაგობათა დასაარსებლათ მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებებთან უკვე არსებულ ამხანაგობების გვერდით. ასეთი ამხანაგობები სოკოებივით ჩნდებიან ნაკლებათ დასახლებულ პუნქტებშიც კი რადგან არ უწევენ წარმოკავშირლები ანგარიშს იმ გარემოებას, რომ რაც უფრო მეტი იქნება რიცხვით ასეთი კოოპერატიული ორგანიზაციები, მით უფრო სუსტი იქნებიან ისინი, მით უფრო ნაკლები გარანტია იქნება შესაფერ და კეთილსაიმედო პირების გამოსანახავათ, რომელთაც შეეძლებათ ამ ორგანიზაციების სათავეში ჩადგომა, მით უფრო მეტ ტვირთად დააწვება მცხოვრებთ მათი შენახვა და მით უფრო მალე დადგება საზღვარი მათ არსებობას, რასაც ნათელ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს გასაბჭოებამდე თითქმის ყოველ სოფელში ცალკე კოოპერატივის არსებობა. მით უმეტეს, რომ გლეხის სავსებით და ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელი სამომხმარებლო კოოპერატივის და მათი განყოფილებების არსებობის დროს, ყველა ეს ამხანაგობები დასაღუპავად არიან განწირულნი, ვინაიდან გლეხი უკვე შეეჩვია კოოპერატივში თავისი ნაწარმოებებით მისვლას—ხორბლით, კარტოფილით, ყრბით, ყველით, ქთმით, კვერცხით და სხვა ამგვარით, იმ კოოპერატივში, რომელიც მას საზოგადოთ აძლევს—ნავთს, ფართალს, სპიჩს, წუმწუმას, მარილს და ქალაქის მრეწველობის სხვა ნაწარმოებებს და რომელიც საკმარისათ ემსახურება სასოფლო-მეურნეობის საჭიროებებს.

წარმოკავშირის წარმომადგენლების ამ გაცხარებული და მასთან უსისტემო მუშაობის დროს თავს იჩენს ერთი არანორმალური მოვლენა, რომელსაც შეუძლია საბოლოოთ გაუტეხოს კოოპერაციას სახელი მცხოვრებთა თვალში: აარსებენ რა კოოპერატივის გვერდით თავის ამხანაგობას, წარმოკავშირის წარმომადგენლები მოურიდებლათ, დაუმსახურებლათ აკრიტიკებენ ცეკავშირის ორგანიზაციას, პპირდებიან გლეხთა მრავალ მასას აშკარათ აუსრულებელ რამეებს და ყოველივე ამას სჩადიან მხოლოდ იმისათვის, რომ მიიღონ ამ ხალხისაგან ქაღალდი და 5—7 კაპიკის ხელის მოწერა, რაიც არსებული კანონით საჭიროა წესდების დასამტკიცებლათ. ასეთი მაგალითები რამოდენიმე იყო სარვანის და [illegible] რაიონებში.

გლეხები განცვიფრებული არიან— „რატომ აკრიტიკებენ წარმოკავშირის წარმომადგენლები ცეკავშირს? ცეკავშირი ხომ ჩვენ ნავთს, ფართალს, მარილს და სხვა ამგვარს გვაწვდის, წარმოკავშირი კი „მომავალში სიკეთის" გარდა ვერას გვაძლევს"— ამბობენ ისინი.

გლეხებს შორის წარმოკავშირის და ცეკავშირის მისამართით ხშირად გაიგონებ—„ორ ძიძის გაზრდილს ბავშვს თვალები დაევსებაო".

უნებურად იბადება კითხვა: გამოწვეულია თუ არა აუცილებლობით სოფელში პარალელურად ორი კოოპერატიული ორგანიზაციის არსებობა, რომელთაც ერთიდაიგივე მიზანი აქვთ და რომელთაც მეთაურობს 2 კოოპერატიული ცენტრი? განა არ დააწვება მძიმე ტვირთად გლეხებს მომხმარებლებს და მწარმოებლებს როგორც სოფლის პირველ საფეხურის პარალელურათ დაარსებულ ორგანიზაციების, ისე ორ კოოპერატიულ ცენტრის უზარმაზარ შტატების შენახვა? ჩვენ გლეხი-მომხმარებლები და მწარმოებლები ვამტკიცებთ, რომ არ არის გამოწვეული საჭიროებით სოფელში ორი პარალელური კოოპერატიულ ორგანიზაციის არსებობა; საკმარისია ერთი ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც შესძლებს ერთსადაიმავე დროს გლეხის როგორც მწარმოებლის და გლეხის როგორც მომხმარებლის დაკმაყოფილებას. ეს ჩვენ მოგვცემს ძალთა ეკონომიას, რომლითაც ასე ღარიბია ჩვენი სოფელი, და რაც მთავარია—საშუალებათა ეკონომიას. აქედან ლოგიურად გამომდინარეობს: არსებობა ორი კოოპერატიული ცენტრის მათი უზარმაზარი შტატებით, რომელთა შენახვაც იმავე გლეხი-მომხმარებლის და მწარმოებლის ხარჯზე ხდება, სრულიად ზედმეტია და ეწინააღმდეგება „მაკრატლის" პრობლემას.

ამ არანორმალურ მოვლენას საქართველოს კოოპერაციის ცხოვრებაში უნდა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერარს. მოწესრიგება ამ საკითხის—აი გადაუდებელი ამოცანა ჩვენი უმაღლესი ხელისუფლებისა. 2 კოოპერატიული ცენტრის პარალელიზმის დაშვება—რა რიგის [illegible] არ უნდა გაამართლონ ისინი —დიდ ზიანს მოუტანს კოოპერაციას ადგილებზე—სოფლად.

სოფელში კოოპერაციის ასაყვავებლად აუცილებლად საჭიროა:

1) კოოპერაციის მშენებლობაში სრულად პარალელიზმის მოსპობა;

2) არსებულ ორი კოოპერატიული ცენტრის ერთ ცენტრად გაერთიანება;

3) არსებულ კოოპერატივებში საბრუნავი საშუალებების გაძლიერება, რომლითაც ჩვენი კოოპერატივები არც თუ დიდად მდიდარნი არიან.

4) გაერთიანებული ცენტრის მიერ სოფლის კოოპერატიულად ხელმძღვანელობის გაძლიერება.

[illegible]

ორშაბათს, 17 მარტს ვლ. ი. ლენინის სახელობის თეატრში
(სახელმწიფო ოპერა)

სეით დევდარიანი

რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

საბჭოთა ხელისუფლება და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

შინაარსი

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატთა საბჭოთა ხელისუფლების 3 წლის არსებობის გამოცდილება.
2. ძირითადი შეცდომა საქართველოს სოციალ დემოკრატიის ტაქტიკაში
3. ორი მიმართულება ქართული მენშევიზმის იდეოლოგიაში.
4. აზრი და კონკრეტიული შინაარსი ფორმულის „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ".
5. ბოლშევიკები და დემოკრატიზმი.
6. დემოკრატიის საშუალებით ბოლშევიზმის წინააღმდეგ, თუ ბოლშევიზმის საშუალებით დემოკრატიზმისაკენ
7. საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მარქსისტული თვალსაზრისით.
8. საერთაშორისო პირობები და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.
9. ევროპა და რუსეთი, რუსეთი და საქართველო.
10. ნოე ჟორდანია და „ბრძოლის საკითხები".
11. საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა.
12. პროლეტარიატის დიქტატურა ბოლშევიზმის და მენშევიზმის იდეოლოგიაში.
13. მენშევიზმი და ბოლშევიზმი.
14. პროლეტარიატის დიქტატურა და პროლეტარული დემოკრატიზმი.
15. საქართველოს გზა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.
16. წითელი არმია და საქართველოს დამოუკიდებლობა.
17. ჩვენი ამოცანები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.
18. II და III ინტერნაციონალი.
19. ბოლშევიზმი და მენშევიზმის მომავალი.
20. საქართველოს საკითხი და ერთიანი ფრონტი საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ.

მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ამხ. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, მიშა ოკუჯავა, კახიანი, ლომინაძე და სხვები.

მოხსენების დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

დრო) კაპიტალის მიერ ფას გადაუხდელ, „ზედმეტ" ნაწარმოებს ანუ ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე კაპიტალში, წარმოების პროცესის თვალსაზრისით საჭიროა გავარჩიოთ ორი ნაწილი: მუდმივი კაპიტალი, რომელიც წარმოების საშუალებებზე იხარჯება (მანქანები, შრომის იარაღები, ნედლი მასალა და სხვა)—მისი ღირებულება (ერთბაშათ ან ნაწილობრივ) უცვლელათ დამზადებულ ნაწარმოებში გადადის,—და ცვალებადი კაპიტალი, რომელიც სამუშაო ძალის ყიდვაზე იხარჯება. ამ კაპიტალის ღირებულება უცვლელი არ რჩება, არამედ ის იზრდება შრომის პროცესში და ზედმეტ ღირებულებას ჰქმნის. ამიტომ კაპიტალის მიერ სამუშაო ძალის ექსპლოატაციის დონეს გამოსახატავათ, ზედმეტი ღირებულება შედარებულ უნდა იქმნას მთელს კაპიტალთან კი არა, არამედ ცვალებად კაპიტალთან. მაგალითად, ზედმეტ ღირებულების ნორმა, როგორც უწოდებს მარქსი ამ დამოკიდებულებას, ჩვენს მაგალითში 6 : 6 ე. ი. 100 პროც. უდრის.

კაპიტალის აღმოცენების ისტორიული პირობებია: 1) საზოგადოთ საქონლის წარმოების შედარებით მაღალ საფეხურზე, ცალკე პირთა ხელში განსაზღვრულ ფულის თანხების დაგროვება და 2) ორგვარათ „თავისუფალ" მუშის არსებობა: თავისუფალი სამუშაო ძალის გაყიდვის რაიმე დაბრკოლებისა და განაზღვრისაგან და მოკლებულის მიწას და საზოგადოთ წარმოების საშუალებას, უქონელი მუშა—„პროლეტარის" არსებობა, რომელიც ვერაფრით ვერ იარსებებს, თუ არა სამუშაო ძალის გაყიდვით.

ზედმეტი ღირებულების გადიდება შესაძლებელია ორი ძირითადი ხერხით: სამუშაო დღის გაგრძელებით („აბსოლიუტური ზედმეტი ღირებულება") და აუცილებელ სამუშაო დროის შემცირებით („შედარებითი ზედმეტი ღირებულება"). აკეთებს რა პირველ შემთხვევის ანალიზს, მარქსი გადაგვიშლის სამუშაო დღის შემცირებისათვის მუშათა კლასის ბრძოლისა და სამუშაო დროს გაგრძელებაში (14—17 ს. ს.) და მისი შემცირებაში (მე-19 საუკუნის საქარხნო კანონმდებლობა) სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გრანდიოზულ სურათს მას შემდეგ, რაც „კაპიტალი" გაჩნდა, მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნების მუშათა მოძრაობის ისტორიამ ამ სურათის დამახასიათებელი უამრავი ახალი ფაქტები მოგვცა.

უკეთებს რა ანალიზს შედარებითი ზედმეტ ღირებულებას, მარქსი იკვლევს კაპიტალიზმის მიერ შრომის ნაყოფიერების გადიდების სამს ძირითად სტადიას: 1) მარტივ კოოპერაციას, 2) შრომისა და მანუფაქტურის განაწილებას და 3) მანქანებსა და მსხვილ მრეწველობას. რაოდენ ღრმათ აღმოაჩინა აქ მარქსმა კაპიტალიზმის განვითარების ძირითადი ტიპიური თვისებები, სხვათა შორის, იმაში სჩანს, რომ რუსეთის, ეგრედ წოდებულ შინა-მრეწველობის გამოკვლევა უდიდეს მასალას იძლევა პირველ ორ დასახელებულ სტადიების საილუსტრაციოთ, და მსხვილ სამანქანო მრეწველობის რევოლიუციონური გავლენა კი მარქსის მიერ 1867 წ. აღწერილი, გამოაშკარავდა მას შემდეგ გასულ ნახევარ საუკუნის განმავლობაში მთელ რიგ „ახალ" ქვეყნების მიმართ (რუსეთი, იაპონია და სხვა).

შემდეგ მეტის მეტათ მნიშვნელოვანი და ახალია მარქსის მიერ გაკეთებული კაპიტალის დაგროვების ე. ი ზედმეტი ღირებულების ნაწილის კაპიტალათ გადაქცევის, კაპიტალისტის პირად საჭიროებისა ან კაპრიზისათვის დახარჯვის მაგიერ, ახალ წარმოებაში მისი გამოყენების ანალიზი. მარქსმა ნათელჰყო მთელი წარსულ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიის (ად. სმიტიდან დაწყებული) შეცდომა, თითქოს მთელი ზედმეტი ღირებულება, რომელიც კაპიტალად იქცევა, ცვალებად კაპიტალში გადადის. ნამდვილად კი ის იყოფა წარმოების საშუალებებზე და ცვალებად კაპიტალზე უდიდესი მნიშვნელობა კაპიტალიზმის განვითარების პროცესისა და სოციალიზმში მისი გადასვლისათვის აქვს მუდმივ კაპიტალის წილს (კაპიტალის საერთო ჯამში) უფრო სწრაფი ზრდა ცვალებად კაპიტალთან შედარებით კაპიტალის დაგროვება აჩქარებს რა მუშების მანქანით შეცვლის პროცესს იწვევს რა ერთ პოლიუსზე გამდიდრებას და მეორეზე—გაღატაკებას, წარმოშობს ან ეგრედ წოდებულ „სარეზერვო მუშათა არმიას", მუშების „შედარებით ზედმეტ რაოდენობას", ან „კაპიტალისტურ ზედმეტ მოსახლეობას", რომელიც იღებს ძალიან მრავალფეროვან ფორმებს და აძლევს კაპიტალს საშუალებას სწრაფად გააფართოვოს წარმოება. ეს შესაძლებლობა, წარმოების საშუალებებში კრედიტის და კაპიტალის დაგროვების გამო, იძლევა სხვათა შორის მასალებს ზედმეტი წარმოების იმ კრიზისების გაგებისათვის, რომელიც პერიოდულად დგება კაპიტალისტურ ქვეყნებში პირველად საშუალოდ ყოველ 10 წელიწადში, შემდეგ უფრო ხანგრძლივად და ნაკლებად განსაზღვრულ დროის შუალედებში კაპიტალიზმის ბაზარზე კაპიტალის დაგროვებისაგან უნდა გავარჩიოთ ეგრედ წოდებული პირვანდელი დაგროვება მუშის წარმოების საშუალებიდან ძალათ ჩამოშორება, გლეხების მიწიდან განდევნა, სათემო მიწების ხელში ჩაგდება, კოლონიების და სახელმწიფოებრივი ვალების მფარველობითი ბაჟების სისტემა და სხვა „პირვანდელი დაგროვება" ერთ პოლიუსზე წარმოშობს „თავისუფალ" პროლეტარს, მეორეზე—ფულის მეპატრონეს—კაპიტალისტს.

„კაპიტალისტური დაგროვების ისტორიულ ტენდენციას" მარქსი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: („კაპიტალი", 1) „მწარმოებელთა უშუალო ექსპროპრიაცია სწარმოებს დაუნდობელ ვანდალიზმით და ქვენა გრძნობების, ყველაზე ბინძურ, ყველაზე წვრილმან ბოროტ ვნებების ზეგავლენით. კერძო საკუთრება, რომელიც მოპოვებულია საკუთარი შრომით და რომელიც მოასწავებს, ასე ვსთქვათ, ცალკე და მოუკიდებელ მუშაკის გადაჯაჭვას მის შრომის პირობებთან, თანდათან ადგილს უთმობს კაპიტალისტურ კერძო საკუთრებას, რომელიც დამყარებულია სხვისი, მაგრამ ფორმალურად თავისუფალ შრომის ექსპლოატაციაზე... შრომის შემდეგი განსაზოგადოებრივება და მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა წარმოების ისეთ საშუალებათ გადაქცევა, რომელიც შეადგენს საზოგადოებრივ ექსპლოატაციის საგანს, ე. ი. საზიარო არის გამოყენებული, სხვანაირათ რომ ვსთქვათ, კერძო მესაკუთრეთა შემდეგი ექსპლოატაცია ახალ ფორმებში ყალიბდება. ეხლა ექსპროპრიაციის საგანს შეადგენს არა მუშა, რომელიც ეწევა დამოუკიდებელ მეურნეობას, არამედ კაპიტალისტი, რომელიც ექსპლოატაციას უწევს მრავალ მუშებს ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტურ კანონების ძალით, კაპიტალის ცენტრალიზაციის საშუალებით. ერთი კაპიტალისტი აჩანაგებს ბევრ სხვა კაპიტალისტებს. ამ ცენტრალიზაციისა და რამოდენიმე კაპიტალისტების მიერ მრავალ კაპიტალისტების ექსპროპრიაციასთან ერთად, სულ უფრო და უფრო ფართოთ ვითარდება შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა, მეცნიერების შეგნებულად ტეხნიკური გამოყენება, მიწის გეგმაშეწონილი ექსპლოატაცია, შრომის იარაღების ისეთ იარაღად გარდაქმნა, რომელიც შეიძლება ზიარათ იქნეს ხმარებული; წარმოების ყველა საშუალებათა, როგორც გაერთიანებულ საზოგადოებრივ საშუალებათა გამოყენების წყალობით, ხდება მათი ეკონომიურად დახარჯვა ბოლოს, სწარმოებს ყველა ხალხთა მსოფლიო ბაზრის ქსელში ჩაბმა და ამგვარად კაპიტალისტურ რეჟიმს საერთაშორისო ხასიათი ეძლევა. კაპიტალის იმ მაგნატების რიცხვის მუდმივ შემცირებასთან ერთად, რომელნიც თავის სასარგებლოდ იყენებენ და მონოპოლიას უწევებიან ამ გარდაქმნის პროცესის ყოველგვარ ხელსაყრელ პირობებს, იზრდება მუშათა კლასის მასიური გაღატაკება, ჩაგვრა, მონობა, გადაშენება, ექსპლოატაცია და ამასთან ერთად აღშფოთებაც. ეს მუშათა კლასი იწვრთნება, ერთიანდება და ირაზმება კაპიტალისტურ წარმოების პროცესის მექანიზმით კაპიტალის მონოპოლია ბორკილად ხდება იმ წარმოების საშუალებისა, რომელიც მის დროს და მის ქვეშ აღმოცენდა. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევენ იმ წერტილს, როდესაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ ჩარჩოში. კაპიტალისტურ წარმოების უარყოფა ხდება მათ მიერ ბუნებრივ პროცესის აუცილებლობით".

ფრიად მნიშვნელოვანი და ახალია შემდეგ „კაპიტალის" მეორე ტომში მარქსის მიერ მოცემული მთლიანად საზოგადოებრივ კაპიტალის შექმნის ანალიზი. აქაც მარქსი ეხება არა ინდივიდუალურ, არამედ მასიურ მოვლენას, საზოგადოების ეკონომიის არა ნაწილაკს, არამედ მთლიანად მთელ ამ ეკონომიას. ასწორებს რა კლასიკების ზემოთ აღნიშნულ შეცდომას, მარქსი ჰყოფს მთელ საზოგადოებრივ წარმოებას ორ ნაწილათ 1. საწარმოო საშუალებათა წარმოება და 2. მოხმარების საგნების წარმოება და დეტალურად იხილავს, მის მიერ აღებულ ციფრების მაგალითებზე მთელ საზოგადოებრივ კაპიტალის ბრუნვას, როგორც ძველ რაოდენობით წარმოების, ისე დაგროვების დროს.

„კაპიტალის" მესამე ტომში გადაწყვეტილია საკითხი ღირებულების კანონის საფუძველზე მოგების საშუალო ნორმის შექმნის შესახებ ეკონომიურ მეცნიერების დიდ ნაბიჯათ ითვლება ის, რომ მარქსის ანალიზი ამავე დროს სწარმოებს მასიურ ეკონომიურ მოვლენების, მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის თვალსაზრისით და არა ცალ-ცალკე კაზუსების ან კონკურენციის გარეგნულ ზედაპირის თვალსაზრისით, რითაც ხშირათ კმაყოფილდება ვულგარული პოლიტიკური ეკონომია ანუ „უკიდურესი სარგებლიანობის თანამედროვე თეორია". ჯერ მარქსი ანალიზს უკეთებს ზედმეტი ღირებულების წარმოშობას და შემდეგ უკვე გადადის მისი მოგებათ, პროცენტად და მიწის რენტად დანაწილებაზე. მოგება არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალთან. „მაღალ ორგანიულ შენობის" კაპიტალი (ე. ი. მუდმივი კაპიტალის ჭარბობა ცვალებადზე შედარებით საშუალო საზოგადოებრივთან) იძლევა მოგების საშუალოზე დაბალ ნორმას „დაბალ ორგანიულ შენობის" კაპიტალი საშუალოზე მაღალს. კაპიტალებს შორის არსებული კონკურენცია, მათი ერთი დარგიდან მეორეში გადასვლა ორივე შემთხვევაში მოგების ნორმას საშუალოზე მიიყვანს. ამა თუ იმ საზოგადოების ყველა საქონლის ღირებულებათა ჯამი დაემთხვევა საქონლის ფასების ჯამს, მაგრამ სხვადასხვა წარმოებებში და წარმოების სხვადასხვა დარგებში საქონელი კონკურენციის შედეგად იყიდება არა მისი ღირებულებით, არამედ წარმოების ფასის მიხედვით (ანუ წარმოებითი ფასის მიხედვით), რომელიც უდრის დახარჯულ კაპიტალს საშუალო მოგების მიმატებით.

ამგვარად, ფასების ღირებულებისაგან დაშორების და მოგების თანასწორების ყველასათვის ცნობილი და უდავო ფაქტი სავსებით განმარტებულია მარქსის მიერ ღირებულების კანონის მიხედვით, ვინაიდან ყველა საქონლის ღირებულებათა ჯამი უდრის ფასების ჯამს. მაგრამ ღირებულების (საზოგადოებრივ) ფასებათ (ინდივიდუალურ) გადაქცევა არა მარტივათ და უშუალოთ, არამედ ძალიან რთული გზით ხდება: სავსებით ბუნებრივია, რომ საქონლის მწარმოებელთა დაქსაქსულ საზოგადოებაში, რომელიც მხოლოდ ბაზართან არის დაკავშირებული, კანონ შეწონილება არ შეიძლება გამოაშკარავდეს სხვა გვარად, თუ არა საშუალო, საზოგადოებრივ მასიურ კანონ-შეწონილების მიხედვით, ამა თუ იმ მხარეზე ინდივიდუალურ გადახრათა ურთიერთ გაბათილების დროს.

შრომის ნაყოფიერების გაზრდა მოასწავებს მუდმივ კაპიტალის უფრო სწრაფ ზრდას, ვიდრე ცვალებად კაპიტალისას. და რადგან ზედმეტი ღირებულება არის მხოლოდ ცვალებად კაპიტალის ფუნქცია, გასაგებია, რომ მოგების ნორმას (ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელ კაპიტალთან და არა მხოლოდ მის ცვალებად ნაწილთან) აქვს დაცემის ტენდენცია. მარქსი ვრცელ ანალიზს უკეთებს ამ ტენდენციას და მთელ რიგ მის საწინააღმდეგო გარემოებებს.

არ შევჩერდებით რა მესამე ტომის მეტად საინტერესო განყოფილებების გადმოცემაზე, რომელიც ეხება მევახშურ, სავაჭრო და ფულის კაპიტალს, ჩვენ გადავალთ უმთავრესზე: მიწის რენტის თეორიაზე. მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ფასი, მიწის არეს განსაზღვრულობის გამო, რომელიც დაკავებული აქვს სხვადასხვა მეურნეებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, განისაზღვრება წარმოების დანახარჯით არა საშუალო, არამედ ცუდ ნიადაგზე, პროდუქტების ბაზარზე გადაზიდვის არა საშუალო, არამედ უფრო ცუდ პირობების მიხედვით. განსხვავება ამ ფასის და უკეთეს ნიადაგზე (ან უკეთეს პირობებში) ნაწარმოების ფასის შორის იძლევა სხვაობას ანუ დიფერენციალურ რენტას. უკეთებს რა მას დეტალურ ანალიზს, გვიჩვენებს რა მის წარმოშობას მიწის სხვადასხვა ნაკვეთების ნაყოფიერების განსხვავებას, დაბანდებულ კაპიტალის სხვაობის დროს, მარქსი სავსებით ნათელჰყოფს (ის აგრეთვე „ზედმეტი ღირებულების თეორიები", სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როდბერტუსის კრიტიკა) რიკარდოს შეცდომას, რომ თითქოს დიფერენციალური რენტა მიიღება უკეთეს მიწებიდან უარესზე თანდათანობითი გადასვლის დროს. პირიქით ხდება საწინააღმდეგო გადასვლა, ხდება ერთი კატეგორიის მიწების მეორეში გადასვლა (აგრონომიულ ტეხნიკის პროგრესის, ქალაქების ზრდის და სხვ. ძალით), და დიდ შეცდომით თვლიდნენ „ნიადაგის ნაყოფიერების კლების კანონს". შემდეგ მოგებათა თანასწორობა მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებში გულისხმობს კონკურენციის თავისუფლებას, კაპიტალის ერთი დარგიდან მეორეში გადასვლის თავისუფლებას. ამავე დროს მიწაზე კერძო საკუთრება ჰქმნის მონოპოლიას, ამ თავისუფალ გადასვლას აფერხებს. ამ მონოპოლიის ძალით სასოფლო-მეურნეობის პროდუქტები, იმ მეურნეობის, რომელიც განსხვავდება კაპიტალის უფრო დაბალი შენებით და „მაშასადამე", მოგების უფრო მაღალი ნორმით, არ ღებულობენ მონაწილეობას მოგების ნორმის გათანაბრების თავისუფალ პროცესში; მიწის მესაკუთრეს, როგორც მონოპოლისტს, აქვს საშუალება შეინარჩუნოს საშუალოზე მეტი ფასი, ხოლო ეს სამონოპოლიო ფასი წარმოშობს აბსოლიუტურ რენტას. დიფერენციალური რენტა არ შეიძლება მოსპობილი იქნას კაპიტალიზმის არსებობის დროს, აბსოლიუტური კი შეიძლება, მაგალითად, მიწის ნაციონალიზაციის, მისი სახელმწიფოს საკუთრებათ გადასვლის დროს. ასეთი გადასვლა მოასწავებდა კერძო მესაკუთრეთა მონოპოლიისათვის ძირის გამოთხრას, მოასწავებდა მიწათმოქმედებაში კონკურენციის თავისუფლების უფრო სრულ გატარებას. და ამიტომ რადიკალური ბურჟუები, აღნიშნავს მარქსი, არა ერთხელ მოითხოვდენ ამას. შესანიშნავათ, პოპულიარულად, მოკლეთ და მკაფიოთ ადგენს მარქსმა კაპიტალისტურ რენტის საშუალო მოგების თეორია ენგელსისადმი მიწერილ წერილში 1862 წ. 2 აგვისტოს (იხ. „მიწერ-მოწერა" ტომი 3, გვ 77 81. შემდ. აგრეთვე წერილი 1862 წ. 9 აგვისტ. იქვე, გვ. 86-87) მიწის რენტის ისტორიის გასაშუქებლად საჭიროა აგრეთვე მივუთითოთ მარქსის ანალიზზე, რომელიც გვიჩვენებს დამუშავების რენტის (როდესაც გლეხი თავისი შრომით მემამულის მიწაზე ჰქმნის ზედმეტ პროდუქტს) გადასვლას პროდუქტების ან ნატურალურ რენტაში (გლეხი თავის მიწაზე ჰქმნის ზედმეტ პროდუქტს, აძლევს რა მას მემამულეს „ეკონომიურ იძულების გარეშე") შემდეგ ფულის რენტაში (იგივე რენტა ნატურით გადაქცეული ფულად „ობროკი" ძველ რუსეთში, საქონლის წარმოების განვითარების ძალით) და ბოლოს კაპიტალისტურ რენტაში როდესაც გლეხის ნაცვლად მიწათმოქმედებაში გამოდის მწარმოებელი, რომელიც ამუშავებს მიწას დაქირავებული შრომით. „კაპიტალისტურ მიწის რენტის გენეზისის" ამ ანალიზის გამო, საჭიროა აღინიშნოს მარქსის მთელი რიგი ღრმა (და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, როგორიც რუსეთია) აზრები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის ევოლიუციის შესახებ. „ნატურულ რენტის ფულისაში გადასვლას არა თუ თან სდევს, არამედ წინ უსწრობს არაფრის მქონე დღიურ მუშათა კლასის წარმოშობა, რომელიც ფულზე ქირავდება. ამ კლასების აღმოცენების პერიოდში, როდესაც ეს კლასი ჯერ კიდევ სპორადიულად არსებობს, უფრო შეძლებული, მოხარკე გლეხები ბუნებრივათ ეჩვევიან თავის ხარჯზე სოფლის დაქირავებულ მუშების ექსპლოატაციას იმ გვარათვე, როგორც ფეოდალურ ხანაში შეძლებულ საბატონო გლეხებს თავის მხრივ ყავდათ ყმები. ამ გლეხებს თანდათან ეძლევათ საშუალება დააგროვონ ქონება და თვით გახდენ მომავალ კაპიტალისტებათ. მიწების ძველ მეპატრონეთა შორის, რომელნიც ეწევიან დამოუკიდებელ მეურნეობას, წარმოიქმნება, მაშასადამე, კაპიტალისტურ მოიჯარადრეთა გამავრცელებელნი, რომელთა განვითარება დამოკიდებულია კაპიტალისტურ წარმოების სასოფლო მეურნეობის გარეშე საერთო განვითარებაზე" („კაპიტალი" IV, ნაწ. 1 332) „სოფლის მცხოვრებთა ერთი ნაწილის ექსპროპრიაცია და მისი სოფლიდან განდევნა არა მარტო „ათავისუფლებს" სამრეწველო კაპიტალისათვის მუშებს, მათი ცხოვრების საშუალებას, მათი შრომის იარაღს, არამედ ჰქმნის შინაურ ბაზარს" („კაპიტალი 1, 778). სოფლის მცხოვრებთა გაღატაკება და განადგურება თამაშობს თავის მხრივ კაპიტალისათვის მუშათა სარეზერვო არმიის წარმოშობის როლს. ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში „სოფლის მცხოვრებთა ერთი ნაწილი მუდამ იმყოფება გარდამავალ, ქალაქის ანუ მანუფაქტურულ (ე. ი. არა მიწათმოქმედ) მცხოვრებად გადაქცევის მდგომარეობაში. ზედმეტ მცხოვრებთა ეს წყარო მუდმივათ მოქმედებს. სოფლის მუშას ძალიან უმცირებენ ხელფასს და ის ყოველთვის ერთი ფეხით პაუპერიზმის ჭაობში სდგას". („კაპიტალი 1, 668). გლეხის კერძო საკუთრება მიწაზე, რომელსაც ის ამუშავებს, არის წვრილი წარმოების საფუძველი და მისი გაფურჩქვნის და კლასიკური ფორმის მიღების პირობა. მაგრამ ეს წვრილი წარმოება თავსდება მხოლოდ წარმოების და საზოგადოების ვიწრო, პრიმიტიულ ჩარჩოებში... კაპიტალიზმის დროს „გლეხთა ექსპლოატაცია მხოლოდ ფორმით განსხვავდება სამრეწველო პროლეტარიატის ექსპლოატაციისაგან. ექსპლოატატორი იგივეა კაპიტალი. ცალკე კაპიტალისტები ექსპლოატაციას უწევებიან ცალ-ცალკე გლეხებს იპოთეკების და მევახშეობის საშუალებით; კაპიტალისტების კლასი უწევს გლეხთა კლასს სახელმწიფოებრივი გადასახადების საშუალებით. „გლეხის პარცელა" (მიწის პატარა ნაჭერი) წარმოადგენს მხოლოდ საბაბს, რომელიც ნებას აძლევს კაპიტალისტს მიწიდან ამოიღოს სარგებელი, პროცენტი და რენტა. ნებას აძლევს რა თვით მიწათმოქმედს მიიღოს, როგორც მას სურს, თავისი ხელფასი ჩვეულებრივ გლეხი აძლევს კაპიტალისტურ საზოგადოებას, ე. ი. კაპიტალისტების კლასს ხელფასის ნაწილს, ეშვება რა ირლანდიის მოიჯარადრის დონემდე —კერძო მესაკუთრის სახით". რაში მდგომარეობს „ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ წვრილ გლეხურ მიწათმოქმედების ქვეყნებში პურის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე კაპიტალისტურ წარმოების ქვეყნებში? იმაში, რომ გლეხი მუქთად აძლევს საზოგადოებას (ე. ი. კაპიტალისტების კლასს) ზედმეტი პროდუქტების ნაწილს. მაშასადამე პურის ასეთი დაბალი ფასი არის მწარმოებელთა სიღატაკის და არავითარ შემთხვევაში არა მათი შრომის ნაყოფიერების შედეგი" წვრილი საკუთრება მიწაზე, წვრილი წარმოების ნორმალური ფორმა განიცდის დეგრადაციას, ისპობა და იღუპება კაპიტალიზმის დროს.

ნ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარულებათ არჩეულნი არიან ყრილობაზე დამსწრე ამხ. ამხ. კალინინი, დომბალი, ფელიქსი, კონი, და აგრეთვე სტალინი, პეტროვსკი, ნარიმანოვი და რიკოვი.

მიმართვა ბელორუსიის ყველა მშრომელებისადმი.

მინსკი. 14 მარტი. ყრილობამ მიიღო მიმართვა ბელორუსიის ყველა მშრომელებისადმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ყრილობაზე ხორციელდება ყველა იმ მიწების გაერთიანება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სადაც უმრავლესობას შეადგენს ბელორუსიის მოსახლეობა. ბელორუსიას, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ბრძოლის ასპარეზი იყო მონარქიულ რუსეთსა და პოლონეთს შორის, მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მიანიჭა დამოუკიდებელი არსებობის საშუალება. საბჭოთა ბელორუსიაში—ქვეყანაში, სადაც მეფის და პანის უღელი ამწვავებდა კულტურულ განთავისუფლების ყოველგვარ ნიშნებს, სადაც მეფის მთავრობა ერთი ერის მშრომელებს უსისინებდა მეორე ერის მშრომელებს—ამ ქვეყანაში ეხლა მშვიდობიან მუშაობას ეწევიან ყველა ერების მუშები და გლეხები.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ყველა სამაზრო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

რათა მთელ რიგ საკითხების გარჩევაში ჩაბმულ იქნენ გლეხთა ფართო მასები, რათა სისწორით გაეცნონ ისინი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებებს, საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას აძლევს ყველა სამაზრო კომიტეტებს, რომ უახლოეს ვადაში დაიწყონ ფართო კამპანია მასიურ უპარტიო კონფერენციების ჩასატარებლად.

კონფერენციის ჩატარების დროს ცეკა წინადადებას იძლევა სისწორით იხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებებით:

1) კამპანიის საერთო ხელმძღვანელობისათვის პარტკომებთა მოეწყოს კომისია საადგილ-მამულო განყოფილების, სახალხო განათლების განყოფილების, ახალგაზრდობის კომკავშირის, ქალთა განყოფილების წარმომადგენლების მონაწილეობით და პარტკომის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით; აგრეთვე ორგანიზაციის მუშაობაში ჩაბმულ იქნენ სოფელში მომუშავე დაწესებულებები. (პოლიტიკური განათლების განყოფილება, კოოპერატივი, მიწა-ტყის და განათლების მომუშავეთა კავშირები). კონფერენციის მომზადება უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული ყურადღებით. არ უნდა დარჩეს არც ერთი სოფელი, სადაც არ იქნება გამართული გლეხთა კრება, რომელზედაც არ იქნება გარჩეული კონფერენციის მნიშვნელობა.

გლეხებმა უნდა შეიგნონ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჭეშმარიტი მუშურ-გლეხური ხელისუფლებაა.

ყველა ღონისძიებათა გატარების დროს განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოსმენილ იქნეს დაბალ წრეების ხმა.

მოსამზადებელმა მუშაობამ უნდა უნდა მიიზიდოს გლეხობის ფართო წრეები.

2) დღის წესრიგის ყველა საკითხებზე მომხსენებლებს უნდა ჰქონდეთ სწორი ინსტრუქციები; ისინი უნდა იქნენ შემოწმებულნი. კონფერენციის მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს სოფლის საბჭოთა ინტელიგენცია: მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, კოოპერატორები და სხვა. სოფლებში კრებების ჩასატარებლად მოწოდებულია კომუნისტების მობილიზაცია. მოხდეს მობილიზაცია სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის ყოფილ დელეგატების და აგრეთვე აქტიურ მუშაკების. ყველა კონფერენციაზე უნდა ესწრებოდნენ პარტკომიტეტების წარმომადგენლები. ყველა მოხსენებები უნდა ატარებდნენ პრაქტიკულ ხასიათს, უნდა ეხებოდნენ ადგილობრივი გლეხობის ინტერესებს.

სასოფლო კრებების დღის წესრიგი უნდა იყოს მაგ. შემდეგი:

1) კონფერენციის მნიშვნელობა,
2) ლენინი და გლეხობა,
3) საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანები სოფელში.

რაიონულ კონფერენციების დღის წესრიგი:

1) რაიონულ აღმასკომის ანგარიში,
2) ყრილობების შედეგების შესახებ; გამოყოფილ იქნეს მთავრობათა ანგარიში, განსაკუთრებით ღონისძიებები გლეხობისათვის დასახმარებლად და ნაციონალური საკითხი,
3) ლენინი და გლეხობა,
4) გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტის ანგარიში,
5) საკითხი ადგილობრივი კოოპერაციის მუშაობის შესახებ,
6) თესვის კამპანია ან აგრონომიულ პუნქტების მუშაობა, ან მიწა-ტყის კოდექსის განმარტებანი.
7) კულტურულ-განათლების საკითხები (1—2 კონკრეტიული საკითხი: გაზეთი „მიწის მუშა“, სკოლა, ქოხ-სამკითხველო და სხვ.).
8) წარმომადგენლობის ნორმა წესდება ადგილობრივ.

რაიონის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით დელეგატების მინიმუმი კონფერენციაზე უნდა შეადგენდეს ორას კაცს.

9) კონფერენციისათვის დელეგატების არჩევის დროს მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს გლეხი ქალები. უკანასკნელები გაყვანილ უნდა იქნენ დელეგატებათ კონფერენციაზე.

მოხსენებები ისე უნდა იქნენ შედგენილი, რომ კონფერენციის მუშაობაში, კამათში ჩაებას დელეგატების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

რეზოლიუციის გამოტანის დროს უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ უკანასკნელი არ ატარებდეს დეკლარატიულ ხასიათს, არამედ შეიცავდეს გარკვეულ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს კონფერენციაზე გარჩეულ ყველა საკითხების შესახებ.

10) კონფერენციის მთელ მუშაობაში, ყველა მოხსენებებში განსაკუთრებული, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მთელი ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაციას.

10) პრეზიდიუმის არჩევნების დროს დაშვებულ იქნეს უპარტიო გლეხების უმრავლესობის არჩევა.

თემების კონფერენციები უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 10 აპრილისა.

ყველა რეზოლიუციების და პრაქტიკულ წინადადებების ასლები სპეციალურ ანგარიშთან ერთად დაუყონებლივ გამოიგზავნოს ცეკაში.

დამატებით იქნება გამოგზავნილი მასალები: ლ. კამენევი—„საბჭოთა კავშირის მთავრობის ანგარიში“. ვ. ლენინი — „წერილების კრებული გლეხთა საკითხის და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესახებ“.

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი: კახიანი.

საქ. კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ქვარიანი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამხ. ლენინის გარდაცვალებამ და მუშათა ფართო მასებში აშკარად მომხდარმა გადახრამ კომუნისტური პარტიისაკენ ჩვენს წინაშე დასვა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა: აღვზარდოთ ჩვენს პარტიაში მომავალი მუშები დაზგებიდან ლენინის ანდერძის მიხედვით.

ამათგან ჭეშმარიტ მტკიცე კომუნისტების შექმნა ჩვენი პარტიის ისტორიის, პროგრამის, ტაქტიკის და ორგანიზაციული მშენებლობის შესწავლის ნიადაგზე,—მათი აღჭურვა ლენინიზმით,—აი რა მიმართულებით უნდა სწარმოებდეს ჩვენი მუშაობა ლენინის კადრების მოსამზადებლად.

მაგრამ ამ მუშაობის გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაში ჩაბმული იქნებიან მომზადებული პარტიულები, თუნდაც რომ მათ არ გაეწიოთ წინათ სისტემატიური საპროპაგანდო მუშაობა, მიუხედავად მათი საბჭოთა-პარტიულ თანამდებობისა.

ითვალისწინებს რა ამ მდგომარეობას, ტფილისის კომიტეტი მიმართავს მოწოდებით ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს და კერძოთ იმათ, რომლებიც ამ ჟამად არიან მობილიზაციით გაწვეულნი ფართო საპროპაგანდო მუშაობისათვის შემოკლებული ტიპის პოლიტიკური ცოდნის სკოლებში, რათა ახალგაზრდა ლენინელების აღზრდის საქმეს მოეპყრან დიდი სერიოზული ყურადღებით და იმ პასუხისმგებლობის შეგნებით, რომელიც ეკისრება პარტიას მთლიანად და პარტიის თვითეულ წევრს კერძოთ.

ტფილისის კომიტეტი ფიქრობს, რომ პარტიის არც ერთი წევრთაგანი, რომელიც გაწვეულია მობილიზაციით შემოკლებული ტიპის პოლიტიკური ცოდნის სკოლებში სამუშაოდ, თუნდაც ის დატვირთული იყოს მუშაობით თავის თანამდებობაზე, არ შექმნის დისციპლინარული წესის გამოყენების საბაბს და მოახმარს ენერგიის და ძალების მაქსიმუმს პარტიის ახალი კადრების მომზადების ამოცანის განხორციელებას.

კომუნისტური სალამით!

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუხაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში

(15 მარტი)

ჩერვონცები	— —	9.000 მილ.
ფუნტ. სტერლინგ. ქაღალ.	—	7.740 „
„ ჩეკები	—	7.650 „
დოლარი ქაღ.	—	1825 „
„ ჩეკები	—	1717 „
თურქ. ქაღ. ლირა	—	1060 „
იტალიური ლირა	—	81 „
ფრანგული ფრანკი	—	76,5 „

ბიულეტენი

ა.-კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(15 მარტი)

ოქროს მანეთი 9.000.000;

საბითუმო ფასები.

(15 მარტი)

პური 1 ხარისხ.—76.500 ათასი. პური 2 ხარ.—60,000 ათასი, ძროხის ხორცი—340,000 ათასი, ღორის ხორცი 298,000 ათ. შაქარი რაფინადი 340.000 ათ., ფხვნილი შაქარი—247,000 ათ., კარტოფილი—30,000

ტფილისის ბაზრის ფასები.

(15 მარტი)

პური 1 ხ.—90000 ათ., პური 2 ხარ.—65000, ძროხის ხორცი 400.000 ათ., ღორის ხორცი 375.000 ათ., შაქარი რაფინ. 370.000 ათ., შაქარი ფხვნილი 270,000 ათ., კარტოფილი 35000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

„ცენტროსოიუზ“-ის ჩაი, ცეილონის და ჩინეთის ჩაი, სამუშაო ფეხსაცმელები (ინგლის.), მანუფაქტურა, კვებრახის ექსტრაქტი, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შვეიცარიული ყველი, კაუსტიკური სოდა, საშენებელი ლურსმნები, ფანჯრის მინა, სახ. მეურნ. საბჭოს საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი, 1 ხარ., ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ერევნის მატყლი, გიგროსკოპიული ბამბა, ძირტკბილა, გაზეთის ქაღალდი, ადგილობრივი ხორბალი, განჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუს. მანუფაქტურა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვა-მარილი ნახიჩევანის, „კოჟსინდიკატ“-ის პროდ., სალამასი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ და საკონდიტერო, გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდის ცემენტი, სასწორები და მეტრიული გირები.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობა უცხო ქვეყნებთან.

იმპორტი

1923 წლის პირველ კვარტალში (ოქტომბერი—დეკემბერი) ამიერ-კავკასიაში შემოტანილია (ტრანზიტით): სპარსეთიდან 3615,4 ათასი მანეთის, საფრანგეთიდან 251 ათ. მ., ოსმალეთიდან—87,5 ათ, ინგლისიდან—163,7 ათ. მ., გერმანიიდან—247,1 ათ., ჩრდილო-ამერიკის შტატებიდან—165,9 იტალიიდან 83,8 ათ., დანარჩენ ქვეყნებიდან (ფინეთი, ინდოეთი, ჰოლანდია, შვეცია, ისპანეთი, ჩინეთი, ავსტრო-უნგრეთი, ბელგია); შემოტანილია უფრო ნაკლები. აღნიშნულ კვარტალის განმავლობაში შემოტანილია უცხოეთიდან სულ 4740 მანეთის ღირებულებისა.

ექსპორტი

იმავე კვარტალში გატანილია ამიერ-კავკასიიდან (ტრანზიტით): სპარსეთში—831,7 ათას მანეთისა, საფრანგეთში—1753,5 ათ., ოსმალეთში 1599,8 ათ, ინგლისში 1021 ათ., გერმანიაში—687,3, ჩრდილო-ამერიკის შტატებში—644 ათ., ეგვიპტეში—422,5, იტალიაში—272,3; საბერძნეთში 18,3 და სხვადასხვა ქვეყნებში 374,9. სულ გატანილია 7625,3 ათ. მანეთის ღირებულებისა.

მაშასადამე, საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა აღნიშნულ კვარტალში უდრის 12366,2 ათ მანეთს.

მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ სპარსეთს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ა.-კ. საერთო სავაჭრო ბრუნვაში (ტრანზიტით) ღირებულებით 36 პროც. იმპორტში 76 პროც. ხოლო ექსპორტში ამიერ-კავკასიიდან 11 პროც.

მეორე ადგილი საერთო ბრუნვაში უჭირავს საფრანგეთს—16 პროც., იმპორტში—5,3 პროც., ექსპორტში 23 პროც., საფრანგეთში გატანილია ამიერ-კავკასიიდან უმთავრესად შემდეგი საგნები: აბრეშუმის ნაწარმოები (939 ათ. მანეთის), სამანქანო ზეთი (323 ათ. მან.) და შავი-ქვა (96,2 ათ. მან.)

ოსმალეთში თითქმის მთელი ექსპორტი შესდგება კეროსინიდან, ინგლისში და გერმანიაში გატანილია კეროსინი და ნავთის ზეთი. ჩრდილო-ამერიკის შტატებში გატანილია უმთავრესად შავი-ქვა. იტალიაში—შავი-ქვა, აბრეშუმის ნაწარმოები და სამანქანო ზეთი.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(15 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	9.000.000	56 კ.—	504.000.000
2 კ.—	18.000.000	57 კ.—	513.000.000
3 კ.—	27.000.000	58 კ.—	522.000.000
4 კ.—	36.000.000	59 კ.—	531.000.000
5 კ.—	45.000.000	60 კ.—	540.000.000
6 კ.—	54.000.000	61 კ.—	549.000.000
7 კ.—	63.000.000	62 კ.—	558.000.000
8 კ.—	72.000.000	63 კ.—	567.000.000
9 კ.—	81.000.000	64 კ.—	576.000.000
10 კ.—	90.000.000	65 კ.—	585.000.000
11 კ.—	99.000.000	66 კ.—	594.000.000
12 კ.—	108.000.000	67 კ.—	603.000.000
13 კ.—	117.000.000	68 კ.—	612.000.000
14 კ.—	126.000.000	69 კ.—	621.000.000
15 კ.—	135.000.000	70 კ.—	630.000.000
16 კ.—	144.000.000	71 კ.—	639.000.000
17 კ.—	153.000.000	72 კ.—	648.000.000
18 კ.—	162.000.000	73 კ.—	657.000.000
19 კ.—	171.000.000	74 კ.—	666.000.000
20 კ.—	180.000.000	75 კ.—	675.000.000
21 კ.—	189.000.000	76 კ.—	684.000.000
22 კ.—	198.000.000	77 კ.—	693.000.000
23 კ.—	207.000.000	78 კ.—	702.000.000
24 კ.—	216.000.000	79 კ.—	711.000.000
25 კ.—	225.000.000	80 კ.—	720.000.000
26 კ.—	234.000.000	81 კ.—	729.000.000
27 კ.—	243.000.000	82 კ.—	738.000.000
28 კ.—	252.000.000	83 კ.—	747.000.000
29 კ.—	261.000.000	84 კ.—	756.000.000
30 კ.—	270.000.000	85 კ.—	765.000.000
31 კ.—	279.000.000	86 კ.—	774.000.000
32 კ.—	288.000.000	87 კ.—	783.000.000
33 კ.—	297.000.000	88 კ.—	792.000.000
34 კ.—	306.000.000	89 კ.—	801.000.000
35 კ.—	315.000.000	90 კ.—	810.000.000
36 კ.—	324.000.000	91 კ.—	819.000.000
37 კ.—	333.000.000	92 კ.—	828.000.000
38 კ.—	342.000.000	93 კ.—	837.000.000
39 კ.—	351.000.000	94 კ.—	846.000.000
40 კ.—	360.000.000	95 კ.—	855.000.000
41 კ.—	369.000.000	96 კ.—	864.000.000
42 კ.—	378.000.000	97 კ.—	873.000.000
43 კ.—	387.000.000	98 კ.—	882.000.000
44 კ.—	396.000.000	99 კ.—	891.000.000
45 კ.—	405.000.000	1 მ.—	900.000.000
46 კ.—	414.000.000	2 მ.—	1.800.000.000
47 კ.—	423.000.000	3 მ.—	2.700.000.000
48 კ.—	432.000.000	4 მ.—	3.600.000.000
49 კ.—	441.000.000	5 მ.—	4.500.000.000
50 კ.—	450.000.000	6 მ.—	5.400.000.000
51 კ.—	459.000.000	7 მ.—	6.300.000.000
52 კ.—	468.000.000	8 მ.—	7.200.000.000
53 კ.—	477.000.000	9 მ.—	8.100.000.000
54 კ.—	486.000.000	1 ჩერვ.	9.000.000.000
55 კ.—	495.000.000		

ტფილისის დამზღვევი კასა

11 მარტს, სალამოს მუშათა სასახლის კოლონის დარბაზში შესდგა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმი ადგილკომების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგში იყო: ტფილისის დამზღვევ კასის გამგეობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის დასკვნა და გამგეობის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევა.

დამზღვევი კასის მუშაობა 1923 წლის განმავლობაში.

დამზღვევი კასის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ცომაიამ, რომელმაც აღნიშნა შემდეგი მომენტები კასის მუშაობაში:

მონაწილეების რაოდენობა

გასაბჭოებამდე ჩვენში არ იყო სოციალური დაზღვევა, არსებობდა ეგრეთ წოდებული საავადმყოფო კასა, რომელშიაც იყო მხოლოდ 4,239 მონაწილე. გასაბჭოების შემდეგ კი დამზღვევ კასას შეუერთდენ დაქირავებული შრომის ყველა პირები და მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა 29,845 კაცამდე, (1921 წ.), ხოლო 23 წელს მონაწილეთა რიცხვი შეადგენდა 31,894 კაცს, რომელთაც კასა აძლევდა დახმარებას ფულით, წამლებით, და ექიმობით.

მონაწილეების ავად გახდომა

ავადმყოფობათა საერთო რიცხვი 23 წელს შეადგენდა 8,946; პირველი ადგილი ავადმყოფობის მხრივ ეჭირა ქიმიკოსთა კავშირს და ყველაზე ნაკლები რიცხვი ავადმყოფობისა იყო ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრებს შორის.

საშუალოდ 100 დაზღვეულისაგან ავადმყოფთა რიცხვი შეადგენდა 28,2 პროც.

ავადმყოფობის საშუალო ხანგრძლივობა უდრიდა 18,6 დღ., ხოლო 21 წელს ის შეადგენდა 20,1 დღეს.

ავადმყოფობათა შორის პირველი ადგილი უჭირავს მალიარიას, რომელიც შეადგენს 15 პროცენტს, 23 წელს გაძლიერდა ჭლექით ავადმყოფობა, რაც აიხსნება მუშების ორგანიზმის დასუსტებით ომიანობის წლების განმავლობაში.

სიკვდილის და დაბადების შემთხვევათა რიცხვი.

მაგრამ მიუხედავად ამისა ცნობების შეფარდება სიკვდილის და დაბადების შემთხვევათა შესახებ სასურველ დასკვნებს იძლევა, ვინაიდან დაბადებულთა რიცხვი უდრის 2499 სულს, ხოლო გარდაცვალებულების მხოლოდ 1230, რაც ამტკიცებს იმას, რომ დაბადების შემთხვევათა რიცხვი აღემატება გარდაცვალებულთა რიცხვს 1269 კაცით; 22 წელს კი დაბადებულთა გადაჭარბება უდრიდა მხოლოდ 218; 21 წელს კი სიკვდილის შემთხვევები სჭარბობდა 434-ით.

უმუშევართა დაზღვევა.

23 წლიდან დაიწყო უმუშევართა დაზღვევაც, რის მიზანი იყო მუშებისათვის დახმარების აღმოჩენა უმუშევრობის პერიოდში და მათი კლასიურად გადაგვარების თავიდან აცდენა. ამიტომ შრომის ბირჟასთან დაარსდა უმუშევართა დაზღვევის განყოფილება, რომელსაც 23 წელს აღრიცხვაზე ჰყავდა 5762 კაცი, რომელთაგან მამაკაცები შეადგენენ 69 პროცენტს, ხოლო ქალები კი 31 პრ.

პენსიონერები.

ამას გარდა კასას თავის კმაყოფაზე ჰყავდა შრომის ინვალიდები, ქვრივები და ობლები, 24 წლის 1 იანვარს აღრიცხული იყო 720 პენსიონერი, როდესაც 23 წლის დასაწყისში მათი რიცხვი უდრიდა 459 კაცს.

სამკურნალო დახმარება.

დაზღვეულთათვის არის 10 ამბულატორია, მათ შორის ერთი ცენტრალური და 7 რაიონული, დანარჩენები კი გახსნილია წარმოებებთან და დაწესებულებებთან. 23 წლის განმავლობაში გატარებულია ამბულატორიაში 678,457 ავადმყოფი.

სტაციონალური დახმარება. დაზღვეულთათვის არის სპეციალური საავადმყოფო ამხ. კამოს სახელობის, რომელშიაც გამართულია 110 საწოლი. ამ საავადმყოფომ დიდი სიმპატია დაიმსახურა მუშა მოსამსახურეებს შორის. ამას გარდა ავადმყოფები იგზავნებიან ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ჯანმრთელობის განყოფილების სტაციონალურ დაწესებულებებში. სულ ერთი წლის განმავლობაში სტაციონალური დახმარება მიიღო 9,412 კაცმა. დაზღვეულებს საკმაოდ ფართო დახმარება ეძლევა წამლებით, უარის თქმას მედიკამენტებზე არ აქვს ადგილი.

დაზღვეულებს სახლში დახმარება ეძლევათ რაიონული ექიმების საშუალებით, რომელთა რაოდენობა ქალაქში უდრის 73 კაცს. სახლში ავადმყოფთა ნახვა მოხდა 86,428.

პროფილაქტიკა. ავადმყოფთათვის დახმარების გარდა კასა ეწევა მუშაობას პროფილაქტიკაშიაც. გაცემულ იქნა ქინაქინა ქინაქინით წამლობისათვის, მიღებულ იქნა ზომები დასასვენებელ სახლების ქსელის გასაფართოებლად. სწარმოებს მუშაობა კურორტ არაზინდოს მოსაწყობად 200—225 საწოლით. დახმარება ეძლეოდა ბაგეებს წარმოებებთან.

დასაზღვევი გადასახადი.

დასაზღვევი გადასახადის აკრეფას ახდენდა საგადასახადო განყოფილება და ენერგიული მუშაობის წყალობით შესაძლებელი გახდა 80 პროცენტის აკრეფა. სულ აღრიცხვაზე აყვანილია 3,615 დაწესებულება და წარმოება 30,529 მუშა-მოსამსახურით. დასაზღვევი გადასახადით შემოსულია 688,274 საქონლის მანეთი.

კასის ხარჯები.

საანგარიშო წლის განმავლობაში დახარჯულია 630,425 საქონლის მანეთი, რაც შეადგენს შემოსავლის 91,6 პროცენტს. ამ თანხიდან დახარჯულია ავადმყოფთა დასახმარებლად 22 პროც., მშობიარობის შემთხვევებში—5,8 პროც., დასაფლავებაზე 0,9 პროც., დასასვენებელ სახლებზე და არაზინდოზე 6,0 პროც., პენსიები ინვალიდებს, ქვრივებს და ობლებს—4,7 პროც., უმუშევართა დახმარებისათვის—11,0 პროც, სამკურნალო განყოფილებისათვის—27,0 პროც., კასის პირადი შემადგენლობის შესანახად—4,0 პროც. და სხვ.

სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ამხ. გოლდმანი, იძლევა რა სარევიზიო კომისიის დასკვნას დამზღვევი კასის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ კასის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. თუ ოდესმე საჭირო იყო რაიმე მითითება, უკანასკნელი დაუყოვნებლივ სრულდებოდა.

რეზოლუცია.

მოხსენებების მოსმენის და კამათის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ტფილისის დამზღვევი კასის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის და წინადადებას აძლევს დამზღვევი კასის ახალ შემადგენლობას მიიღოს ზომები დაზღვეულებისადმი კასის ტექნიკურად დაახლოვებისათვის.

არჩევნები.

ერთხმად იქნა არჩეული კასის გამგეობა და სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გამგეობა: 1) ცომაია, 2) ელბაქიანი, 3) ხუტულაშვილი, 4) სერგეევი, 5) მელიქოვი, 6) ქართველიშვილი, 7) გალიცინი, 8) სომოვი, 9) ტრდატიანი, 10) გერასიმაშვილი, 11) ამირაძე, 12) კოჩლამაზაშვილი, 13) თეთრაშვილი, 14) სიტნიკოვი და 15) სტურუა.

სარევიზიო კომისია: გოლდმანი, ატოევი, ხარაზიანი, ხოშტარია და ფედოროვი.

კათალიკოს ამბროსის და მისი „ძმების“ გასამართლება

13 მარტის სხდომა.

(მესამე დღე)

სხდომის წინ.

პროცესისადმი ინტერესი სხდომის წინ დღითი დღე იზრდება. სასამართლო დარბაზის ეზოში შესავალ კარებში წინადღეებზე კიდევ უფრო მეტი აუარებელი ხალხი იყრის თავს, რომელთა შეკავება ძალიან უჭირს მცველ რაზმს. მოსჩანს სურათები ნინიძის და ბარათაშვილის, რომელთა სახით სამღვდელოების შავბნელ საქმეთა დამცველთა კორპორაციას ტფილისის მშრომელი მასა, განსაკუთრებით რკინისგზის სახელოსნოების დეპოს და სავაგონო პარკის მუშები, ზიზღს უცხადებენ.

სხდომის გახსნა.

იწყება დაკითხვა ბრალდებულ ნ. თავდგირიძის (საკათალიკოსო საბჭოს წევრია). მემორანდუმის შესახებ თურმე მასაც მხოლოდ გაზეთ „კომუნისტი“-დან გაუგია. მემორანდუმის შედგენაში მისი აზრით ალბათ საკათალიკოსო საბჭოს ყოფილ მდივანს რ. ინგოროყვას (ივანიცკი) მიუღია მონაწილეობა. წაკითხულ ოქმებიდან აღმოჩნდა, რომ, წინასწარ გამოძიებაზე ბრალდებულს განუცხადებია, რომ მისი აზრით მემორანდუმის შედგენაში გულმოდგინე მონაწილეობა უნდა მიეღოთ რ. ივანიცკის და მღვდელ კაჰანაძეს, რომელიც ამ ჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. შეკითხვაზე, თუ რატომ არის წინააღმდეგობა მის პირველ ჩვენებაში და დღევანდელში, ის აცხადებს რომ ეს აიხსნება იმ მდგომარეობით, რომელშიაც ის იმყოფებოდა თავის დატუსაღების დროს. ბრალდებული ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ვითომ ეს პირობები საშინელი იყო.

ბრალმდებელ ოკუჯავას მოთხოვნით, ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს ამ პირობების შესახებ. ირკვევა, რომ არავითარ საშინელ და განსაკუთრებულ პირობებს მისი დაკითხვის და პატიმრობის დროს ადგილი არ ჰქონია.

შეკითხვაზე—სხვა ეპარქიების ეპისკოპოსები ეთანხმებოდენ თუ არა მემორანდუმს,—ბრალდებული ამბობს რომ „წინააღმდეგი არ ყოფილან“.

სამღვდელოების დამოკიდებულების შესახებ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომლის წევრათ ითვლებოდა თავდგირიძე, ის აცხადებს, რომ რაიმე დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია, რადგანაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაშლილათ იქნა გამოცხადებული ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებშივე.

მუშათა დელეგაციის შემოსვლა სასამართლოს დარბაზში.

თავდგირიძის დაკითხვის დროს კომენდანტი მოახსენებს სასამართლოს, რომ დარბაზში შემოსვლას თხოულობს ქუჩებში მყოფ მუშათა დელეგაცია. თავდგირიძის დაკითხვის დასრულების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ჩხეიძე ნებას აძლევს დელეგაციას შემოვიდეს დარბაზში.

სიტყვა 4000 მუშის სახელით.

ერთი დელეგატთაგანი, ამხ. აზრუმელაშვილი აცხადებს, რომ დელეგაცია არჩეულია რკინისგზის მთავარ სახელოსნოს და სავაგონო პარკის მუშებისაგან, მოითხოვს მიეცეს მათ წარმომადგენლებს განცხადებისთვის სიტყვა.

ამხ. ხბარულაშვილის სიტყვა.

პირველ სიტყვას ამბობს ამხ. ხბარულაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ ისინი არიან 4,000 მუშების წარმომადგენლები. მოითხოვს ამ მუშების სახელით, რომ სასტიკათ დასჯილ იქნას საბრალდებულო სკამზე მჯდომი სამღვდელოება, რომელიც ხალხის ქონებას ფლანგავდა და საქართველოში იმპერიალისტურ ჯარებს იწვევდა. მათი დამცველი ცრუ-სოციალისტებიც გასამართლებული უნდა იქნან კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის. გამოუხიზლებული მუშათა კლასი მოითხოვს ამას და მუშათა წრიდან გამოსული სასამართლო, იმედი გვაქვს, ანგარიშს გაუწევს ჩვენ მოთხოვნილებას; ამხანაგო მოსამართლენო! გთხოვთ გამოხვიდეთ დარბაზიდან და პირადათ მისცეთ პასუხი მუშებს, რომ დამნაშავენი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

ამხ. ვარლამოვის სიტყვა.

სავაგონო პარკის მუშების წარმომადგენელი ამხ. ვარლამოვი იგონებს სამღვდელოების დამოკიდებულებას საერთაშორისო ომისადმი, როდესაც ისინი ლოცვა-კურთხევას უგზავნიდენ ომის ინიციატორებს, საბჭოთა ხელისუფლებას კი მათ ბრძოლა გამოუცხადეს, იმპერიალისტების ჯარების საშუალებით ომის ასპარეზად უნდოდათ გაეხადათ საქართველო. მოითხოვს მათ სასტიკ დასჯას.

ამხ. ზუბარევის სიტყვა.

ამხ. ზუბარევი. ძველი მუშა, ყოფილი მენშევიკი, იგონებს 1905 წლის 9 იანვარს, მღვდელ გაპონს, რომელმაც დაღუპა რამოდენიმე ათასი მუშა. მიმართავს ბრალდებულთ და მათ დამცველებს და ამბობს, რომ მათაც ბევრი ხალხი დაღუპეს.

ზიზღი ნინიძეს და ყველა მათ დამცველებს!

ნინიძე ოდესღაც სოციალიზმს ქადაგობდა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა, ეხლა კი შავბნელი სამღვდელოების და კონტრ-რევოლიუციის დამცველათ გამხდარა. თუ თქვენ, მოსამართლენო, არ დასჯით ბრალდებულებს და მათ დამცველებს ჩვენ თვითონ მუშები დავსჯით მათ.

ამხ. ოქუაშვილის სიტყვა.

მე ვეკითხები „სოციალისტს“, როგორ გაბედა და იკისრა მან სამღვდელოების დაცვა? ისიც მოითხოვს დასჯილ იქნან როგორც ბრალდებულნი, ისე მათი დამცველნი.

ამხ. ლოლაშვილის სიტყვა.

ნინიძემ სოციალისტათ გამზარდა, თვითონ კი ხულიგანათ გამხდარა, დამცველები არა ნაკლები დამნაშავენი არიან, ვიდრე საბრალმდებლო სკამზე მჯდომი სამღვდელოება. ისიც მოითხოვს მათ სასტიკ დასჯას.

ამხ. აზრუმელაშვილის სიტყვა.

აზრუმელაშვილის აზრით სამღვდელოებამ არ იკმარა ის დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა წინეთ და ეხლაც საბჭოთა ხელისუფლების დროს კიდევ უფრო მეტ დანაშაულს სჩადის, როდესაც მემორანდუმით მოითხოვს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების საბჭოთა საქართველოს საქმეებში ჩარევას, სისხლის ღვრას, ჩვენი ქვეყნის ომის ასპარეზად გადაქცევას.

ჩვენ ბარბაროსებს გვეძახიან, მაგრამ ჩვენ თუმცა შეგვეძლო სხვა გზითაც გაგვესწორებოდით ბრალდებულთ, მაგრამ ჩვენ ეს სასამართლოს მივანდვეთ, რომელიც ჩვენ ნდობას გაამართლებს და ბრალდებულთ ისე მოეპყრობა, როგორც ამას მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები.

მოკლე სიტყვას ამბობს აგრეთვე ამხ. ხარტიშვილი და სხვები.

ამხ. შ. ჩხეიძის სიტყვა.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ჩხეიძე უპასუხებს დელეგაციას. ამბობს, რომ დამცველები დაშვებული არიან პროცესში საქმის გამოსარკვევათ. უზენაესი სასამართლო თქვენი უფლებების დამცველია, თქვენ მას ენდვეთ, დამნაშავეებისადმი სასამართლო ულმობელი იქნება და იმავე დროს სამართლიანი. გადაეცით ეს გარეთ თავმოყრილ მუშებს.

მუშათა დემონსტრაცია ქუჩაში.

ამის შემდეგ სასამართლო სხდომას სწყვეტს და გამოდის გარეთ, ქუჩაში თავმოყრილ ხალხთან. ხალხში მოსჩანს პლაკატები: „ძირს ამბროსი“, „ძირს უწმინდესი კონტრ-რევოლიუცია“ „ძირს კონტრ-რევოლიუციონური სამღვდელოების დამცველები, ნინიძე ბარათაშვილი და სხვები“.

სასამართლოს გამოსვლის დროს ქუჩაში სიწყნარე ჩამოვარდა. ამხ. ჩხეიძე მიმართავს დემონსტრანტებს და ამბობს, რომ უზენაესი სასამართლო არკვევს საქმეს, ყველა დამნაშავე სათანადო სასჯელს მიიღებს. ასეთივე შინაარსის სიტყვებით მიმართავენ დემონსტრანტებს სასამართლოს წევრნი ამხ. გ. რთველაძე და ვ. წივწივაძე.

სხდომის განახლება.

იწყება ბრალდებულ არჯევანიძის დაკითხვა, რომელიც საკათალიკოსო საბჭოს წევრათ იყო არჩეული საეკლესიო კრებაზე გელათში 1921 წ., თუმცა იქ ბრალდებული არ დასწრებია ხსენებულ კრებას: ის ყოფილი პირადი ადიუტანტია მეფის მთავრობის გენერლების. მემორანდუმის შესახებ, აგრეთვე განძეულობათა გადამალვის შესახებ ის აცხადებს, რომ არაფერი იცოდა.

სამხედრო ტაძრის კომკავშირისათვის გადაცემაზე მისი სიტყვით მას უარი არ უთქვამს, თუმცა მონაწილეობას იღებდა საკათალიკოსო საბჭოს იმ სხდომაზე, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუცია მთავრობის კომისიაში მათი წარმომადგენელთა „წარგზავნაზე“ უარის თქმის შესახებ.

მოწმე მღ. ნიკიტა თალაკვაძის ჩვენება

მოწმე დიაკონი თალაკვაძე სასამართლოს წინაშე წარსდგა, როგორც საუკეთესო დამცველი თავის მოძმეთა. „ძმა-ძმისთვისაო,—შავი დღისთვისაო“ ითქმის დეკ. ნიკიტა თალაკვაძის ჩვენებაზე. იგი დიდის რიხით და პათოსით ახასიათებს ყველა ბრალდებულს ამბროსიდან დაწყებული მღვდელ მირიანაშვილამდე. ამბროსის მიერ გადადგმულ ნაბიჯის პოლიტიკურ ხასიათს ის მაინც ვერ უარყოფს. კათალიკოსმა ლეონიდემ გაუგზავნა ვრცელი ეპისტოლე რუსეთის პატრიარქ ტიხონისთვის. ვიდრე ამ წერილს გააგზავნიდა, კათალიკოსმა ლეონიდემ ეს წერილი თურმე წაუკითხა საკათალიკოსოს საბჭოს, რომელმაც მის განხილვაში მონაწილეობა მიიღო და საბჭოს წევრებმაც ხელი მოაწერეს მასზე.

ბრალმდებელი. თქვენ ამბობთ, რომ საკათალიკოსო საბჭომ კათალიკოს ლეონიდის წერილი პატრიარქ ნიკონისამდი განიხილა და ხელი მოაწერა.

მოწმე თალაკვაძე: უკაცრავად, შემიმცდა (ატყობს, რომ დაიჭირეს სიცრუეში); ეს იყო „lapsus linguae“ (საერთო სიცილი) საბჭოს არ განუხილავს, მხოლოდ ცნობად მიიღო.

მოწმე მღვ. პლატონ ცქიტიშვილის ჩვენება.

მოქ. ცქიტიშვილი ჰყვება განძეულობის ქუთაისში ჩატანის ისტორიას. მე ვიყავ მოწმე იმისი, რომ ქუთაისის საკრებულო ტაძრიდან—ნივთები საარქიელო შენობაში წაიღეს—შემდეგ რა დაემართა ნივთებს, არ ვიცოდი.

შარშან, როცა ქუთაისის პოლიტ-ბიურომ დამიჭირა,—დარწმუნებით მითხრეს, რომ იციან, სად არის დამალული განძეულობა. მე არ ვიცოდი—სად იყო განძეულობა და ვერც ვიტყოდი. მე არქიმანდრიტ პაველსთან ერთად მომათავსეს. იგი ძალიან შეშინებული იყო. აპირობდა გამემჟღავნებია ცნობები განძეულობათა შესახებ. მე ვურჩიე მას, თუ რამე იცოდა მას ეცნობებია ხელისუფლებისათვის, რადგან დარწმუნებული ვიყავ, რომ პოლიტ-ბიურომ განძეულობის შესახებ ყველაფერი იცოდა. შემდეგ მოწმეს ეკითხებიან, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს სამღვდლო პირთა შორის.

პასუხი: ძალიან გავრცელებულია პირად ნიადაგზე მტრობა, კინკლაობა და შურიანობა.

მოწმე დავით კაჭახიძის (ეპისკოპ.) ჩვენება.

მოწმეს დავალებული ჰქონდა განძეულობის ქუთაისში წაღება, მაგრამ ამის შესრულება ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო.

მემორანდუმის გაგზავნის შესახებ არაფერი იცის, რადგანაც ის ფოთში მსახურობდა. მემორანდუმის პოლიტიკურ ხასიათს ვერც ის უარყოფს.

მემორანდუმი საზარალო გამოდგა სამღვდელოებისთვის, რადგანაც ამან გაამწვავა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება სამღვდელოებისადმი.

მოწმე დავითაშვილის ჩვენება.

საეპარქიო კანცელარიის მდივანი იყო, და თუ დავუჯერებთ, მანაც არაფერი იცოდა მემორანდუმის შესახებ. დეკ. თალაკვაძისებურათ ისიც სცდილობს უშველოს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეებს. ბრალმდებელთა შეკითხვაზე ამბობს, რომ კირიონის მკვლელობის შესახებ ხმები იყო გავრცელებული, ნამდვილი კი არაფერი იცის.

დავით კაჭახიძის ხელმეორედ დაკითხვის შემდეგ სასამართლო სხდომა გადაიდო მეორე დღის ხუთი საათისთვის.

ამბროსის გოდება

ეს რა ცოდო დატრიალდა,
ეს რა საქმე ქნესო!
ურჯულო კომუნისტებმა
გული მომიკლესო!
ქვეყანა გადააბრუნეს,
გადაასწორესო.
ხალხს თვალები აუხილეს,
ჭკუა ასწავლესო.
სიცრუე და სითაღლითე
გამომიმჟღავნესო.
სოფლელებმა გამომაგდეს,
აღარ მიმიღესო.
ქალაქელ ურჩმა მუშებმაც
ზურგი მაქციესო.
ოქრო-ვერცხლი გადავმალე,
მაინც მიპოვნესო.
გენუას წიგნი მივწერე,
არც მათ მომხედესო.
დამიჭირეს, დამატყვევეს,
ბნელში ჩამაგდესო.
ვინც მე მხარი დამიჭირა
ზედ მომაყოლესო.
„ფოფოდია“ შემიწუხეს,
ცრემლი ადინესო.
ტაძარსა და საკურთხევსა
დამანატრულესო.
იმის ხვევნას და ალერსსა
გამომასალმესო.
მენშევიკებს რა უჭირდათ
იმ დალოცვილებსო.
ნოეს მიცვალებულზედა
მეც მიმიწვიესო.
ორმოცი მღვდლის წირვა-ლოცვით
დაასაფლავესო.
ქელეხი გადაუხადეს,
ფულით ამავსესო.
ნეტა ის ბედნიერი დრო
კიდევ დაბრუნდესო.
ძველებური სასწაული
ყველას სჯეროდესო.
ურწმუნო ხალხს ჩემი წვერის
მადლი გაუწყრესო.
რა თვალით უნდა შეხედონ
იესო ქრისტესო?!
ჯოჯოხეთი არ ასცდეს
ეკლესიის მტრებსო!
ციმბირი და სახრჩობელა
სოციალისტებსო!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

ქრონიკა

— **ტფილისის პოლიტექნიკურ სასწავლებელში** კამოს ქუჩა № 70 16 მარტს, კვირას დილის 11 საათზე ინჟინერი ჰიდროტექნიკი გ. გეგეჭკორი წაიკითხავს მოხსენებას: მიწების მელიორაცია საქართველოში.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, 15 მარტს, სალამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კოლოუბნის ქუჩა № 1) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფ. გ. ჩუბინაშვილი წაიკითხავს მოხსენებას—„კახეთის ხუროთმოძღვრება“. კრებას, გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ.

— **ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.** სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის ეკონომიურ დარგზე სახელმწიფო გამოცდები დანიშნულია 15, 19 და 26 მარტს.

— **კრედიტი შრომის დაცვის კომისიას.** რკინისგზის სამმართველომ საერთო ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე, რკინისგზებზე შრომის დაცვის კომისიას კრედიტის სახით მისცა 100,000 მან. ჩერვ.

— **საბინაო ამხანაგობა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა, მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში, სადაც უმეტესად სცხოვრობენ გარეშენი და სურთ იკისრონ სახლების მართვა-გამგეობა და სამეურნეო გამგებლობა, აგრეთვე მათი მოვლა—შენახვა, ეძლევათ ნება დაარსონ საბინაო ამხანაგობა.

— **ტფილისის განტვირთვა არა მშრომელ ელემენტებისაგან.** არა მშრომელ ელემენტებისაგან ქალაქის განტვირთავათ და ტფილისიდან ზოგიერთ დაწესებულებების გადასაყვანათ, ქ. აღმასკომმა შეადგინა კომისია შემდეგი პირებისაგან: ამხ. ხმალაძე (თავმჯდომარე), წევრებათ: არ. რუხაძე და გ. ახვლედიანი.

— **წყალსადენი.** ქ. აღმასკომის დადგენილებით ქალაქის წყალსადენის დირექტორად დაინიშნა ამხ. ბრეგაძე.

— **ფეხსაცმლები მილიციისათვის.** ქ. აღმასკომმა მ.-გ. ინსპექციის დასკვნის თანახმად, დაადგინა შეძენილ იქნას სრ. რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის განყოფილებისაგან მილიციისათვის 900 წყვილი ფეხსაცმელები.

— **დახმარება წითელ-არმიელთა ოჯახებს.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ტფილისის და მის მაზრის წითელ-არმიელთა ოჯახებისათვის დახმარების გასაწევათ გაიღოს 600 მან. ჩერ.

— **მუშა-მოსამსახურეთა აღრიცხვა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო პროექტი დადგენილებისა საბჭოთა დაწესებულებების გამოკვლევის და მუშა-მოსამსახურეთა აღრიცხვის შესახებ.

— **ა.-კ. სოც. უზრუნველყოფის კომისართა თათბირი.** 1 აპრილს ტფილისში შესდგება ა.-კ. სოც. უზრუნველყოფის კომისართა თათბირი.

— **გლეხკომები ხსნიან ობოლთა თავშესაფარს.** ველისციხის რაიონის გლეხთა კომიტეტმა გადასწყვიტა ველისციხეში მოაწყოს ობოლ ბავშვთა თავშესაფარი.

— **გლეხთა დასასვენებელი სახლი** გორის მაზრის აღმასკომი შეუდგა გლეხთა დასასვენებელი სახლის მოწყობას უხუცუნაშვილისეულ შენობაში.

— **საპნის ქარხანა ქუთაისში.** ქუთაისის მაზრის აღმასკომმა ქუთაისის საპნის ქარხნის წარმოების გასაფართოებლად გადასდო 3000 მან. ჩერ., რათა ქარხანამ ყოველთვიურად დაამზადოს 350 ფ. საუკეთესო ღირსების საპონი.

— **ლიტერატურის შეძენა.** გორის მაზრის აღმასკომმა გადასწყვიტა ყოველთვიურად გადასდოს 100 მან

მუშათა ცხოვრება

კომუნისტური ნათლობა ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში.

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინეთ ეცნობათ ტყავ-ტრესტის მუშებს, რომ 8 მარტს, ქალთა დღესასწაულის დღეს უნდა მომხდარიყო კომუნისტური ნათლობა და გამოცხადებული იყო ვისაც ყავდათ მოსანათლი ბავშვები, მოეყვანათ ყოფილ გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მუშათა კლუბში.

ყველა მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს. აინტერესებდათ მათ, თუ როგორ ხდება კომუნისტური ნათლობა.

8 მარტს, საღამოს 8 საათზე, კლუბის დარბაზი გაჭედილია საზოგადოებით და ელოდებიან ყოველ წუთს ფარდის ახდას.

აი კიდეც აიხადა ფარდა. ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ს. ტრ—ნმა კრება გახსნა და გამოაცხადა დღიური წესრიგი: მოხსენება რვა მარტის ქალთა დღესასწაულზე, კომუნისტური ნათლობა და ქართული წარმოდგენა და აძლევს წინადადებას დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ ამხ. ლენინის ხსოვნას. ყველანი ერთად დგებიან, მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.

8 მარტის ქალთა დღესასწაულზე რუსულად მოკლე მოხსენებას აკეთებს მეტყავეთა კავშირის კულტგანყოფილების გამგე ამხ. მამულოვი.

მოხსენების შემდეგ ფარდა ეშვება. 15 წამის შემდეგ ხელმეორედ აიხადა ფარდა. სცენაზე შუაში სდგას მაგიდა წითელი მატერიით გადაფარებული, სცენის სიღრმეში არის დაყენებული წითელი დროშა ამხ. ლენინის სურათით, მარცხნით დგანან 11 დედა თავიანთი მოსანათლი ბავშვებით ხელში, მარჯვნით მამები—მოწმებით (ნათლიებით); მაგიდას უსხედან კლუბის გამგე ამხ. გულულოვი, ს. ტრდატიანი და „მაჩი“-ს წარმომადგენელი. ამხ. მამულოვი ფეხზე სდგას. კომუნისტურ ნათლობაზე რუსულად სიტყვას ამბობს ამხ. მამულოვი, მის შემდეგ ქართულად ლაპარაკობს მუშა ნ. ქოთოლაშვილი და ამხ. ზურაბოვი.

იწყება ნათლობა; ეძახიან ამხ. მანუკიანს. დედა შვილით ხელში და მამა მიდიან და დგებიან „მაჩის“ წარმომადგენლის ახლოს; ეკითხებიან როდის დაიბადა?! 24 ივნისს 1923 წ. არის პასუხად—სად დაიბადა?—ტფილისში. ვაჟია თუ ქალი?—ვაჟი. შენი სახელი და გვარი?—მანუკიანც. ცოლის სახელი და გვარი? ასტღიკა. ეროვნება?—ინტერნაციონალისტი. რამდენი წლისა ხარ? —44. რამდენი წლისაა ცოლი?—32. მერომელეა ბავშვი?—მეხუთე. ვინ არის ნათლია? ამხ. ზურაბოვი. ამ ცნობებს იწერს „მაჩის“ წარმომადგენელი და შემდეგ აწერს ხელს—ნათლია. ნათლიას სურს ბავშვს სახელათ დაერქვას „კარლოს“, კრება ერთხმად იღებს ამ სახელს. მუსიკა უკრავს მარშს.

აძლევენ ბავშვისთვის 7 არშინ მატერიას და ასე თავდება პირველი ბავშვის მონათვლა. ამ სახითვე ხდება დანარჩენების ნათლობა. და ბავშვებს სახელები დაერქვათ: „კამო“, „ლენინი“, „ვლადიმერ“, „კარლოს“, „როზა“, „ალიოშა“, (ალიოშა ჯაფარიძის სახსოვრათ) „კინ“, (კომუნისტური ინტერნაციონალი) „მარლენ“, რაც ნიშნავს („მარქსს და ლენინს“), „ლენჟი“.

ყველა მშობლები თავიანთი შვილების ეროვნებათ აცხადებენ „ინტერნაციონალს“ და ყველას დაურიგდათ 7 არშინი მატერია, თითოეულ ბავშვს.

ნათლობის გათავების შემდეგ გაიმართა ქართული წარმოდგენა, ამხ. ე. კულულაშვილის რეჟისორობით. პიესა განსაკუთრებით ამ დღისთვის არის დაწერილი. „ახალი ცხოვრება“-ს სახელწოდებით, პიესას აქვს აგიტაციური ხასიათი. მოქმედება სწარმოებს სოფელში, სადაც არიან მოძრაობაში ჩაბმული ქალები. საერთოდ პიესამ კარგათ ჩაიარა.

ინფორ. ხ. აფშტროვი.

გამსახლი № 1

(შ. ს. ს. კ. დახურ-გასწორების განყოფილების საყურადღებოდ).

ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ჯამაგირის უწყება შეადგინეს და № 1 გამსახლის უფროსის უმცროსი თანაშემწე მოქ. სანებლიძე, დროებით აღმასრულებელი მოლარის თანამდებობისა, ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

29 თებერვალი იყო და თანამშრომლებს უნდა მიეღოთ თებერვლის თვის პირველი ნახევრის ჯამაგირი. უიმისოდაც ცოტა ჯამაგირის პატრონნი, გაფაციცებით ელოდნენ მოლარის დაბრუნებას. გადის საათი, ორი, სამი, მაგრამ არა სჩანს მოქ. სანებლიძე. ბოლოს დაჰკრა საღამოს რვა საათმა და მობრძანდა სანებლიძე ბუღალტერი ვიშნიკინითურთ, გაისტუმრეს მეეტლე, რომელსაც გამოართვეს ხელწერილი ფულის მიღების და გაბრწყინვალებული სახით შემოვიდნენ გამსახლში.

მოგროვდენ ბუღალტერიის კარებთან თანამშრომლები და ჯამაგირის მიღების მოლოდინში სულ-განაბულნი უცდიდენ, როდის დაუძახებდა მათ სანებლიძე. მაგრამ მათ საუბედუროთ, საერთო ჯამაგირის მიღების შემდეგ წითელღვინით შეზარხოშებულ ბ. მოლარეს თურმე გადაავიწყდა მშიერ თანამშრომლების არსებობა და მაღალი ხმით მხიარულად მასლაათობდა ბუღ. ვიშნიკინთან. საათის ცხრაზე მოთმინებიდან გამოსულმა თანამშრომლებმა გაახსენეს მას თავიანთი არსებობა, რამაც გამოიწვია დიდი აღელვება მოლარისა. იმან გაბრაზებით და უშვერი სიტყვებით შეუტია თანამშრომლებს, მაგრამ ამ უკანასკნელებმა იმისა შიშით, რომ „ვაი თუ შეტათ გავაბრაზოთ ისედაც შეზარხოშებული მოლარე და ამით უფრო დაგვიგვიანდეს ფულის მიღებაო“,—ხმა გაკმინდეს. დაიწყო ჯამაგირის დარიგება. ყველა თანამშრომლებს დაუჭირეს რამოდენიმე კაპეიკი. უფროსს თანაშემწის შეკითხვაზე, თუ რისთვის უჭერდენ ამ ფულს,—ბ. სანებლიძემ წყენით უპასუხა, რომ „ეს არის საერთო ჯამაგირის გადასაზიდავათ დახარჯული ფული მეეტლესთვის“. არ ვიცი, რამდენად მართალია ბ. სანებლიძის პასუხი, მაგრამ ვგონებ არ უნდა იყოს კანონი ფულის გადასაზიდავ ხარჯს თანამშრომლები იხდიდენ, მით უმეტეს, რომ № 1 გამსახლის უფროსი ამხ. ლისინოვი ყოველთვის დიდი სიამოვნებით უთმობს ამ რიგ საჭიროებისათვის მოხელეებს ეტლს. უდროვო დროს ჯამაგირის დარიგების გამო ყველა თანამშრომლები ვერ დაესწრნენ ფულის დარიგებას იმ საღამოს.

მეორე დღეს მოგროვდენ დანარჩენნი და ბ. სანებლიძემ განაგრძო ჯამაგირის გაცემა. მაგრამ ამ დღეს უფრო მეტათ იმოქმედა წინა დღით დალეულმა ღვინომ და ძალიან დასუსტებულმა დახურა ბუღალტერიის კარები და ვიშნიკინთან ერთად გაემართა შინისკენ.

ბევრი თანამშრომლები დარჩა ჯამაგირის მიუღებლად, რომელთაც მოუხდათ 2 მარტს ჯამაგირის მიღება 29 თებერვლის ჩერვონეცის კურსით.

ნეტავ ვიცოდე, როდის უნდა მოეღოს ნიკოლოზის დროის მოხელეების მზგავს ზნე-ჩვეულებებს ბოლო და ბ. სანებლიძეების თვითნებობას.

სასურველი იქნებოდა, ადგილკომს და დაწესებულების უფროსს მიექცია ჯეროვანი ყურადღება და აელაგმა ასეთი ვაჟბატონები.

ძიძის შვილი.

გამოგზავნილ წერილებიდან

საჭიროა შრომის ხელფასი მოგვეცეს თვეში ოთხჯერ

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

ამიერ-კავკასიის ბონების კურსის მერყეობამ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. ცხოვრება საშინლად გაძვირდა. შრომის ხელფასი რაც არ იკლებს, არ იმატებს. ჩვენი საარსებო მინიმუმი უკიდურეს მდგომარეობაშია. მუშის შრომის ხელფასი სრულებით არაა უზრუნველყოფილი. ჩვენ ვსიმშილობთ და სიტიტვლეს განვიცდით. აუცილებელი საჭიროა ეხლავე მიღებული იქნეს ყოველივე ზომები ამ პირდაპირ მუშისათვის უბედურ მდგომარეობის გამოსასწორებლად და პირველად ყოვლისა ჯამაგირები უნდა დაგვირიგდეს თვეში ოთხჯერ საქონლის მანეთის გამოცხადების დღესვე, ან ჩერვონეცის ანგარიშზე რეალურ პარიტეტზე გადაყვანით.

მუშა მეთამბაქოე—მიხ. ვარხიმაშვილი.

უნდა მოიხსნას ბაჟები გლეხის საქონელზე

(აღმასკომის საყურადღებოდ)

დიდი ხანია ვამბობთ მუშა და გლეხის კავშირზე, ბევრიც იწერება ამის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა გაკეთდა ფაქტიურად. ფაბრიკატები ძალიან ძვირობენ და იგი გლეხობისათვის ვერ მიგვიწოდებია მისთვის შესაძლებელ ფასებში. თვით გლეხის საქონელს—შეშას, ნახშირს, ქალაქში გასასყიდად მორეკილ პირუტყვს აწევს ბევრი სხვადასხვაგვარი გადასახადები და ბაჟები. ამის გამო გლეხის საქონელი ჩვენ, მუშებისთვის, ძალიან ძვირად ფასობს და მას ჩვენ ვერ ვყიდულობთ შრომის ხელფასის სიმცირის და ფულის ნიშნების საშინელ მერყეობის გამო. ამით კი მუშა და გლეხის კავშირის საკითხი უფრო რთულდება და თითქმის შორეულ საკითხად რჩება.

უსათუოდ უნდა იქნეს გლეხის საქონელი ათასგვარ ბაჟებისაგან განთავისუფლებული, რომ ჩვენ მუშებს მოგვეცეს საშუალება შევიძინოთ პირველ მოთხოვნილების საგნები ჩვენთვის შესაძლებელ ფასებში და უფრო დავუახლოვდეთ სოფელს.

მუშა ფეიქარი ხმა—ლი.

მუშათა ქრონიკა

— **ებრძვიან უმუშევრობას.** თებერვლის თვეში რკინისგზის სავაგონო პარკში მიღებულია სამუშაოზე შრომის ბირჟიდან დაახლოებით 100 უმუშევრამდე.

— **ჯამაგირების მომატება.** იმ 14 მუშას, რომელნიც სავაგონო პარკიდან გადაყვანილ იქნენ რკინისგზის დეპოში, მოემატათ ჯამაგირები 5—6 სატარიფო ხარისხამდე, დამსუფთავებლებს კი 15 კაცს, რომელნიც გადაყვანილ იქნენ მატარებლების გამცილებლად და ვაგონის გამზეთველებს მოემატათ ჯამაგირები 2—3 სატარიფო ხარისხით.

— **რკინისგზელი მუშები სასტიკად ებრძვიან სპირტის სპეკულიანტებს.** 6 მარტს სავაგონო პარკის მუშებმა ლენინგრადის მატარებელზე გაჩხრეკვის დროს აღმოაჩინეს დაახლოებით 28 ვედრომდე სპირტი, რაზედაც აცნობებს რკინიგზის საგანკომს „დტ. ჩ. კას“.

— **ჯამაგირი მუშებს დროზე დაურიგდათ.** 8 მარტს სავაგონო პარკის მუშებს დაურიგდათ ნახევარი თვის ჯამაგირი დღის კურსით მუშები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ.

— **ჩვენმა მუშებმა დაიჭირეს კიდევ ერთი სპირტის სპეკულიანტი.** 1 მარტს ჩვენმა მუშებმა გაჩხრიკეს მოსკოვის მატარებელი და მის გამცილებელს, მარქარაშვილს, აღმოუჩინეს ნახევარი ვედრო სპირტი. მარქარაშვილი სამსახურიდან ჩამოყენებულია და დანიშნულია დამსუფთავებლად.

მუშკორი რკინიგზელი.

— 11 მარტს სახ. განათლების თეატრში ქალაქის მილიციისათვის ექ. ლომაურის მიერ წაკითხულ იქნა ლექცია „გაახალგაზრდავების“ შესახებ. დამსწრე ამხანაგების თხოვნით ლექცია განმეორებულ იქნება მუშებისათვის. ლექციის გამართვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

ამხ. დეპოს მუშას.

კითხვა. უწინ ვიღებდი თვიურად შრომის ხელფასად 25 საქონლის მანეთს. რამოდენიმე თვის წინედ ჩემი შრომის ხელფასი გადაიყვანეს ჩერვონეცის ანგარიშზე—1:1,8 ჩერ. მან. პარიტეტით; ვცხოვრობ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მიჭირავს სამი ოთახი—სივრცით 90 კვად. არშინი; გთხოვთ მაცნობოთ, რა უნდა მივსცე სახლის პატრონს ბინის ქირად. ბინა კარგია: არის წყალსადენი, არ არის სამზარეულო და „ვანა“.

პასუხი:

თანახმად ქალ. საბჭოს დადგენილებისა, 1923 წ. 3 ნოემბრიდან № 42—მუხ. 1—2-სა იმ პარიტეტის (1:1.8 ჩერ. მან.), მიხედვით, რომელზედაც გადაყვანილ იქნა თქვენი ჯამაგირი, თქვენ თითოეულ კვადრატიულ არშინზე უნდა მისცეთ სახლის პატრონს ჩერვონეცის 2,34 კაპეიკი; სულ 90 კვად. არშინში თქვენ იხდით ჩერვონეცის ორ მანეთსა და ორ შაურს და კაპეიკის ექვს მეათედს. | 2 მან. $10\frac{6}{10}$ კაპ. |

ამხ. ივანიშვილს.

მე წინედ ვიღებდი საქონლის 50 მანეთს ძირითად ჯამაგირს. ამ ჟამად გადამიყვანეს ჩერვონეცის ანგარიშზე—1:1,58 ჩერ. მან. პარიტეტით. ვცხოვრობ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში; მიჭირავს ერთი დიდი ოთახი—სივრცით 100 კვად. არშინი; ჩემს ძმას სოსოს უჭირავს ორი ოთახი—სივრცით 120 კვად. არშინი. ცხოვრობს ქალაქის განაპირა უბანში—საბურთალოში. ჯამაგირი იმასაც უწინ ჰქონდა საქ. 50 მან. (ძირითადი ჯამაგ.). ისიც გადაყვანილია ჩერვონეცის ანგარიშზე ზემოაღნიშნული პარიტეტით (1:1,8 ჩერ. მან.): გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რამდენი უნდა გადავუხადოთ ჩვენ სახლის პატრონს ბინის ქირად.

პასუხი:

ქალ. საბჭოს 1923 წ. 3 ნოემბრის თარიღით—დადგენილება № 42-ის მუხ. 1—2-ის თანახმად, თქვენ, როგორც ცენტრში მცხოვრები, თვითეულ კვად. არშინზე იხდით ჩერვონეცის 5,4 კაპ; სულ მთელი ბინისას ჩერვონეცის ხუთი მან. ორმოცი კაპ.

თქვენი ძმა კი, როგორც ქალაქის განაპირა უბანში მცხოვრები თითოეულ კვად. არშინზე იხდის იმის ნახევარს, რასაც თქვენ იხდით არშინზე, ე. ი. ჩერვონეცის 2,7 კაპ. სულ მთელი ბინისა—ჩერვონეცის სამი მანეთი და ოცდა ოთხი კაპ. თქვენი ძმისაგან ერგება სახლის პატრონს.

ჩერ. ახალგაზრდათა კომკავშირის გორის მაზრის კომიტეტისათვის ლიტერატურის შესაძენად.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობად.** მთ პოლიტ-განათლების სამმართველომ თებერვლის განმავლობაში წერა-კითხვის მოსასპობად დამატებით გახსნა 11 პუნქტი. ამ ჟამად ტფილისის მაზრაში არსებობს 28 პუნქტი.

— **დაზღვეული უმუშევრები.** 1924 წ. 1 იანვრისთვის დამზღვევ კასაში ირიცხებოდა ტფილისში—3161, ბათომში—804, სოხუმში—187, ქუთაისში—70, ჭიათურაში—82, ფოთში—29, ბორჯომში—60, სხვა ქალაქებში—140 დაზღვეული უმუშევარი

— **დახმარება უმუშევრებს.** შრომის ბირჟის უმუშევართა დამზღვევ ქვეგანყოფილებამ თებერვალში უმუშევრებზე დახმარების სახით გასცა 14,419 მან. და 77 კ, აქედან უმუშევრებს 12,853 მ. და 14 კ., მშობიარებს—651 მ. რძისათვის 716 მ. და 13 კაპ., გარდაცვალებისათვის 199 მ. და 50 კ.

— **მოწესრიგება შრომის ბირჟაში.** საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად შრომის ბირჟაში შემოღებულია შრ. ბირჟის კომიტეტის წევრთა მორიგეობა.

— **შრომის ბირჟა.** 13 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 425, ამავე დღეს ჩაეწერა—189, გაიგზავნა—81, მოთხოვნილება იყო 39.

შემთხვევები.

— **ძარცვა.** 6 მარტს არაგვის ქ. № 12 შეიარაღებული ბოროტ-მომქმედნი დაეცნენ მოქ. მოსეევს თავის საკუთარ ბინაზე და სიკვდილის მუქარის ქვეშ წაართვეს 400 ჩერვონეცი და 500 ჩერვონეცის ძვირფასი ნივთები.

— **ზაკტპოს მაღაზიის გაქურდვა.** 13 მარტს ღამით გატეხეს ზაკტპოს მაღაზია № 2 პლეხანოვის პრ. № 188, გზის კარებიდან. წაიღეს სხვადასხვა საქონელი 350 ჩერვონეცის.

— **ქურდობა.** 10 მარტს ბათომის ქ. № 26 გაქურდეს ტერტერაშვილის ბინა, წაიღეს 4 ჩერვონეცის ნივთები.

— ამავე დღეს 1 პარალელურ ქუჩაზე გაქურდეს მოქ. ბერიკაშვილის ბინა, წაიღეს 10 ჩერ. ნივთები.

— ამავე დღეს ანასტასიევის ქ. № 19, გაქურდეს მოქ. შაშკინას ბინა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

ხელოვნება

ნატან მილშტეინის უკანასკნელი კონცერტი.

ნიჭიერმა ხელოვანმა უკანასკნელი კონცერტი დაიწყო ბახის ჩოკონით. ჩოკონა შესრულებული იყო დიდის ხმოვანებით. შესრულება მუსიკალური და დამთავრებული იყო

შემდეგ შესრულებული იქნა ბახის გავოტი E-dur და ცნობილი „ბახის არია“. სამწუხაროთ ფორტეპიანოს აკომპანიმენტი ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე და ამიტომ „ბახის არიამ“ ვერ მოახდინა ის შთაბეჭდილება, როგორიც მოსალოდნელი იყო. საჭიროა, რომ ფორტეპიანო იყოს მხოლოდ ფონი, რომელზედაც უნდა გაიშალოს სკრიპკის მელოდია.

ავსტრიული ხალხური მელოდია იტაცებს მსმენელს თავისი გულწრფელობით და სილამაზით. არტისტი აქაც მხატვარი იყო.

შემდეგი ნომრებიდან ყველაზე ეფექტიური შთაბეჭდილება დასტოვა შოსსონის მშვენიერმა პოემამ, რომელიც საფრანგეთის ახალ სკოლის ნაწარმოებებს ეკუთვნის და დებიუსსის ვალსმა.

აუდიტორიამ მხურვალე ოვაციები გაუმართა ახალგაზრდა ხელოვანს და მართლაც ასეთი დამკვრელი ტფილისს დიდი ხანია არ უნახავს.

პ. ზუბუთოვი.

— **დახმარება ან. ერისთავ ხოშტარიას.** ქ. აღმასკომმა ან. ერისთავ-ხოშტარიას, მისი 35 წლის იუბილეს გამო დახმარების მისაცემათ გადასდო 300 მანეთი ჩერვონეცით.

— **კინო-თეატრი მუშებისათვის.** პლეხანოვის თეატრთან დაარსდა უფასო კინო-თეატრი მუშებისათვის.

— **ნიკო გოცირიძის იუბილე.** 23 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება ნიკო გოცირიძის იუბილე მისი 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **სამხატვრო სტუდია.** პლეხანოვის სახელობის კლუბთან დაარსდა სამხატვრო სტუდია მუშებისათვის

— **ი. ფალიაშვილის იუბილე.** სახ. ოპერის თეატრში აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება დირიჟორ ფალიაშვილის 35 წლის იუბილე. საიუბილეოთ მზადდება „აბესალომ და ეთერი“ ახალი დეკორაციებით და კოსტიუმებით.

— **ვერის რაიონის მუშათა კლუბის სასარგებლოთ.** კვირას, 16 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება წარმოდგენა ვერის რაიონის მუშათა კლუბის სასარგებლოთ. წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება“.

დღეს თეატრებში

— **ოპერა.** პროფკავშირების წევრებისათვის.

— **დრამა.** პროფკავშირების წევრებისათვის.

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

— **ცირკი.** მრავალფეროვანი პროგრამა.

პროვინციაში

ერწოს რაიონი (ტფილისის მაზრა)

ერწოს რაიონი წარმოადგენს ერთად ერთ ჩამორჩენილ კუთხეს საქართველოში. ამ სამ-ოთხი თვის წინათ ეს რაიონი შეადგენდა თიანეთის მაზრის ნაწილს, რომელი მაზრის გაუქმების გამო ერწოს რაიონი, როგორც ტფილისთან უფრო ახლო მდებარე, მიწერილ იქნა ტფილისის მაზრაზე. ამას წინად ცენტრის მიერ რაიონში გამოგზავნილი იქნენ მომზადებული მუშაკნი, რომელთა ენერგიული მუშაობით შეიცვალა ძველი მდგომარეობა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში რიგიანათ შეკეთებულ იქნა საზოგადო გზები, ბოგირები, გაიხსნა ახალი შრომის სკოლები, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, სამკითხველო და ქოხ-სამკითხველოები, სარაიონო კოოპერატივი და სხვა მრავალი დაწესებულებანი.

რაიონის მცხოვრებნი პოლიტიკურადაც დიდათ ჩამორჩენილნი იყვნენ; მათ არ ჰქონდათ სრული წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლებაზე და მის კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობაზე; ეს დაბრკოლებები მოკლე ხნის განმავლობაში გადალახულ იქნენ.

ა. წ. 25 თებერვალს რაიკომის პ. | გ. მდივნის ამხ. სამნაშვილის ხელმძღვანელობით შესდგა მთელი რაიონის მრავალრიცხოვანი მიტინგი წითელარმიელთა 6 წლის და საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის აღსანიშნავად. ორატორებმა აღნიშნეს დღესასწაულის მნიშვნელობა და გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუციები.

25 და 26 თებერვალს მოწვეული იყო აგრეთვე რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია, რომელზედაც ამხანაგების შინაარსიანი მოხსენებით კონფერენცია გაეცნო მრავალ გლეხებისათვის საჭირ-ბოროტო კითხვებს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ხასიათის. კონფერენციის დასრულების შემდეგ, მის საზეიმოთ დადგმული იქნა საუკუნოების განმავლობაში პირველი წარმოდგენა, ადგილობრივ, ახლად დაარსებულ სცენის მოყვარეთა მიერ და წაკითხულ იქნა მოხსენება თეატრის მნიშვნელობაზე.

8 მარტს საერთაშორისო მშრომელ ქალთა დღესასწაულის აღსანიშნავად მოწყობილ იქნა ქალთა დიდი მიტინგი, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები. ადგილობრივი უპარტიო ქალებიც გამოვიდენ მისასალმებელი სიტყვებით. იმავე დღეს დადგმულ იქნა უფასო წარმოდგენა.

მრავალ მუშაობასა და წამოწყებებს შორის რაიონის ზოგიერთ დაწესებულებებს აქვს თვალსაჩინო ნაკლი, ასეთია მაგალითად საექიმო პუნქტი; ის მიტოვებულია უყურადღებოთ, არ არის ექიმი, რომლის დანიშვნის შესახებ აღძრული იყო შუამდგომლობა, მაგრამ, სამწუხაროთ, დღესაც უექიმოთ ვართ დარჩენილი. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, ვისგანაც ჯერ არს.

რაიონში არ არის აგრეთვე აგრონომი, რომლის ყოფნა აუცილებელი და საჭიროა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონს ამ სამ-ოთხი თვის განმავლობაში დიდი წინსვლა დაეტყო, რაც მით უფრო სასიხარულოა, რომ თვით გლეხები იღებენ მხურვალე მონაწილეობას აღმშენებლობითი მუშაობაში.

ი. ბ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. მარტის 10.

ადგილობრივი გამოსაღების დაწესების შესახებ ოთხფეხი საქონლისა და სხვადასხვა ცხოველის უმი პროდუქტის ვეტერინარულ-სანიტარული დათვალიერებისათვის.

სავეტერინარო-სასანიტარო საქმის ადგილობრივ გასაუმჯობესებლათ—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ ხოლმე გამოსაღები ოთხფეხი საქონლისა და სხვადასხვა ცხოველის უმი პროდუქტის დათვალიერებისათვის; ეს გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ ადგილას, სადაც იყიდება ოთხფეხი საქონელი და სხვადასხვა ცხოველის, უმი პროდუქტი (ბაზარი, საქულბაქო და სხვ.) და აგრეთვე ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე საქონლის გადარეკვისა ან გადაზიდვის დროს სავაჭრო ან სამრეწველო მიზნით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს დასათვალიერებელი ოთხფეხი საქონლისა და სხვადასხვა ცხოველის უმი პროდუქტის ნორმალური ფასის ერთმეოთხედ პროცენტს.

3. დაევალოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს წესები და ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
აღამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოადგილე
ა. შაგერდლოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 15 მარტს, სად 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ამხ. მიშა ოკუჯავა წაიკითხავს მოხსენებას „თებერვლის რევოლიუციის შვიდი წლის თავი“.

კავშირის წევრთათვის დასწრება თავისუფალია.

— ამა 16 მარტს, დილით 12 საათზე დანიშნულია საორგანიზაციო კრება საზოგადოება „ბავშვთა მეგობარი“: მოწვეულნი არიან ყველანი, ვისაც კი სურს დაეხმაროს უბინაო ბავშვს.

მისამართი: კოლუბანის ქ. № 3. სახლი „განათლების მუშაკთა“.

საინიციატივო ბიურო.

— დღეს, 15 მარტს, საღამოს 7 ნახ. საათზე ცენტრალურ პარტკლუბში ამხ. შ. ელიავა გააკეთებს მოხსენებას: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და პერსპექტივები“.

მოხსენების შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

შესვლა მხოლოდ და მხოლოდ პარტიული ბილეთებით.

კლუბის გამგეობა.

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3-ე რაიკომი აცხადებს, რომ დღეს 15 მარტს საღამოს სრულ 5 ნახ. საათზე 3-ე რაიკომის შენობაში გაიმართება დელეგატთა კრება იაჩეიკების მდივნების თანდასწრებით. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

მდივანი—კარაპეტიანი.

განცხადებები

გულ დათუთქულნი ჭირისუფლები: მამა კონსტანტინე, დედა თებრონე, ძმა ვლადიმერი და დები თამარი და ნინა ინაშვილები, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 16 მარტს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ პირველთა შვილის და მეორეთა ძმის უბედური შემთხვევით (მტკვარში დაღუპულთა 7 თებერვალს ა. | წ.) უდროოდ დაკარგულ,

სტუდენტი გიორგის (გოგი)

სულის მოსახსენებლად.

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე პანაშვიდი 12 ს. 678 2—1

გაუბედურებულნი და ღრმად დამწუხრებულნი ბარბარე მიხეილის ასული, დიმიტრი ივანეს ძე, თამარა ნიკოლოზის ასული, გულნარა ირაკლის ასული ლოლაძენი და ნინა დიმიტრის ასული კაუკჩიანი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 16 მარტს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელი პირველთა შვილებისა, მეორეთა საყვარელ ქმრის. მამის, მაზლისა და ბიძისა და უკანასკნელის დაუვიწყარი ძმების და ქმრისა

ირაკლი და ვახტანგი დიმიტრის-ძე ლოლაძეების და ცოლაკასი

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 ს. და პანაშვიდი დღის 12 ს. 679 2—1

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე ზაქარიას ასული, გიორგი მიხეილის ძე და ანნა მალაქიას ასული მამაცაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 16 მარტს იქნება გადახდილი დიდუბის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულთ (7 თებერვალს მდ. მტკვარში) პირველის საყვარელ შვილიშვილების და სიძის, მეორესი დაუვიწყარი დისწულების და სიძის და უკანასკნელის ძვირფას მულისწულების და სიძის

ირაკლი და ვახტანგ დიმიტრის ძე ლოლაძეების და ცოლაკასი

პანაშვიდი დაიწყება დილის 10 ს. და წირვა სულის მოსახსენებლად დღის 12 საათზე. 2—1 679

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ბარბარე მიხეილის ასული, არამა არუთინის ძე, ნინა დიმიტრის ასული, ზავენა და ცოლიკა არამას ძენი კაუკჩიანნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 16 მარტს იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში პირველთა საყვარელ შვილის, მეორესი დაუვიწყარი მეუღლის და უკანასკნელთ ძვირფას ძმის (მტკვარში დაღუპულთ) 7 თებერვალს ა. წ.

ცოლაკა არამას ძე კაუკჩიანის

და საყვარელ ძმების

ირაკლი და ვახტანგი დიმიტრის ძე ლოლაძეების

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 10 ს. და პანაშვიდისა დღის 12 ს 2—1 679

ღრმად დამწუხრებული ვარლამ აქსენტის ძე ჩიქოვანი და მეუღლე შუშუ ჩიქოვანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი დედის

სალომე დავითის ასულის ჩიქოვანისა

სიკვდილს, რომლის დასაფლავება-მოხდება 18 ამ თვეს სამეგრელოში სოფ. ზუბში. 1—1 ნ. 957

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი: მეუღლე ნინო, შვილები: გიორგი, ალექსანდრე, მარო, ნატაშა, ანნა, ვახტანგი, რძლები: თამარი, ოლია; სიდედრი ეკატერინე და შვილის-შვილი ნინიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარელესი—პირველის მეუღლე, მეორეთა მამა ა. წ. 13 მარტს, დილის 10 ნახ. საათზე.

ივანე ქრისტეფორეს ძე მენთეშაშვილი

პანაშვიდი ყოველ დღეს, საღამოს 7 საათზე და გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან კამოს ქუჩა № 4 ა. წ. 16 მარტს, დილის 10 საათზე. 1—1 375

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

კვირას, 16 მარტს

ლ ა კ მ ე

კრ. 950 5—5

საქართველოს ს. მ. უ. ს. ტყავ
ტ რ ე ს ტ ი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ ა. წ. 17 მარტისათვის ტრესტის ცენ
ლურ სამმართველოს შენობაში (კომუნალური ქ. № 82, ადელხანოვის კანტორა)

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო ვაჭრობა

50.000 ფუთი მუხის ქერქის მისაწოდებლათ

საგარეჯოს, ალაზნის გაღმა, აჯამეთის და ალბულაღის რა
ნებიდან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეიტ
წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში, სალერმო გადასა
75 კ. ჩერ. გადახდილი უნდა იქნეს, კონვერტებზე აღნიშნული უნდა
მისამართი „საჯარო ვაჭრობისათვის მუხის ქერქის მისაწოდებლათ“.

კონდიციებთან გაცნობა და აუცილებელი ცნობების მიღება
ძლება ტრესტის ცენტრალურ სამმართველოში, სამუშაო დღეებში, დ
10 საათიდან 2 საათამდე.

ნ. 956

საქართ. ტეხნიკური საზოგადოებ

აცხადებს, რომ კვირას, 16 მარტს, დილის 11 ნახ. საათზე ტფ. პოლი
ხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ., № 70) შესდგება ინჟ. მ. მიმიძ
მოხსენება შემდეგ თემაზე:

„მელიორაცია მიწების საქართველოში“

დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ

გამგეობა
1—1 676

მუშებო და გლეხებო!

თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამა
კაცების, ქალების და ბავშვების გამ
ზადებული ტანთსაცმელები კარგ
მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

„გრუზოდეჟდა“

რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)

მოითხოვეთ სხვადასხვა კომიტეტების და ადგილკომების საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებებისაგან კოლექტიური კრედიტები.

→ ფაბრიკა: ←

მელიქოვის ქუჩა, № 5, ტელეფ. 11—67.

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სხვა ტანთსაცმელების მასიურ დამზადებაზე

ნ. 951 10—2

სახალხო განათლების კომისარიატი
ა ც ხ ა დ ე ბ ს,

რომ ოთხშაბათს, 19 მარტს, დილის 11 საათზე განათლების კო
სარიატის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5), განმანაწილებ
განყოფილებაში (ოთახი № 25) დანიშნულია

საჯარო სიტყვიერი
შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

კომისარიატის ქვემდებარე საბავშვო დაწესებულებებისათვის, ტფილისში, ყოველდღიურად 15—20 ფუთი ძროხის ხორცის მოწ
დების იჯარის გაცემაზე ა. წ. 20 მარტიდან 1 მაისამდე.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემ
ტანონ შეჯიბრების დღისათვის საწინდარი—30 ჩერვონეცი, ანუ ნ
ყიდობის ქაღალდი უძრავ ქონებაზე, დამოწმებული, ქალ. ტ
ლისის ნოტარიუსის მიერ.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება განმანაწილებ
განყოფილებაში ყოველ დღე შუადღის 12-დან 3 საათამდე.

673 2—1

განათლების კომისარიატი.

წინადადება ეძლევა მოქ. ვიქტორ ვარლამის ძე ხარაძ
ეს, რათა მან გაასწოროს თავისი ანგარ
შები ქალ. ქუთ. მიხა ტყაბლაძის მაღაზიის, ან ტფილისის ბეჭდვითი ექსპ
დიციაში ან აქვე ქუთაისში ერთი კვირის ვადაში დღიდან გამოცხადების
ამას გარდა გაუქმებულად ითვლება მისი პირადი მანდატი, რომელიც არ
ჩემს მიერ მიცემული.

სახ. გამომც. „ზარია ვოსტოკა“-სი, ბეჭდვითი ექსპედიციის გაზ
„მუშას“ კონტრაგენტი მ. ტყაბლაძე. 932—3—2

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 417864 | 11364. თ. შენგელი
სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

689—1—1

დაიკარგა პასპორტი გაცემული სარატოვის სამმართველოდან 19
წ. აბრაამ იაკობის ძე გუზიკოვის სახელზე. ჩაითვალ
გაუქმებულად.

1—1 672

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ზესტაფონის აღმას
კომისაგან მელქო არაბიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუ
მებულად.

1—1 უფ.

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა, სანა წულუკიძის ქუჩა № 4